

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ბ. ჯერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ლ. კოტაშვილი

# აღმოსავლური რეალიები ქართულ ხალხურ ზღაპრებში



თბილისი  
„მეცნიერება“

1985



## უმსავალი

ზღაპარი ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი ჟანრია. იგი ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობს და თავისებურად ასახავს ცხოვრების სინამდვილეს. გაზვიადებული მხატვრული საშუალებით მასში გამოხატულია ობიექტური კეშმარიტება. სწორედ ამ ფაქტს მიგვანიშნებს ხალხური ანდაზა: „ასი ტყუილი — ერთი მართალი“.

საგულისხმოა ზღაპრის ჟანრობრივი მრავალგვარობა. ცნობილია, რომ ბევრი ძირითადი ლიტერატურული ჟანრი ფოლკლორიდან მომდინარეობს. გვაქვს — ზღაპარი — ნოველა (არაკი, იგავი), ზღაპარი — რომანი (სამიჯნურო, საგმირო) და ზღაპარი ნარკვევიც შეიძლება გამოვარჩიოთ (ისტორიული ფაქტების ამსახველი თქმულებების მიხედვით). თავისთავად ცხადია, რომ საერთოდ ეპოსის პროზაული და ლექსითი ფორმების სათავე ხალხურ შემოქმედებაში უნდა ვეძიოთ.

დიდია აღმოსავლეთის გავლენა დასავლეთ ევროპაზე. თეოდორ ბენფეიმ<sup>1</sup> წიგნის შესავალ ნაწილში, რომელშიც ფოლკლორისტიკის განვითარების ახალი ეტაპები იყო წარმოდგენილი, გვიჩვენა საოცარი მსგავსება სანსკრიტული ზღაპრებისა ევროპულ და არაევროპულ ხალხის ზღაპრებთან. მისი აზრით, სიუჟეტების მსგავსება გამოწვეულია ხალხთა ნათესაობით კი არა, არამედ მათ შორის კულტურულ-ისტორიული კავშირით. მისი აზრით, თქმულებები, ზეპირი ან წერილობითი, ძვ. ინდოეთიდან მოემართებოდნენ სპარსეთში, არაბეთში, პალესტინაში და იქიდან ხმელთაშუა ზღვით — დიდი სავაჭრო გზით, დასავლეთში — ევროპაში, სადაც დიდ როლს ებრაელები თამაშობდნენ.

ბენფეის აზრს იზიარებს დიდი რუსი მეცნიერი ა. ვესელოვსკი. კითხვაზე: „საიდან წარმოიშვა ევროპული ზღაპრები? იგი პასუხობს. ცხადია, ბენფეისთან ერთად, რომ ისინი წარმოიშვნენ ინდოეთიდან, კერძოდ კი — ბუდისტური ინდოეთიდან“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Pantshchatatra, Ubersetrf von T. Benfey I, Lpz., 1859.

<sup>2</sup> А. Н. Веселовский, Фольклор и мифология, статьи о сказке, 1868—1890, М.-Л., т. 16, 1938, с. 215.

ამავე აზრს იზიარებს ფრანგი მეცნიერი გასტონ პარისი — აღმოსავლური მოთხრობები, რომელიც ასე დიდი რაოდენობით გავრცელდა სხვადასხვა ევროპულ ლიტერატურაში, ინდური წარმოშობისა არიან, და, რაც მთავარია, მათ არსებითად ბუდისტური ხასიათი აქვთ. რაც შეეხება: „უამრავ ზღაპრებს, თითქმის ყოველთვის გასართობს, ხშირად ძალზე უხეშს, რომელთა სიუჟეტები ქალთა ცბიერებაა და ვერაგობა, ისინი არ წარმოიშვნენ შუა საუკუნეების საზოგადოებაში, არამედ ისინი წარმოიშვნენ ინდოეთიდან და აქვთ თავიანთი „raison d'être“ ფენა, რომელმაც იგი წარმოშვა“<sup>3</sup>.

ცხადია, ზღაპრები წარმოშობილი ბუდისტური ინდოეთის სფეროში. შეიძლებოდა გავრცელებულიყო და პოპულარული გამხდარიყო ქრისტიანულ ევროპაში, სადაც მათ განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ამავე აზრს იზიარებს გერმანელი მეცნიერი კელერი<sup>4</sup>, რომელმაც 1865 წ. გამოაქვეყნა მეცნიერული ნაშრომი, სადაც ამბობს, რომ უმეტესი ნაწილი ევროპული ხალხური ზღაპრებისა და ნოველებისა, რომელიც დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში საშუალო საუკუნეების ბოლოს დამკვიდრდა, უშუალოდ ინდური წარმოშობისაა, ანდა ინდური ლიტერატურის ზემოქმედებით წარმოიშვა.

ამავე აზრისაა ვსევოლოდ მილერი: „არაფერია შეუსაბამო და დაუჯერებელი იმაში, რომ ინდური მოთხრობები, ასე მდიდარი ფანტაზიით, იუმორით და გონებაშახვილობით, წარმოიშვნენ ინდოეთში, შორს დასავლეთში და რომ მათი გამოძახილი შეიძლება მოიძებნოს ნაწარმოებებში „შიდიკურ“ და „Geste Romanorum“ და ბოკაჩიოს ნოველებშიც და სხვა“<sup>5</sup>.

ამავე აზრისაა კარლ ზალემანი: „ზედმეტად მიმაჩნია მიეუთითო, რომ მისტიკური პოეზია ანდა საზღაპრო ლიტერატურა, რომლებიც წარმოიშვა ინდოეთში, კერძოდ ბუდისტური ლეგენდებიდან, გავრცელება კპოვეს აღმოსავლეთსა და ევროპაში სპარსელების მეშვეობით“<sup>6</sup>.

---

<sup>3</sup> Gaston Paris, Les contes orientaux dans la littérature française du moyen Age 1875. Есть сокращенный русский перевод Гастон Париз, Восточные сказки в средневековой литературе, Одесса, 1885, с. 19.

<sup>4</sup> A. Keller, die europäischen Volksmärchen, 1865.

<sup>5</sup> В. Миллер, Восточные и Западные родичи одной русской сказки, труды этнографического отдела императорского общества любителей естественнаго антропологии и этнографии при московском университете, книга IV, М., 1877, с. 176.

<sup>6</sup> Карл Залеман, Четверостишія Хакани, Издал и перевел Карл Залеман, СП-б., 1875, с. 3.



დიდი რუსი მეცნიერი გ. პოტანინი<sup>7</sup> ეხება რა ზღაპრებს, იზიარებს მათ აღმოსავლურ-მონღოლურ წარმოშობას და აღნიშნავს, რომ სიუჟეტების გავრცელება შესაძლებელია მომხდარიყო აღმოსავლეთიდან. ხოლო პირუკუ მისი მოძრაობა იყო შემთხვევითი. ცნობილია, რომ: „არსებობს მთელი ჰიპოთეზა, რომლის საფუძველზე მთელი რიგი ზღაპრებისა, რომლებიც არსებობს ევროპაში, არა ევროპულია, არამედ აღმოსავლური წარმომავლობისაა“<sup>8</sup>.

ინდური ზღაპრების კრებულებიდან. რომელმაც ჩვენამდე მოაღწია სანსკრიტულ ენაზე — პანჩატატრაა. ეს ტექსტი ძალიან მალე გადაითარგმნა ფალაურ ენაზე, ფალაურიდან — სირიულზე, სირიულიდან — არაბულად, არაბულიდან — ლათინურად, შემდეგ კი ევროპულ ენებზე. უდავოა, რომ ყველა სიუჟეტს განვითარების ეს საფეხურები უნდა გაეწოდებოდა. ამიტომ სავსებით ცხადი ხდება ის კულტურული ურთიერთობა, რომელიც არსებობს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. „ამრიგად, ყოველგვარი კულტურული ურთიერთობა აუცილებლად ორმხრივია. კულტურული მოვლენები. რომლებიც ნასესხებია, წარედგება რა ერთი გარემოებიდან მეორეში. ხშირად ფრიად დიდ ტერიტორიაზე, არასოდეს არ არის არც იზოლირებული, არც განცალკევებული... იღვიძებს ინტერესი არა მარტო აღმოსავლეთიდან შემოტანილი ნივთებისადმი, არამედ მთელი რიგი კულტურული მოვლენებისადმიც, რომლებიც კვლავინდებურად შემოიჭრებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აღმოსავლეთიდან“<sup>9</sup>.

დიდია ქართული კულტურის გავლენა ირანულზე. ლ. კობიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ: „გასაკვირი არაა ირანულ-ქართული ურთიერთობის პირველი მხარე (ირანულის გავლენა ქართულზე) უფროა. შესწავლილი და დიდძალი მასალაცაა მოპოვებული, ვიდრე მეორე მხარე (ქართულის გავლენა ირანულზე), რის შესახებაც ჭერჯერობით ძალიან ცოტა ვიცით“<sup>10</sup>. ნ. მარის აზრით: „თავის დროზე ბუნებრივი იყო, რომ საწინააღმდეგო მიმართულებით სცოლავდნენ, მთელ ყურადღებას აქცევდნენ უცხოურ გავლენას, კერძოდ, სპარსულ გავლენას ქართულ ლიტერატურაზე: მაგრამ აქლა დადგა დრო, როცა ანგარიში უნდა გაეუწიოთ ლიტერატურის ყველა მიმდინარეობას. მისი

<sup>7</sup> Г. Н. Потанин, Восточные мотивы в средневековом европейском эпосе, М., 1899, с. 37.

<sup>8</sup> А. Веселовский, დასახ. ნაშრომი, с. 87.

<sup>9</sup> И. А. Орбелин, Восток и Запад в XII—XIII веках, Из архива историка, Вопросы истории, М., 1965, № 6.

<sup>10</sup> ლ. კობიძე, ქართული ვარსკვლავები სპარსული პოეზიის ცაზე, ქართულ-სპარსული ლიტ. ურთიერთობანი, II, თბ., 1969, გვ. 215—216.

განვითარების ყველა წყაროს. მიუხედავად იმისა, თუ რას ენება გავლენის ელემენტები: ამბავს, ე. ი. მთლიანად ზღაპარს ან მის ცალკეულ დეტალებს, თუ ფორმას, თავად ენას, თავის მთლიანობაში, არა მარტო ლექსიკის. არანედ გრამატიკის მხრივაც, აგრეთვე მხატვრული პოეტური სახეებისა და შედარებების თვალსაზრისით“<sup>11</sup>.

ქართული ფოლკლორული სამყარო, ჩანს. ბევრ რამეში დავალებული ყოფილა აღმოსავლეთისაგან. რასაკვირველია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქმის ქართული კულტურა არ ყოფილიყო თვითმყოფადი და, თავის მხრივ, არ მოეხდინოს გავლენა სხვა ხალხთა კულტურაზე. გ. წერეთლის თქმით: „მარტოოდენ მს გავსება ეერ წყეტს სესხების საკითხს, რადგან გავლენა სპირისპიროც შეიძლება ყოფილიყო ქართულიდან ირანულზე... ირანზე ასეთი ლიტერატურული გავლენის შესაძლებლობა მით უფრო სავარაუდოა, რომ კ. ი. ჩაიკინის და აწ განსიენებული ი. ნ. მარის ბოლო ნაშრომების წყალობით სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ირანული ლიტერატურული სამყაროსთვის უცნობი არ ყოფილა ქართველი ერის დიდი კულტურული ტრადიციები“<sup>12</sup>.

სიუჟეტმცოდნეობის პრობლემები მარტივი და ნათლად დასანახი როდია. ზღაპრული სიუჟეტები ისე არიან გადახლართული ერთმანეთში. რომ ძნელია, და თითქმის შეუძლებელი, იმის გარჩევა, თუ სად იღებს სათავეს ესა თუ ის ზღაპარი. ეს საკითხი ცალკე შესწავლის საკითხია:

„ზღაპრული სიუჟეტები მკიდრო ნათესაურ ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან და რომ განვსაზღვროთ, სად თავდება ერთი სიუჟეტი თავისი ვარიანტებით და სად იწყება მეორე, ეს მხოლოდ სიუჟეტმცოდნეობის პრობლემებთან, მსოფლიო ზღაპრების შესწავლასთან არის დაკავშირებული“<sup>13</sup>.

მეზობელი ქვეყნების ხალხთა ზეპირი შემოქმედების ურთიერთგავლენა ცნობილია, მაგრამ ეს გავლენა მხოლოდ გარეგნულია; შინაარსობრივად კი ხალხური შემოქმედება ყოველთვის ეროვნულ სულისკვეთებას გამოხატავს და ღრმად სწვდება მისი შემოქმედი ხალხის სულიერ სამყაროს. ზღაპრის თვისობრივ მხარეს განაპირობებს ის, რომ

---

<sup>11</sup> Н. Я. Марр. Из грузино-персидских литературных связей, Записки коллегии Востоковедов при азиатском музее Российской Академии наук, т. I, Л., 1925, с. 115.

<sup>12</sup> Г. В. Церетели, «Нестан-Дареджаи» в среднеазиатском арабском фольклоре. Сб. Руставели к 750 летию «Вепхისტкаосани» Отд. оттиск, Тб., 1938, с. 15.

<sup>13</sup> В. Я. Проф, Морфология сказки, М., 1969, с. 15.

იგი ასახავს არა მთლიანად ქვეყნის, არამედ ამა თუ იმ კუთხის თავისებურებას, რაც ვლინდება ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების გამოხატველ ტერმინოლოგიაში, რიტუალების თავისებურ გააზრებაში და ა. შ. საბოლოოდ კი თითოეული ზღაპარი მაინც ავლენს ზოგად-ეროვნულ ხასიათს. ამიტომაც მხატვრულ-ესთეტიკურის გარდა, ზღაპარს აქვს მეცნიერული ღირებულება. ჩვეულებრივ, ზღაპრების კრებულები ამავე დროს განკუთვნილია სხვადასხვა კუთხისა და ასაკის მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის. ამდენად, ახსნა-განმარტება თითოეული ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური გამოთქმისა, რომელიც ზღაპრებში გვხვდება, აუცილებელია.

ამა თუ იმ მხარეში შეკრებილ ზღაპრებში ზოგადად მოსავლური წარმომავლობის ლექსიკურ-სემანტიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები რომ გასაგები იყოს, ზღაპარი მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს ისევე, როგორც ნებისმიერი ორიგინალური თუ თარგმნილი კლასიკური ლიტერატურული ძეგლი („ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „რუსულდანიანი“ და ა. შ.); ამასთან გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: კლასიკურ ლიტერატურულ ძეგლში ფიქსირებული ესა თუ ის სიტყვა ერთი გარკვეული მნიშვნელობით ხალხურ შემოქმედებაშიც შეიძლება გვხვდებოდეს, მაგრამ ხშირად რომელიმე ტრადიციული ლიტერატურული ტერმინი ფოლკლორში სრულიად განსხვავებული შინაარსისაა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით თვალში საცემია აღმოსავლური წარმომავლობის ლექსიკა, მაგალითად: „აჭარულ ხალხურ სიტყვიერებას, ისევე როგორც საერთო მეტყველებას, აჩნია თურქული ლექსიკის კვალი. თურქულიო, პირობითად ვამბობთ, თორემ წარმოშობით სპარსული და არაბული ბევრი სიტყვა დიდი ხნიდან თურქულ ენაში დამკვიდრებულია და ამ გზით აჭარულშიც გადმოსულა“<sup>14</sup>.

ზღაპარში, ხალხური შემოქმედების მთავარ ქანარში, გვაოცებს მასალის სიუხვე და მრავალსახეობა „ერთმანეთის თითქოს მსგავსი, მაგრამ მაინც ყოველთვის ახალი და თავისებური“<sup>15</sup>, შინაარსობრივად ღრმა და ნაციონალური, რომელიც. განიცდიდა რა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გავლენას, მაინც ინარჩუნებდა იმ ეროვნულს, ნაციონალურს, რაც ასე დამახასიათებელია ქართული ზღაპრებისათვის.

<sup>14</sup> დ. კობიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების მასალები, თსუ შრომები, 118; თბ., 1967, გვ. 47.

<sup>15</sup> ელ. ვირსალაძე, რჩეული ხალხური ზღაპრები, 1958, შესავალი, გვ. 6.

ზღაპარში, ყველაზე უფრო ხელშესახებად არის შემონახული ხალხთა ურთიერთობის კვალი. ჩვენი მიზანია, ქართულ ხალხურ ზღაპრებში (გამოცემული კრებულების მიხედვით) დაგვეძებნა ის აღმოსავლური რეალიები, ყოფითი დეტალები, ელემენტები თუ ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ქართულ ზღაპრებში ესოდენ მრავლად მოიპოვება. ეს მიზანი, ცხადია, უსაფუძვლო არ იყო<sup>16</sup>.

---

<sup>16</sup> ლ. კოტავილი, ქართული ხალხური ზღაპრების კომენტარებისათვის, *ქურნ. „ციცქარი“*, 1980, № 4, გვ. 149—152.

## I. აღმოსავლური წარმოშობის სახელები

### 1. საკუთარი სახელები

ქართული ონომასტიკა კარგა ხანია ისწავლება. ამ დარგში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, იუსტ. აბულაძის, ა. შანიძის, ს. ყაუხჩიშვილის, ს. ჯიქიას, გ. წერეთლის, დ. კობიძის, გ. მელიქიშვილის, მ. ანდრონიკაშვილის, თ. ჩხეიძის, ალ. ლლონტის, მ. ჩიქოვანის, ზ. ჭუმბურიძის, ნ. დარსაველიძის და სხვათა შრომები<sup>1</sup>.

ქართულ ზღაპრებში უხვად შემონახული აღმოსავლური წარმოშობის საკუთარი სახელები დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის. საერთოდ ქართულ ფოლკლორისტიკაში საკუთარი სახელების შესახებ სპეციალური მონოგრაფიული ნაშრომი არ მოგვეპოვება, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გამოკვლევებს, რომელთა შორის აღსანიშნავია ალ. ლლონტის და მ. ჩიქოვანის ზემოთ მითითებული ნაშრომები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ეპითეტი საკუთარ სახელად იქცევა<sup>2</sup>.

ქართული ხალხური ზღაპრების აღმოსავლური წარმოშობის საკუთარ სახელთაგან ზოგი უშუალოდ ხალხური გზით არის შემოსული და დამკვიდრებული, ზოგი — ლიტერატურული.

### ა. ადამიანის საკუთარი სახელები

ცნობილია, რომ ადამიანის საკუთარ სახელებად ხშირად გამოყენებულია ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა. ღვთაებათა, ციურ მნათობთა და სხვა სახელწოდებანი. ე. ი. სახელებს აქვთ მეორადი მნიშვნელობა. ასეთი სახის სახელები მეტწილად უძველეს ხანას ეკუთვნის, როცა ადამიანები კერპად იხდიდნენ ცხოველს და ცხოველი იყო ტომის ტოტემი<sup>3</sup>. „ქრისტიანული სახელების ერთი

<sup>1</sup> იხ. ბოლოში დართული ლიტერატურა.

<sup>2</sup> გ. წერეთელი, „ნესტან-დარეჯანი“, შუა აზიის არაბულ ფოლკლორში: ენიმქის მოაბზე, ტ. III. რუსთაველის კრებული, თბ., 1938, გვ. 1—12.

<sup>3</sup> Д. Ж. Фрезер, Золотая ветвь, М., 1929, с. 87. და Левин Брюль, Первобытное мышление, перевод с французского под редакцией В. К. Никольского и А. В. Киссина, Л., 1930, с. 30.

ნაწილი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, აღმოსავლეთ საქართველოში კი იშვიათად გვხვდებოდა. ასეთია, მაგალითად: იპოლიტე, კალენიკე, კალისტრატე, პორფილე, ქრისტეფორე, სერაპიონ, სეფასტი, აღათი, პელაგია, პილასი, პისტი და სხვანი. ეს იმით აიხსნება, რომ საუკუნეთა განმავლობაში დასავლეთს, ქრისტიანულ ქვეყნებთან დასავლეთ საქართველოს უფრო მჭიდრო პოლტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირი ჰქონდა. სამაგიეროდ, აღმოსავლეთ საქართველო უფრო მეტად განიცდიდა აღმოსავლეთის ქვეყნების გავლენას, განსაკუთრებით არაბეთისა და სპარსეთის ზემოქმედებას. ამიტომ აქ ქრისტიანულ სახელებთან ერთად ვრცელდებოდა არაკალენდარული აღმოსავლური საკუთარი სახელებიც, როგორცაა: ბარამ, ბარძიმ, გარსევან, გოდერძი, გურგენ, ზაალ, ლუარსაბ, როსტომ, ზეინაბ, როდამ და სხვანი<sup>4</sup>. როგორც მოსალოდნელი იყო, აღმოსავლური წარმოშობის ეს სახელები ქართულ ხალხურ ზღაპრებშიც შეიჭრა.

## 1. ალი||ალია||ალიე

„იყო ორი ამხანაგი: ალი და უსუფი“ (ჯ. ნოლ. II. 1940, 169)<sup>5</sup>.

„დედალი ორის პატრონმა, რომელსაც ქვიოდა სახელათ ალია, დუუნახა რიზას ხელში მათრახი“ (ჯ. ნოლ. I. 1936, 28).

„მუხამედმა გაგზავნა ალიე, — თავისი ამხანაგი“ (ჯ. ნოლ. 1972. 241).

„ალიაღამ მეგემ ერთი საპალნე იალი გააკეთა“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 139).

არ. **علي** ('ალი) 1. შიიტების იმამის პირველი სახელი. 2. დიდებულება, ბრწყინვალეობა. 3. მ. ს. ს.

عَلِي ('ალინა) 2. მ. ს. ს. „ალა“ თ. აგა=თურქთა ბატონობის პერიოდში, აქარაში პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი. საზოგადოებრივი მდგომარეობით ალა აზნაურ წოდებას ეთანაბრებოდა. ბევრე დაბლა მდგომია.

## 2. ალიმირზა

„ხელმწიფემ სოვდაგრის ნაჩუქარი ყმაწვილიც შვილად მიიღო და სახელები დაანათლა: თავისას ალია, სოვდაგრის ნაჩუქარს ალიმირზა“ (ელ. ვირს. 1949. 189).

არ. სპ. **علي ميرزا** ('ალიმირზა) 1. აღმოსავლურ სამყაროში ეს სახელები ცალ-ცალკე იხმარება და შებრუნებითაც.

<sup>4</sup> ზ. ქუმბურიძე, რა გქვია შენ, თბ., 1966, გვ. 15—16.

<sup>5</sup> იხ. ბოლოში დართული შემოკლებანი.

სპ. ميرزا (მირზა) 1. მწერალი, მდივანი, ტიტული, რომელიც იხმარება შაჰის შთამომავალთა საკუთარი სახელის შემდეგ. 2. მ. ს. ს. იბ<sup>6</sup>.

სპ. არ., ميرزا علي (მირზა'ალე) ტიტული, რომელიც იხმარება ყველა განსწავლული ადამიანის საკუთარი სახელის წინ. 2. მ. ს. ს.

### 3. ალუმბალი

„ხელმწიფის ვეზირს სახელად ალუმბალი ერქვა“ (პ. უ. III. 1964. 85).

სპ. الوالى (ალუბალუ) 1. ალუმბალი. 2. მ. ს. ს.

### 4. აღმასხანი

„მე ალუმბლის შვილი ვარ აღმასხანიო“ (პ. უ. III. 1964. 86).

სპ. الحاس خان (აღმასხან) ძვირფასი ქვის აღმასის სპ. სახელწოდებას დაართული აქვს სუფიქსი „ხან“, რომელიც თურქულ სახელებთან ხშირად გვხვდება. შდრ. (ღერმიშხან, მურზაყან) 2. მ. ს. ს.

### 5. ამირან

„სამი ძმანი იყვნენ უსიბი, ბადრი და ამირანი“ (სე. ზღ. 1893. 85).

სპ. اميران (ამირან) امير (ამირ 1. მბრძანებელი, მმართველი; ان (ან) სუფიქსი, რომელიც ხშირად გვხვდება საკუთარ სახელებთან (შდრ. აღსართან, ხუზან, ხაზარან) (ამირანდარეჯან), სადაც „ამირ“ = მბრძანებელს, მმართველს „ანდარ“—იგივე სპ. თანდ. „დარ“ = ში, „ჯან“, „ჯაჰან“ = ქვეყანას<sup>7</sup>.

<sup>6</sup> Jonhson Francis, Dictionary Persian, Arabic and English, London, 1852, გვ. 873.

<sup>7</sup> ამირანდარეჯანიანის სახელის ეტიმოლოგიისათვის იხ. მ. მარი, Персидская национальная тенденция в грузинском романе «Амиран-Дареджанян», ЖМНП, 1895, июнь. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. მ. ჯანაშვილი, მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, თბ., 1895. გვ. 54; ს. კაკაბაძე, ამირან-დარეჯანიანი, შესავალი წერილი, 1939, გვ. 5—19; А. Грень, Грузинская повесть об Амيرانе сыне Дареджана и остатки сказаний о нем в Картвельской народной литературе. ЖМНП, 1895, III, 1—2; А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, т. II, М., 1897, დ. კობიძე, „ამირან-დარეჯანიანის“ სადაურობისათვის, თბ., 1944; ნ. დარსაველიძე, შენიშვნები, „ამირან-დარეჯანიანის“ საკუთარი სახელების შესახებ, თბილისის უნივერსიტეტი, ვიორგი ახვლედიანის, საიუბილეო კრებული, 1969, გვ. 362—368; შ. ნუცუბიძე, ამირანი, თბ., 1945, გვ. XIX—XX; Jonhson, დასახ. ნაშრომი, გვ. 1285.

## 6. არაბზანგინი||არაბუზენგი

„ზლაპარი არაბზანგინისა“ (ელ. ვირს. 1958. 342—349).  
„ამ სარაის პატრონს ქვია არაბუზენგი. უთხრენ არაბუ-  
ზენგს, რომ მოვიდა ერთი კაცი და დეიწყო სისხლიანი ფილა-  
ვის ქამა“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 26).

არაბზანგინი || არაბუზენგი

არ. عربي و زنگي (არაბ-უზენგე) = ზანგი, არაბი.

ან عرب رنگين (არაბრანგენ) = არაბის ფერი<sup>8</sup>.

## 7. ასლანი

„ბიჭი ტყეში შეეჩვია ასლანს და ამანაც გაზარდა“ (ხალხ-  
სიბრძ. II. 1964. 125).

„უფროსმა შეიღმა ასლანმა თქვა“ (ქართ. ზღ. აკ. 1973. 134).  
„ამ ბალანას მემედმა სახელი დწკქვა ასლანი“ (ჯ. ნოლ. II.  
1972. 197).

თ. aslan || arslan 1. ლომი. 2. მ. ს. ს.

ارسلان ~ اسلان (არს(ა)ლან, არსლან) 1. ლომი. 2. მ. ს. ს.

## 8. ასმათი

„მას ეახლა ერთი მოსამსახურე ასმათი“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 92)-  
არ. عصمت ('ესმათ) 1. კეთილგონიერი, უბიწო. 2. ქ. ს. ს.

## 9. აფრასიონ

„მათ მტერს აფრასიონ ხელმწიფეს ერთი მშვენიერი ქალი  
ჰყვანდა მანიუა“ (თ. რაზ. 1909. 255).

სპ. افراسياب (აფრასიას) 1. შიშისმგვრელი, 2. მ. ს. ს. თურანის  
მეფე „შაჰ-ნამეს“ გმირი.

ახ. სპ. Abrasiab<sup>9</sup>.

## 10. ახმედი||ახმედლი

„ჯოჯოხეთში ჩემი შვილი ახმედაი ხომ არ შეგხთენიაო“  
(ბ. ნოლ. 1959. 263).

„ერთმა მეფემ ვინცხა ლარიბი ბიჭი ახმედლი დაიჭირა და ცი-  
ხეში ჩასვა“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 64).

<sup>8</sup> ალ. გვახარია, სპარსული ხალხური პროზის ისტორიდან, თბ., 1973, გვ. 123; იხ. აგრეთვე: Персидские сказки, М., 1958, с. 94 (Сказка о шахзаде Исмаиле и Араб-Занги). იხ. Johnson დასახ. ნაშრომი, გვ. 846, იხ. აგრეთვე: დ. ომიძე, „მებრძოლი არაბ ზანგი//არაბ ზანგინის რამდენიმე პარალელი ფოლკლორისა და ლიტერატურაში“, „მკანე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984. № 4, გვ. 46—53.

<sup>9</sup> თ. ჩხეიძე, არღამირ პაპაქის ძის საქმეთა წიგნი, თბ., 1976, გვ. 99.



„მე მქვია ა ხ მ ე დ ი, ვიყავი ღერობი შვილი“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 96).

არ. اَحمَد (აჰმად) 1. ძლიერ სასიამოვნო, 2. მ. ს. ს.

### 1. ბადრი

„სამი ძმანი იყვნენ: უსიბი, ბ ა დ რ ი და ამირანი“ (სვ. ზღ. 1893. 88).

არ. სპ. بَدْر (ბადრ.) 1. საესე მთვარე. 2. მ. ს. ს.<sup>10</sup>

### 2. ბაირამა

„იმ ვაჟრის შვილს ერქვა ბ ა ი რ ა მ ა“ (პ. უ. III. 1964. 70).

სპ. بَهْرَام (ბაჰრამ) 1. პლანეტა მარსი, 2. მ. ს. ს. ბაჰრამ>ბა-  
რამ>ბაჰრამ>ბაირამა.

pers. Bahram<sup>11</sup>.

### 3. ბალაღხა

„იმ ხელმწიფეს მალე გაუჩნდა ერთი ვაჟი, დაარქვეს ბ ა ლ ა ღ-  
ხ ა“ (მ. ჩიქ. III, 1956, 219).

არ. بَالَد (ბალად) ქვეყანა, ქალაქი.

არ. სპ. بَلَد خَوَاه (ბალადხავ) ქვეყნის მსურველი, მპყრობელი (?)  
(შდრ.: ქართ. გულსუნდა خواہ-لا დელხავ).

სპ. خواہ زبنيان خواستن (ხასთან, ხავ) სურვილი, წადილი.

### 4. ბეინაზარი

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეთევზე — სახელად ბ ე ი ნ ა-  
ზ ა რ ი“ (შ. ძიძ. 1959. 162).

სპარ. بی نظیر (ბინაზირ) 1. შეუდარებელი. 2. მ. ს. ს.

### 5. ბელყია

„ამ ნასტავლმა დედამობილა ბ ე ლ ყ ი ა ი“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 107).

„ბ ე ლ ყ ი ა რომ მივდა მის ქვეყანაში, რაც რუმ თავზე გადახტა.  
ელაპარაკა“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 107).

<sup>10</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965, გვ. 49—53; იხ. მასავე, „მიჯაჭვული ამირანი“, თბ., 1947, გვ. 214—215.

<sup>11</sup> F. F. Iusti, Iranisches Namenbuch, Marburg, 1895, გვ. 60, 363.

არ. بلیس (ბელყენს~ბელყნა) 1. ქ. ს. ს. ბიბლიური საბეველ-  
თა დედოფალი, ეწვია სოლომონს, მისი სიმდიდრითა და სი-  
ბრძნით განცვიფრებული დარჩა და შემდეგ ცოლადაც გაჰყვა.

## 6. ბეჟანი

„გადმოიხედა მანიყამ, დაინახა ბეჟანი და მოეწონა საშინ-  
ლად“ (თ. რაზ. 1909. 256).

„ამის ვაჟი ბეჟანი გმირობით არ ჩამოუვარდებოდა თავის მა-  
მაბიძებს“ (თ. რაზ. 1909, 252).

სპ. بيجان (ბეჟენ) 1. მ. ს. ს; Bijan<sup>12</sup>

## 7. ბულათი

„თუ შენი შეილის ბულათის გამოგზავნას არ დამპირდები არ-  
გაგიშვებ. უთხრა დეემა. ბულათი დაყაბულდა“ (სვ. ზღ. 1893..  
30).

თ. bulat = 1. ფოლადი. 2. მ. ს. ს.

< სპ. بولا (ფულად) 1. ფოლადი. 2. მ. ს. ს.

## 1. გარდაქეშანი||გარდაქეშალი

„იმ ხაროდან ისეთი კაცი ამოვიდა, როგორც როგორი! ამ კაცს  
ქვიოდა გარდაქეშალი“ (მ. ჩიქ. II. 1952. 205).

„გარდაქეშანის ზღაპარი“ (ელ. ვირს. 1949. 249).

სპ. گردن کشان (გარდანქეშან) 1. ქელაწეული, ამპარტავანი,  
ამაყი, მოხერხებული, გულუბრყვილო, ქკვიანი აიარი — „ყარა-  
მანიანის“ პერსონაჟი. 2. მ. ს. ს.<sup>13</sup>

## 2. გივი

„ვაჟი არავისა ჰყვანდა გივის მეტსა“ (თ. რაზ. 1909. 252).

„მე ერთი მძლავრი ხელმწიფის შვილი ვარ, სახელად გივი  
მქვიან“ (მ. ჩიქ. II. 1952. 313);

არ. სპ. گيو (გე) 1. მებრძოლი, 2. მ. ს. ს. Wew (pehl)  
Gew; Giw (neupers)<sup>14</sup>.

## 3. გოდერძი

„იყვენენ სამნი ძმანი: როსტომი, გივი და გოდერძი, სამნივე.  
გმირები იყვენენ“ (თ. რაზ. 1909. 252).

<sup>12</sup> F. Iusti, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

<sup>13</sup> ალ. გვახარია; სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან, თბ., 1973.  
გვ. 147; F. Iusti, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

<sup>14</sup> F. Iusti, დასახ. ნაშრომი, გვ. 114, 116, 366.

სპ. گودرز (გოდუდარზ) 1. ძლიერი ხარი. 2. მ. ს. ს. Godarz (Guderz)<sup>15</sup>

#### 4. გულუზარი

„ქედელზე არის ერთი სურათი ჩამოკიდებული ქალისა. ზედ აწერია: გულუზარი“ (მ. ჩიქ. II. 1952. II).

სპ. گلزار (გოლზარ) 1. ვარდნარი 2. ქ. ს. ს.

სპ. گل (გოლ.) ვარდი زار (ზარ) ნაწილაკი, რომელიც ემატება არსებით სახელს, ადგილის გამოსახატავად = ნარი.  
Gul (Rose)<sup>16</sup>.

#### 5. გურგენი

„ამათ ჰყავდათ ერთი უხეირო ძმა გურგენი“ (თ. რაზ. 1909. 52).

სპ. گرگین (გორგინ) 1. მგელისნაირი 2. მ. ს. ს.

گرگ (გორგ.) მგელი; گرگین = მძევნარე.

Gurg. wolf (neuneps)<sup>17</sup>

#### 1. დელიბალთა

„ — მე მქვია დელიბალთაო — უთხრა კაცმა“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 178, 9).

თ. deli balta = 1. გიჟი ნაჯახი. 2. მ. ს. ს.

თ. deli = გიჟი; თ. balta = ნაჯახი

#### 2. დელიბაში

„უმცროს ძმას სახელად ერქვა დელიბაში. აბა ეხლა შენიცი, ჩვენო დელიბაში, იქნება როგორმე ეცადო და მამას თვალების წაშალი მოუტანო“ (ელ. ვირს. 1958. 207).

„ლურჯა გარეთ რომ გაიყვანეს, სულ ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. მოვიდა ახლოს დელიბაში, შვიდი მოსართავი მოუჭირა, ახსენა ღმერთი და ლურჯას ზურგზე მოექცა“ (ელ. ვირს. 1958. 215).

თ. deli = გიჟი. თ. bas თავი.

თ. deli baş = 1. გიჟი თავი. 2. მ. ს. ს.

#### 1. ელი-აჯახთან

„მეჟურს ასულს კი ელი-აჯახთან ერქვა“ (პ. უ. III. 1964. 119).  
(?)

<sup>15</sup> F. Iusti. დასახ. ნაშრომი. გვ. 118.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 119.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 122; 355.

## 1. ზიარა

„დააკვერდა სიბნელეში ადამიანს და იცნო, რომ მის გვერდით იყო მეფეს ქალი ზიარა. შერცხვა ჯიხვას რომ ქალთ: ხ ასეთი სიმხდალე გამოჩინა და გული წაუვიდა, მაგრამ ზიარამ შენიშნა ეს და უთხრა“ (მ. ჩიქ. II. 1952. 313).

არ. تيارا (ზიარათ) 1. მოლოცვა, თაყვანისცემა. 2. ქ. ს. ს.

## 2. ზილფა

„თუმცა ტანსაცმელი კარგი და ძვირფასი არის, მაგრამ სიღარიბისაგან მეტად ფერმიხდილია ზილფა, თუმცა შავი მაყვალვით მისი თვალები და წამწამები ამშვენებენ მის მაღალს ტანს და წვრილ წელს“ (ელ. ვირს. 1958. 289).

სპ. زلف (ზოლფ.) 1. კულული. 2. ქ. ს. ს.

Zulf<sup>18</sup>.

## 3. ზეჟიე

„მაგონს ყავდათ ორი შვილი ვაჟი და ქალი. ვაჟი იყო ჩვიდმეტი წლის სახელად ეთჟვა მურადი. ქალი კი თხუთმეტი წლის და სახელად ეთჟვა ზეჟიე“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 57).

სპ. زكيه~زهيه (ზეჟიე, ზეჟიე) 1. ქ. ს. ს.

## 4. ზურაბ

„როსტომის სიტყვა ასრულდა: ქალს გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც ზურაბი დაარქვა“ (თ. რაზ. II. 1951. 180).

„ადე ზურაბ მოიკაზმე“ (თ. რაზ. II. 1952. 182).

სპ. زهراب (სოჰრაბ) 1. წითლად მოელვარე. 2. მ. ს. ს.

Zuhrab, Zurab<sup>19</sup>.

## 1. თევრათ

„მათში ცხოვრობდა ერთი ცოლ-ქმარი, მათ ჰყავდათ ერთი ვაჟი-შვილი, სახელად თევრათი“ (ნ. ნოლ. 1959. 205).

არ. تفرات (თევრათ, თნრათ) 1. მკანკალი. 2. მ. ს. ს.<sup>20</sup>

## 1. იამანი

„სახელად ერქვა იამანი“ (სვ. ზლ. 1893, 89).

<sup>18</sup> F. Justi, დასახ. ნაშრომი, გვ. 388.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> A. de Biberstein Kazimirski, Paris, 1860, т. I, გვ. 210.

არ. *يعني* (ამანნი) 1. მარჯვენა.

*يعاني* (ამანნი) იემენური 2. ფიცი. 3. მ. ს. ს.<sup>21</sup>

## 2. იასამან

„ი ა ს ა მ ა ნ-გულისამან, — შენი საქმე რავარიო? მზეთუნახავი მიახარებდა ჩუმი ხმითვე, რომ დედაშენი ძალიან მივლის და მეფერებდაო“ (ე. თაყ. II. 1918. 2).

სპ. *ياسمن* (იასამან) 1. *jasminum syriacum* იასამანი. 2. ქ. ს. ს.  
*ياسمين* (იასამინ).

## 3. იაჯადუნ ხათუმი||ია+ჩა ხათუნი||ია ხათუნი

„ — შენ ქალ ი ა ჯ ა დ უ ნ ხ ა თ უ მ ი ჯ ე ჟ ი ა ნ ო “ (მარტ. 1956. 105).

„შენსა ი ა ჩ ა ხ ა თ უ ნ ს ა ძალის ლეკვი ეყოლაო“ (პ. უ. III. 1964. 39).

„შენც ლამაზი თამრო, და მეც, მაგრამ ი ა ხ ა თ უ ნ ი ს თ ა ნ ა კ ი არავინ იქნებდაო“ (თ. რაზ. 1909. 196).

სპ. *خاون* (ხათუნ). 1. ქალბატონი. 2. ქ. ს. ს.

## 4. იბრაჰიმი

„იყო მეგემ ერთი ი ბ რ ა ჰ ი მ ი, რომელსაც მამა არ ყავდა“ (ჭ. ნოლ. II. 1972. 167).

მ „ერთს ეთქვა ი ბ რ ა ჰ ი მ ბეგი“ (ჭ. ნოლ. II. 1972. 101).

არ. *ابراهيم* (ებრაჰიმ) 1. მ. ს. ს.

## 5. იბნეყული

„იმ ვაყს ბაბვამისმა სახელი დაათქუა — „იბნეყული“ (ჭ. ნოლ. II. 1940. 117).

არ. თ. *ibn kul*. = 1. მონის შვილი. 2. მ. ს. ს.

შდრ. ქართ. = ლეთისავარ.

## 6. ისმაილჰაკი||შახისმაილი შაისმეილი||შახმეილი

„სწორედ ამ დროს მოხუცი გამოეცხადა ფადიშაჰს და ბავშუს ი ს მ ა ი ლ ჰ ა კ ი დაარქვა“ (ზ. თან. 1970. 149).

„ბიჭი, რომელსაც შ ა ხ ი ს მ ა ი ლ ი დაარქვეს“ (ნ. ნოლ. 1959. 184).

„მაშინ თქვა ამ ავარა კაცმა, რომ ბიჭს ქვია შ ა ი ს მ ე ი ლ ი“ (ჭ. ნოლ. II. 1940. 23).

<sup>21</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი. II, 1965, გვ. 52; იხ. მისივე, „მიჯაჭვეული ამირანი“, თბ., 1947, გვ. 117—118 და 216.

„თქვა საწყალმა კაცმა: — დავარქვით შახმელი“ (მ. ჩიქ. II. 1952. 67).

შახისმაილი||შაისმელი||შახმელი

არ. اسماء — اسمعيل (ესმინლ, ესმინლ) 1. მ. ს. ს.

• ش (შაჰ მფფე).

## 7. იუსუფი

„მაგის სახელი იქნება იუსუფიო“ (ქართ. ზღ. აკ. 1973. 58).

არ. يوسف (იუსუფი) 1. სურნელოვანი მცენარე. 2. მ. ს. ს.<sup>22</sup>

## 1. კამარ

„წყალს გაღმა ქალსა გასწავლი, სახელად კამარ ქვიანო“ (ფ. კვიციანი. 1952. 12).

არ. قمر (ყამარ) 1. მთვარე. საცხე მთვარე. 2. ქ. ს. ს.<sup>23</sup>

## 2. კრახლამაჯი

„— სთხოვე, რომ კრახლამაჯის ყვავილი ჩამოგიტანოს“ (შ. ძიძ. 1959. 150).

„თქვენი შვილი ცის ანგელოზად დაიბადა და ცაში ცხოვრობს, მას სახელად კრახლამაჯი ჰქვია“ (შ. ძიძ. 1959. 151).

(?)

## 1. ლაღე

„ამ მეფეს ყავდა მოადგილე. მას ერქვა ლაღე. 70 წლის კაცი იქნებოდა“ (ნ. ნოღ. 1959. 147).

სპ. აყ (ლღე) 1. ტიტა. 2. ქ. ს. ს. 3. მ. ს. ს.

## 2. ლეილა

„მოვიდა სახლში დევი და დაიყვირა: ლეილი სად არის ქალო“ (მ. ჩიქ. 1956. 96).

არ. ليلى ~ ليلا (ლენლი ~ ლანლა) 1. ლამე. 2. ქ. ს. ს.

## 1. მამედ||მამუდა||მამუდი

„რუშტი ბეგმა ეს ლამაზი ქალი მუყუყვანა მამედ ფაშას და უთხრა, ცოლად უნდა შევირთაო“ (გ. ნოღ. 11, 1940. 63).

<sup>22</sup> იუსუფის პარალელურად გვხვდება=უსუფი, II უსობი, რომლებიც განხილული იქნება სათანადო ადგილას. იხ. მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 217.

<sup>23</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, თბ., 1965, გვ. 52; და აგრეთვე: დ. შენგელაია, მხეთუნახვი, თხზულებანი, IV, თბ., 1972, გვ. 266.

„ოსმანა და მამულა წეედნენ სანადიროთ კილობანას იქით“ (ჯ. ნოლ. 1972. 238).

„იყო ერთი მამულა ა. ამან დათესა სიმინდი“ (ქართ. ზღ. ავ. 1973. 26).

„იყო ერთი აუჯ-მამული, იარებოდა სანადიროთ“ (ჯ. ნოლ. 1972. 245).

არ. مَمُول (მა.მულ) 1. განთქმული. 2. მ. ს. ს.

اوچ مامو (აუჯ მამულ). სადაც,

اوچ (აუჯ)—ზენიტი, მალალი.

მემედა||მემედა||მემედი

„მეფეყინა ამ თემბელ მემედას სახლში ტყუთა უდომა და გადასწყვიტა ბაზარში წასვლა“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 204).

„უქანასკნელად დარჩა თემბელ მამედაი შით“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 57).

„იყო ერთი ცოლ-ქმარი. იმათ ყავლათ ერთი შვილი, სახელად ერქვა მემედი“ (ჯ. გოლ. II. 1972. 195).

არ. مَاهِي (მეჰმედი)~(მოჰჰამად) ღირსეული, ქებული 1. მ. ს. ს.

ფ. იუსტი ამ სახელს უკავშირებს მთვარეს.

Mahmat (pehl); Mäh = მთვარე

Mahi-awest. māhya = (მთვარეს მიეკუთვნება)<sup>24</sup>.

## 2. მანიჟა

„გაღმოიხედა მანიჟამ“ დანინახა ბეყანი და მოეწონა საშინლად“ (თ. რაზ. 1909. 256)

„ამათ მტერს აფრასიონ ხელმწიფეს ერთი მშვენიერი ქალი ჰყვანდა მანიჟა“ (თ. რაზ. 1909. 255).

სპ. منیره (მანიჟე) 1. ქ. ს. ს.

Manèrah (Merireh) ქ. ს. ს.<sup>25</sup>

## 8. მემიშ

„ბაბუას მამამ, მემიშ ნოლაიდელმა მოიტაცა ქალი“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 102).

თ. memiş = 1. მ. ს. ს.

## 4. მისრი

„ისმინა ღმერთმა ჭაკი ცხენის ხვეწნა და ეყოლა ერთი ვაჟი — სახელად მისრი დაარქვა“ (სვ. ზღ. 1893. 60).

<sup>24</sup> F. Justi, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 190.

არ. مصرى (მისრ) 1. ეგვიპტე. 2. ქ. ს. ს.

#### 5. მუზარბიი

„ყოფილა ერთი მეფე მუზარბიი“ (ხალხ. სიბრძ. 1. 1963. 461).

საგარაუდოა: (?) არ. مزارى (მუზარაიუსუნ) 1. ფერმერი სოფლის მეურნეობით დაკავებული. 2. მ. ს. ს.<sup>26</sup>

#### 6. მურადი

„მაგონს ყავდათ ორი შვილი ვაჟი და ქალი. ვაჟი იყო ჩვიდმეტრი წლის. სახელად ერქვა მურადი (ქ. ნოლ. II. 1940. 57).

არ. مراد (მორად) 1. სურვილი, მისწრაფება. 2. მ. ს. ს.

#### 7. მუხამელი

„მოქრილმა თავმა იგორავა, ბევრი კილომეტრი იგორავა და მივიდა მუხამელი“ (ქ. ნოლ. 1972. 241).

„მე სახელად მუხამელი მქვია“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 61).

არ. محمد (მოჰამად მუჰამად) 1. ღირსეული, ქებული. 2. მ. ს. ს. იხ. მამედ.

#### 1. ნაზი

„სახელად ერქვა ნაზი (ქ. ნოლ. 1. 1936. 35).

სპ. نازى (ნაზი) 1. ჭირვეული, ნაზი. 2. ქ. ს. ს.

#### 2. ნიაზ

„ბიქს სახელად ნიაზი დაარქვეს“ (ზ. თანდ. 1970. 145).

სპ. نياز (ნიაზ) 1. შეეყარებული. 2. მ. ს. ს.

Niyaz (Niyaz)<sup>27</sup>

#### 1. ომარ

„წამოვიდა ომალ ხანი, ზღვასავით მოაქნევს პირსა, დამაყაით ომალ ხანო, მე დაგაწვენევინებ ცხრილსა“ (გ. ნათ. 1950. 19).

ომალ = ომარ;

<sup>26</sup> „ამირანანის“ ერთ ძმობილს უსიპი ანუ უსუპი ერქვა. ეს სახელი უსათუოდ არაბიზრებულია. მართლაც, „ამირანანის“ სხვადასხვა ვერსიებში ეს სახელი სხვადასხვაგვარად არის გადმოცემული. ამ ეპოსის მეგრულ ვერსიაში მას მუზარბი ეწოდება. იხ. დ. შენგელაია. თხზულებანი, IV, 1972, გვ. 258.

<sup>27</sup> F. Iusti, დასახ. ნაშრომი, გვ. 229; თ. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.



არ. <sup>عمر</sup> عمر ~ <sup>عمر</sup> عمر ("ზრ~ოზარ)=1. სიცოცხლეს; 2. მ. ს. ს. მეორე ხალიფას სახელი ომარ-იბნ-ალ-ხათთაბის.

## მ. ოსმან

„ამ ქობულეთის რაიონში ცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი ოსმან-აღა ჭაყელი“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 57).

عثمان (ოსმან) 1. მ. ს. ს. 2. მესამე ხალიფას სახელი.

## 1. რიზა

„მას სახელად ერქვა რიზა“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 27).

სპ. رضا (რეზა) 1. თანხმობა, მოწონება. 2. მ. ს. ს.

## 2. როსტომი

„იყვენენ სამნი ძმანი, როსტომი, გივი და გოდერძი“ (გ. ნათ. 1950. 130)

სპ. رستم (როსტამ) 1. ლომი, გმირი. 2. მ. ს. ს.

Rostahm, Rostam (neupers.)<sup>28</sup>

## მ. რუშტი

„ეს კაცი ეტყვის, რომ მე ვარ ახალციხელი ფაშის შვილი, ჩემი სახელია რუშტი ბეგი და მე უნდა წაგიყვანო ცოლათო“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 62).

არ. رشيد (რუშიდ) 1. გონიერება, აზრიანობა, 2. მ. ს. ს.

შღრ. რაშიდ<sup>29</sup> = სწორი გზით მავალი.

## 1. სეფერ

„ერთს ერქვა იბრაჰიმ ბეგი, — მევორეს სეფერ ბეგი“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 101).

„გეგგო სეფერ ბეგმა აგი, უთხრა აღასან რუმ იდგა ხიზმეთ-ქრათ იმას“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 102).

სპ. سفر (სეფერ) 1. ცა, ციური 2. მ. ს. ს.

## 2. სულეიმან

„სულეიმან ეფენდის ყავდა სამი ვაჟი“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 86).

„ხემწიფე ყოფილა სულთან სულეიმან ეღა იმას ერთი ბექელი ქონია“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 107).

<sup>28</sup> F. Justi, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.

<sup>29</sup> A. de Biberstein Kasimirski, ტ. I. დასახ. ნაშრ., გვ. 865.

არ. سليمان (სოლეიმანი) 1. ბიბლიური მეფე. 2. მ. ს. ს.

## 8. სულუკმახი||სულკალმახი

„იყო ერთი მონადირე სახელად სულუკმახი“ (ფ. კვიციანი. 1952. 9).

سوخال ماهی (სუხალმაჰი) 1. წყალის, დინების თევზი, კალმახი.  
2. მ. ს. ს.

სადაც; სპ. سو (სუ) წყალი, მხარე; იხ. sōk—მხარე; ახ. სპ. sū, sūi; Nyberg-ი უკავშირებს ძვ. სპ. \*çava-ka ძვ. ირ. \*sraua—ka არ. srav-ს დინება<sup>30</sup>.

خال ماهی (ხალმაჰი) კალმახი, შდრ. ქართ. კალმახი, სადაც خال (ხალ) ნიშანი, წინწყალი, ხალი; შდრ. ქართ. = ხალი;

ماهی (მაჰი) თევზი. იხ. ამ სახელის ეტიმოლოგიისათვის<sup>31</sup>.

## 1. უსეინა

„შეისმინა ღმერთმა იმათი ვედრება და მიეცათ ერთი ვაჟი, რომელსაც დაარქვეს უსეინა“ (პ. უ. III, 1964. 70).

არ. حسين (ჰოსეინ) 1. ლამაზი, მშვენიერი, კარგი. 2. მ. ს. ს.

## 2. უსიბი||უსუფი

„სამი ძმანი იყვნენ: უსიბი, ზადრი და ამირანი“ (აღ. ლლონტი. 1948, 12).

„წევდნენ, ბევრი თუ ცოტა იარეს, მივლენ ჰაჯი უსუფთან“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 101).

იხ. იუსუფი<sup>32</sup>.

## 3. უჩმერჯან

„მინა შეჰერში ერთი უჩმერჯან ხანუმი და შენ ძმისთვიან ცოლად კარგია იგი, შენ მარტვაინუ ხარო.“

მე რუმ მარტვაი ვარ, წახვიდე უნდა და უჩმერჯან ხანუმი შეიყვანო მინა შეჰერიდანო“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 10).

თ. üçmercan = 1. ქ. ს. ს.

<sup>30</sup> თ. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

<sup>31</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 149; М. Я. Чиковани, Народный грузинский эпос о прикованном Амирани, М., 1966, с. 312—313; Г. А. Мелнишвили, Наирани Урарту, Тб., 1954; с. 122—123; ჯ. შარაშენიძე, ამირანის მამას სახელის სულკალმახის ეტიმოლოგიისათვის, ეურ. „კოსკარი“, 1976, № 7, გვ. 130—134; ლ. კოტაშვილი, სულკალმახის სახელის ეტიმოლოგიის შესახებ, „მნათობი“, 1979, № 11, გვ. 186—189.

<sup>32</sup> მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 215; დ. შენგელაია, IV, 1972. გვ. 258; მ. ჩიქოვანი, ქართ. ეპოსი, წიგნი, II, თბ., 1965, გვ. 50.

## 1. ფადიმე

„უფროსი ქალიშვილი — ფ ა დ ი მ ე გ ა გ ზ ა ე ნ ა წყლის მოსატანად“ (ნ. ნოდ. 1959. 261).

არ. **فاده** (ფატემე) 1. ქ. ს. ს.

## 2. ფირანი

„აფრასიონს ერთი ვეზირი ჰყავდა, ფ ი რ ა ნ ი ერქვა სახელად“ (თ. რაზ. 1909. 257).

**پيران** (ფირან) 1. ბერი, მოხუცებული. 2. მ. ს. ს.

**پير** (ფირ) ბერი, მოხუცებული.

**آن** (ან) - სუფ. რომელიც ხშირად გვხვდება საქ. სახელებთან შდრ. აღსართან, ხუზან, ხაზარან, ამირან).

## 3. ფირუზა

„ — მაგისტანა საკმელებს ხელმწიფის მწარეული ფ ი რ უ ზ ა აკეთებსო“ (ელ. ვირს. 1958. 143).

„ფ ი რ უ ზ ა ს შემწეობით მინდორი შეისყიდა ხელმწიფისაგან, გააშენეს ქალაქი, დაასახლეს ხალხი, გაჩაღდა დუქან-ბაზარი“ (ხალხ. სიბრძ. I. 1963. 475).

სპ. **فیروز** ~ **پروز** (ფირუზ, ფორუზ) 1. გამარჯვებული, ბედნიერი, ძლევამოსილი. 2. მ. ს. ს. საშ. სპ. **Pēroz, Pērōz** — გამარჯვება არ. **firuz** იხ.<sup>33</sup>

## 4. ფრიდონი

„როსტომს ჰყავდა სამი შვილი: ფ რ ი დ ო ნ ი, ავთანდილი და ტარიელი“ (გ. ნათ. 1950. 130).

სპ. **فریدون** (ფერიდუნ) 1. მ. ს. ს.

საშ. სპ. **Ferud, Firud**<sup>34</sup>.

## 1. ქაიხოსრო

„იყო და არა იყო, იყო ერთი ქ ა ი ხ ო ს რ ო ხემწივე“ (ყ. ნოდ. I. 1936. 92).

სპ. **کایخسرو** (ქეიხოსრო) 1. მ. ს. ს.

**کی** (ქეი) თავადი, უფლისწული; იხ.<sup>35</sup>

**خرو** (ხოსრო) 1. სახელოვანი, დიდებული; 2. მ. ს. ს.

<sup>33</sup> F. Justi. დასახ. ნაშრომი, გვ. 100, და თ. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, 113.

<sup>34</sup> F. Justi, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

<sup>35</sup> თ. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

## 2. ქაქაოზი||ქექევაზ

„როსტომი ქაქაოზ მეფეს ეტყვის: (თ. რაზ. II. 1952. 184).  
„ქაქაოზ, ბარგი იქ დადე, სადაც რომ უწინ გდებია“ (თ. რაზ. 1909. 248) „როსტომი იყო თურანელი: სცხოვრობდა ქექევაზ კეისრის საბძანებელში ადგილსა „ყარაიას“ (სვ. ზღ. 1893. 102).

სპ. كيكائوس (ქეი ქაქაოს) 1. მ. ს. ს.  
كي (ქეი) თავადი; უფლისწული.

## 8. ქეთუ

„ქეთუ ერქვა სახელად“ (სვ. ზღ. 1893. 96).

სპ. كيتون (ქეთაქონ) ქ. ს. ს.<sup>38</sup>

## 1. ყათლანი||ყაფლანი

„შეეძინათ ვაეიშვილი, დაარქვეს ყათლანი“ (ქს.სიხ. 1938. 89).

„მესამეთ მონადირეს ყაფლანი შეხთა“ (ქართ. ზღაპ. 1933. 35).

თ. kaplan=1. ვეფხვი. 2. მ. ს. ს.

## 2. ყარამანი

„მეფის შვილს ყარამანი ჰქვია“ (ელ. ვირს. 1949. 324).

„ყარამანს უხოცია დეეები, დადის და სულ ხოცავს“ (ქართ. მთ. ზეპ. 1958. 395).

„რომელიც ქალბატონისა არი შვილი, იმაჲ ყარამანი ქვიან“ (მარტ. 1956. 149).

სპ. قارمان (ყარემან) 1. გმირი, 2. მ. ს. ს.

## 8. ყარაბოღლი

„მკედლის შვილს ყარაბოღლი [დაარქვეს]“ (პ. უ. III. 1964. 213. 14).

„მეწისქვილის შვილს ყარაბოღლი დაარქვეს“ (გ. ნათ. 1950. 157).

„წაიყვანა სახლში ყარაბოღლი“ (მ. ჩიქ. 1938. 137).

<sup>38</sup> ამ სახელის შესახებ იხ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960, გვ. 154,5; როგორც ვხედავთ, სახელი ქეთუ სვანურ ზღაპარში გვხვდება. ცნობილია, რომ „ამირანიანის“ თქმულებაში ამირანმა მოიტაცა ქალი, რომელსაც ქართლურსა და კახურში კამარი, ფშავეურში ყამარი ჰქვია, სვანურში კი ქეთუ-ღ არის წოდებული.

„შვილი შეგვეძინა, რომელსაც ყარაბოლლი დავარქვითო“  
(ქს. სიხ. 1938. 90).

არ. عرب (ყ არაბ) არაბთა, არაბი.

თ. oqlu = შვილი; კომპოზიტია, რომლის პირველი კომპონენტი არაბულია, ხოლო მეორე—თურქული.

## 1. შახზადე, შახზენემი||შახზენუმი

„ყოფილა ერთი მეფე მას ყოლია ქალ-ვაჟი. ვაჟს ქვიოდა შახზადე, ქალს კი შახზენუმი“ (ნ. ნოლ. 1959. 809).

„მას ყოლია ძალიან ლამაზი გოგო სახელად შახზენემი“  
(ნ. ნოლ. 1959. 248).

სპ. شاهزاده (შახზადე) მეფის შვილი, უფლისწული.

სპ. شاهزنب (შახზენუმ) მეფის შვილი, ქალიშვილი. სპ. شاه (შაჰ).  
მეფე; სპ. شاهزاد (ზადე) შვილი, ვაჟი; სპ. شاهزنب (ზანუმ) შვილი,  
ქალი.

## 2. შემსიბანუ

„ამისთვის ესტირი ამ მეზერზე (საფლავზე), შით იმყოფება ჩემი  
შემსიბანუ“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 48).

„იმ პაწა გოგოს შემსიბანო ქვია“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 45).

არ. სპ. شمسى ~ شمس (შამსი, ~ შამს) 1. მზე. 2. ქ. ს. ს. 3. მ. ს. ს.

არ. شمس (შამს) მზე; სპ. شمس (ბანტი) ქალბატონი<sup>37</sup>.

## 1. ხასანა||ხუსანა

„ამ დროს გემოხვდა ადამიანის მსგავსი კაცი, სახელათ — ხასანა,  
აიარა მეორე სართული და შემოხვდა მეორე ადამიანის მსგავსი  
კაცი ხუსანა“ (მ. ჩიქ. 1938. 133).

„მას ყავდა ორი ვაჟი — ხასანა და ხუსეინი“ (ნ. ნოლ. 1959. 174).

„ამ ფუხარას ერქვა ხუსეინი“ (ნ. ნოლ. 1959. 187).

არ. حسن (ჰასან) 1. ლამაზი, მშვენიერი, ჯარგი. 2. მ. ს. ს.

არ. حسين (ჰოსეინ) იხ. უსეინა.

## 2. ხენიფე

„შვილო ხენიფე მიდი სახლში“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 35).

„გერს სახელათ ერქვა ხენიფე“ (ქართ. ზღ. აკ. 1973. 74).

<sup>37</sup> სპარსულ ფოლკლორში და დასთანებში „შამს“ გვხვდება მამაკაცის საკ. სახელად. შამს ვეზირი—„ამირარსლანის“ დასთანის გმირია. სპარსული რომანი. „შამსო თორლა“, იხ. მ. ივანიშვილი, მოკამედ ბაყერ ხოსროვის ისტორიული რომანი „შამსო თორლა“, თბ., 1979.

არ. خنفة (ხენიჭე) 1. ქ. ს. ს. ნამდვილი.

### 3. ხოსრო

„დაჭდება და უცქერის ხოსრო დოვლათიანი“ (თ. რაზ. I. 1909. 72).

სპ. خسرو (ხოსროუ) 1. სახელოვანი, დიდებული. 2. მ. ს. ს. ხოსრო—არ. ქისრა—საქ. სახელია სასანიანთა დინასტიის ორი შაჰინშაჰისა. ხოსრო I ანუშირვანისა და ხოსრო II ფარეზისა (VI—VII სს.) აღმოსავლეთის ისტორიკოსთა მიერ გაგებულა როგორც ირანის მეფეთა ტიტული.

### 4. ხურომანი

„როსტომის სიტყვა ასრულდა, ხურომანს გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც ზურაბი დაარქვა“ (თ. რაზ. 1909. 446).

არ. خروم (ხურამა) 1. სურნელოვანი მცენარე. 2. ქ. ს. ს. იხ.<sup>38</sup>

### 1. ჯანშარი

„სახელად ჯანშარი მქვია“ (ზ. თანდ. 1970. 58).

სპ. جانشیر (ჯანენშირ) ახალგაზრდა ლომი. جوان (ჯავან) ახალგაზრდა شیر (შირ) ლომი. 2. მ. ს. ს.

### 2. ჯემალ

„ჯემალ ბეგის იყო ხულა და შუახევი“ (ჯ. ნოლ. 1972. 242).

არ. جمال (ჯამალ) 1. სილამაზე 2. მ. ს. ს.<sup>39</sup>

### 3. ჯიჰან-შაჰ

„სახელად დაურქმევიათ ჯიჰან-შაჰი“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 40).

სპ. جهانشاه (ჯაჰანშაჰ) 1. მ. ს. ს.

სპ. جهان (ჯაჰან) ქვეყანა; სპ. شاه (შაჰ მეფე).

### 1. ჰარზი

„ბოლოს მოხუცებულობაში ქალიშვილი შეეძინათ და სახელად ჰარზი დაარქვეს (ჯ. ნოლ. II. 1940. 37).

არ. هارز (ჰარის) 1. ფხიზელი, მცველი. 2. ქ. ს. ს. იხ.<sup>40</sup>

### 2. ჰარნი

„ამ დროს ჰარნი ერთი თვისა იყო, ნიაზი კი ერთი წლის“ (ზ. თანდ. 1970. 145).

(?)

<sup>38</sup> A. de Biberstein Kasimirski, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 565.

<sup>39</sup> F. Justi, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

<sup>40</sup> A. de Biberstein Kasimirski, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 407.

## 8. ჰუეუაბი

„ამ ნასტავლმა დეამშობილა ბელყიამ. ნასტავლ ჰქეია ჰუეუაბი“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 107).

არ. **أَبَا** (‘ჟუეაბ) 1. არწივი. 2. გმირი. 3. არწივის გამო-  
სახულებიანი მუჰამედის დროშის სახელი. 4. მ. ს. ს. იხ.<sup>41</sup>

## ბ. გრძნულ პერსონაჟთა საკუთარი სახელები

### 1. დევები<sup>42</sup>

#### 1. ალფან დევი

„ჩადეთ შიგ და ალფან დევის მოტანილი ქვა დაადეთო“  
(პ. უ. IV. 1964. 29).

ალფან დევი = არქან დევი ლიტერატურული როსტომიანის პერსონაჟია.

არ. სპ. **اركان** (არქან) ბოძი, საყრდენი.

შესაძლებელია: დევთა საყრდენი, სამაგრი, მთავარის მნიშვნელობით.

შდრ. სპარსული **اركان** (არქან-ე დაელათ) სახელმწიფო ბურჯი. უფროსი. მეთაურის მნიშვნელობით.

#### 2. ბაქაქანჯომი

„ამ დევს ეწოდება ბაბაქანჯომი“ (ელ. ვირს. 1949. 277).

სპ. **باباكان** (ბაბაქ) 1. მ. ს. ს.

სპ. **بَابَاكَان** (ბაბაქან) დამთავრებული, მოთავებული, სრული ე. ი. ალფან და ბაბაქანჯომი ორივე დევი ძლიერის მნიშვნელობითაა.

## 8. ყასირ დევი

„ყასირ დევი იყო ერთი, რომელიც რომ ჰამდა ადამიანს დედომიწაზე“ (ჯ. ნოლ. 1972. 240).

არ. **قاسر** (ყასერ) პატარა, არასრულწლოვანი, სუსტი დეფექტური.

### 9. ცხენები<sup>43</sup>

<sup>41</sup> A. de. Biberstein Kasimirski, დასახ. ნაშრომი, ტ. I. გვ. 403.

<sup>42</sup> დევებს, როგორც გრძნულ პერსონაჟებს, განვიხილავთ. სათანადო ადგილას.

<sup>43</sup> „თურქულენოვან ხალხების ეპოსში ცხენს საკუთარი სახელი აქვს და ეს სახელი ან ცხენის ფერის გამომხატველი სიტყვა ხშირად გმირის საკუთარ სახელში შედის,

## 1. ეშყერი

„ცხენს სახელათ ეშყერი ქვია“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 70).  
შესაძლებელია: არ. სპ. عشق (ეშყ) სიყვარული.

## 2. იელყირათი

„არსიან თაზე ერთი იელყირათი (ქარის ცხენი) არის...  
...რომე მე მივალ არსიან თაზე იელყირათის მოსაყვანად“  
(ჯ. ნოლ. I. 1936. 6. 7).

„რომ მონახვიდე კარგი იქნება, ბელქი შეხდები სადმე მას შაკი  
ქარის ცხენი (ჯ. ნოლ. I. 1936. 96)

თ. yel = ქარი.

თ. kirat = ცხენის საკ. სახელი<sup>44</sup>.

## 3. ქაილანი

„ჩემი ცხენის სახელი არის ქაილანი ლურჯა“ (ელ. ვირს.  
1958. 208). (?)

## 4. ყემართა

„— ბიქს, რომელსაც შახისმაილი დაარქვეს, ცხენს — ყემართაი“ (ნ. ნოლ. 1959. 184).

„მაშინ თქვა ამ ავარა კაცმა, რომ ბიქს ქვია შაისმეილი, ცხენს კო  
ყემერთაო“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 23).

თ. kemer tay = ყამარი კვიცი, მთვარე კვიცი.

## 8. გველი

### 1. შაჰ-მერანი

„გველების ფადიშაჰს ერქვა შაჰ-მერანი“ (ჯ. ნოლ. II. 1972.  
106).

„მივიდა მასთან გველების მეფე შაჰმერანი და უთხ-  
რა: (ზ. თანდ. 1970. 63).

شاهماران (შა მარან) გველების მეფე.

სპ. شاه (შა) მეფე. სპ. مار (მარ) გველი.

آن (ან) სუფ. რომელიც ერთვის საკ. სახელებს.

როგორც აუცილებელი კომპონენტი“. იხ. ლ. ჩლაიძე, ქოროღლის ეპოსი და მისი ქართული ვერსია, 1975, გვ. 89—93.

<sup>44</sup> ვრც. იხ. ლ. ჩლაიძე, ქოროღლის ეპოსი და მისი ქართული ვერსია, თბ., 1975, გვ. 89—93.

მეცნიერები სხვადასხვადაზღვევენ თ. Kirat = ალაყი, შეიძლება ნაცრის-  
ფერი წინწკლები ჰქონდეს. იხ. В. М. Жирмунский, Х. Т. Зарифов, Узбекский народный героический эпос, 1947, с. 185, თ. kizat = ლეგა, ყომრალი ფერის მუქი მოწითალო წინწკლებიანი ცხენი. იხ. Б. А. Кариев, Сказание о Кер-оглы у тюркоязычных народов, М., 1968, с. 125.



## 2. საზოგადო სახელეები

### ა. გრძნეული პერსონაჟები

ქართულ საზღაპრო ეპოსში, გრძნეულ პერსონაჟთა შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღმოსავლურ ფოლკლორს ენიჭება, რაც აიხსნება უძველესი ისტორიული კავშირითა და რელიგიის ერთიანობით. უძველესი რელიგიური ტექსტები არის სწორედ ის ძირითადი საფუძველი ზღაპრის გრძნეულ პერსონაჟთა წარმოქმნისა აღმოსავლეთში, რომელთა აღმოსავლურ წარმომავლობაზე მათი სახელწოდების ეტიმოლოგია მიუთითებს<sup>45</sup>.

გრძნეული პერსონაჟები (ეშმაკი, გველეშაპი, ფასკუნჯი, დევი) ამომწურავად შესწავლილია მ. ჩაჩავას მიერ<sup>46</sup>. ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და დავუმატებთ მხოლოდ ერთს: ქართულ ზღაპრებში გვხვდება დევის საკუთარი სახელები, რომლებიც, ჩვენი აზრით, დევს სხვა დევებისაგან განასხვავებს<sup>47</sup>.

#### 1. აუღიარი

„იარა, იარა და მიადგა ერთ ტყეს. შეხვდა აუღიარი გველი“ (ზ. თანდ. 1970. 130).

„ცოტა ხნის შემდეგ ტყიდან უშველებელი აუღიარი გველი გამოცურდა“ (ზ. თანდ. 1970. 130).

სპ. اژداه - اژداه (აუღარჰა, აუღაჰა) გველეშაპი, ურჩხული.

#### 2. არაბი

„ენახოთ, გამოვიდა უზარმაზარი არაბი, ისეთი უშნო, რომ ქვედა ტუჩი მიწაზე დასთრევედა და ზედა თავზე ჰქონდა გადაფარებული“ (ხალხ. სიბრ. II. 1864. 390).

„გამოვიდა ისევ ის საძაგელი ლაშვიანი არაბი“ (ხალხ. სიბრ. II. 1964. 390).

„მეფის საბძანებელში მოვიდა ერთი გულთმისანი არაბი და სთქვა, თუ მეფის ასულის სახეს დამანახებენ; იმის სახელს გამვიცნობო. ერთხელ მეფის ასული აბანოში წაბრძანდა. პირისახე პირბადით ჰქონდა დამალული. მაგრამ აბანოლან რომ

<sup>45</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 35, 37, 147—8, 238, 310—11, 317 და სხვ.

<sup>46</sup> მ. ჩაჩავა, დემონური პერსონაჟები ქართულ ფოლკლორში; თბ., 1971, გვ. 1—256 (ეშმაკი, გვ. 8—51), გველეშაპი, გვ. 52—107, სიურღა—ფასკუნჯი, გვ. 108—173; დევი, გვ. 174—248); მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, I, თბ., 1938, შესავალი.

<sup>47</sup> იხ. ცხოველთა საკუთარი სახელები; დევები, ცხენები, გველი.

დაბრუნდა, პირბაღე ცოტათი გადაეხადა და არაბმა დაუნახა პირისახე, მაშინვე გაიგო არაბმა რაც ერქვა სახელად“ (პ. უ. III. 1964. 119).

არ. عرب ('არაბ) = ამ მაგალითებში აღმოსავლური წარმოშობის. გრძნეული პერსონაჟია. ლაშინი არაბი = თურქული ზღაპრის. გრძნეული პერსონაჟია. ვრც. იხ.<sup>48</sup>  
ზღაპრებში „არაბი“ ჯაღოსან მსახურებს ეწოდებოდათ ხოლმე.

### 8. გველეშაპი

„რა ვქნათო, წყალი გველეშაპს უჭირამს, თითო მზეთუნახავი თუ არ მივეციოთ არ იქნება“ (პ. უ. III. 1964. 78).  
„ფასკუნდის ბარტყებს გველეშაპი ჰყოლიო შეჩვეული დაეჭამა“ (თ. რაზ. I. 1951. 280).

სპ. *أرآءا*—*أرآءا* (აედარჰა, აედაჰა) გველეშაპი, ურჩხული. იხ. აედიარი. ფალ. *višap—viša* = შხამს ნიშნავს.  
*aři višapa*—გველ ვეშაპი, სადაც *aři* = გველს; *višapa* = ვეშაპს. ვრც. იხ.<sup>49</sup>

### 4. დევი

„ერთხელ ნახეს, რომ ერთი დევი იძახოდა: ვის უნდა შვილი-ერების წამალი, სანახევროდ მივეცემო“ (პ. უ. III. 1964. 143).

„და შენც ჩაგვარდნია სიყვარული სამ ძმა დევეების დისაო“ (პ. უ. III. 1964. 58).

„ამის გაგონებაზე გამოვარდა კარგი მდევი და ერთი მოლისას ძლივს შეასწრო შევარდნა სახლში. დევემა შესჩივლა მოლას“ (ქს. სიხ. 1938. 146).

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „დევი“ — ეშმაკის ბოროტი სულის მნიშვნელობით (ქრისტიანული გაგებით) — შედარებით იშვიათად გვხვდება ქართულ ძეგლებში. იგი უფრო მოგვიანებით ვრცელდება, როგორც ჩანს, ახალი სპარსულიდან შემოსული უკვე სპეციალური ზღაპრული გიგანტის, ქვაბთა მცხოვრების მნიშვნელობით, და ძალიან გავრცელებულია საერო ლიტერატურასა და ფოლკლორში<sup>50</sup>.

<sup>48</sup> ლ. ჩლაიძე, თურქული ზღაპრები, თბ., 1972, გვ. 5—8; მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, თბ., 1965, გვ. 96 (უზარმაზარი ტურგაქრილი, ლაშინი, გულთმისანი, ყველა ესენი ეპითეტებია გრძ. პერსონაჟის არაბისა). იხ. ამირანიანის ერთ-ერთი მოქმედი პირი აშბრი არაბი. იგი ტურგაქრილსაც ნიშნავს. თ. რაზ. ხალხური ზღ. კახეთში შეკრებილი, 1952, გვ. 35. 55.

<sup>49</sup> მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, 238; მ. ჩაჩავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 52—107.

<sup>50</sup> მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, თბ., 1966, გვ. 310, 311; მ. ჩაჩავა, დასახ. ნაშრომი, თბ., 1971, გვ. 174—248.

ძვ. ირ. daiva

ახ. სპ. دای (დნე) 1. ეშმაკი, მდევი, ბოროტი სული. 2. გიგანტი, გოლიათი.

### 6. დოვლეთ ყუში

„როდესაც ხენწიფე მოკვდება, ერთი დოვლეთ ყუში (სამეფო ჩიტი) ჰყოლიან...“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 20).

„ჩოულობა ისეთი ქონიან იმ ხალხს, რომე ჰყოლიან ერთი ფრინველი „დოვლეთ ყუში“ იმას გუუშვებენ და ვისაც მაი დუუყდება თავზე, იმას, ეირჩევენ ხელმწიფეთ“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 77).

არ. دولت (დავლათ) 1. სახელმწიფო, სამეფო. 2. ბედნიერება—გონება.

თ. kuçya = ჩიტი, ფრინველი

ბედნიერების სიმბოლური ფრინველი.

### 6. ვეშაპი

„ბევრი იარა თუ ცოტა იარა და მივიდა ვეშაპის კარზე, იცნო ცოლმა და ტირილით მიეგება“ (თ. რაზ. I. 1951. 298).

višapa—ვეშაპი (იხ. გველეშაპი)

### 6. ეზრაილი

„მე ვარ ეზრაილი, შენნა სული აგართვა და მეჩქარებაო“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 144).

არ. عزرائيل (აზრაილ) 1. სიკვდილის ანგელოზი. საკ. სახელი. გრძნეული პერსონაჟი.

არ. ملك المواد ~ عزرايل = ნიშნავს სიკვდილის ანგელოზს, ეზრაილ

### 7. ეშმაკი

„ოლ-ქმრის მეზობლად ეშმაკები ცხოვრობდნენ“ (თ. რაზ. I. 1951. 130).

„ეშმაკი მაშინვე დაედევნა უკან“ (თ. რაზ. I. 1951. 232).

ეშმა (ეშმაკი)—ბოროტი გენია, ავი სული, სატანა

ავესტაში—aēšma—ავი, ბოროტი, ცოფიანი, მრისხანე, ვრც. იხ.<sup>51</sup>

### 8. ეჭელი

„ეს იმიტომ იყო, შენი დედა იყო მუზი და იმიტომ ეჭელმა, რომ მოვიდა, ამოგლიჯა პირში ენა და პირიდან წამოვიდა სისხლი, რომელმაც ტპათ დადგა“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 104).

<sup>51</sup> მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37, 317; მ. ჩაჩავეა, დასახ. ნაშრომი, გვ. 8—51, (სადაც ლიტერატურად არის შესწავლული პერსონაჟი).

არ. **أجل** (აჯალ)—1. მუს. სულთამხუთავი. აჯალი. ვრც. იხ.<sup>52</sup>  
სიკვდილის დრო.

## 9. მუზი

„ეს იმიტომ იყო, რომ შენი დედა იყო მ უ ზ ი“ (ჭ. ნოლ. II. 1940. 104).

არ. **موز** (მოზავეარ) თარსი, დამსმენი, ენატანია, ქორიკანა.

## 10. სიპირი, მეცარი

„მაგ გოგოსთან ჩემმა ს ი პ ი რ მ ა ვერ იმუშავა და ვერ ვითხტე“  
(ქართ. ზღ. აჭ. 1973. 62).

„ეს გოგომ რომ დეინახა ქოსამ, თურმე მისი ს ი პ ი რ ი მეწეშალა“  
(ქართ. ზღ. აჭ. 1973. 65).

„ამ ვაუს მეგემ ეს ქალი ძლიერ მოწონდა, ჰამა თხოვნით თხოვნი-  
ლობდა, რადგან ეს გოგო ს ი პ ი რ ი ა ნ ი მ ე ც ა რ ი ყოფილა  
მეგემ“ (ჭ. ნოლ. II. 1940. 99).

არ. **سیر** (სერარ)—იღუმალი, ფარული, საიდუმლოებრივი.

მეცარი—მე-სერ=ე-მე-ცარ-ი=გულთმისანი, ყველაფრის  
მცოდნე, გულთა მესაიდუმლე.

## 11. ფალჯი

„გარდაიცვა ფ ა ლ ჯ ე ქალის ურუბა, ხელში ქახალდი დეიკავა  
და დეაწყო იმ ტყეში სიარული“.

არ. **فالج** (ფალ) მკითხავი, მისანი. წინასწარმეტყველი

თ. **falci**←არ. სპ. **falc**+თ. **ci**=მისანი, გრძნეული, მკითხავი,  
წინასწარმეტყველი.

## 12. ფეილამბარი

„ამ ხემწიფეს ეს გოგო რომ შეიძინა, ორი ფ ე ლ ა მ ბ ა რ ი  
შევდა, პირველმა ფ ე ლ ა მ ბ ა რ მ ა ამ გოგოს შეაბა კლავზე  
ფაზმანდი და უთხრა, ეს ფაზმანდი რო მეახსნას, იმ წუთში მოკ-  
ვდესო“. ხოლო კდარს რომ შეაბან, იმ წუთში გაცოცხლდესო“  
(ქართ. ზღ. აჭ. 1973, 79).

სპ. **فيلامبر** ~ **فيلامبر** (ფეილამბარ) მუს. წინასწარმეტყველი, ალაპის-  
მოცოქული.

<sup>52</sup> ალ. გვახარია, ტაჯიკური ზღაპრები, თბ., 1962, გვ. 210 (სადაც აღ-  
ნიშნავს, რომ გვხვდება „აჯალდეი“=დეეთა მკვლელი, დევების რისხვა).

### 13. ფერი

„ინსანი ხარ, ჯინი ხარ, ფერი ხარ თუ რაო?“ (ქ. ნოლ. I. 1936. 75).

სპ. *ری* (ფერი) სასწაულმოქმედი ზებუნებრივი არსება, ტყის ქალი, ფერია, გრძნეული.

### 14. ჯაზი

„— ასე და ასეა საქმე, პატარძალი ჯაზია და შენი შეილი ქმრობას ვერ უწევსო“ (ზ. თანდ. 1970. 123. 4).

„ბალის პატრონი ერთი ჯაზინეა“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 129).

„ახლა მე მივდივარ ჩემ ძმებთან და მამასთან, თასში ხედავს თეირანი ჯაზი მოპყავან. მე და ფირმემედი როდის შევებრძებით, იმას გვეტყვიან და სასტიკად მეჩქარება“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 143).

სპ. *جادوگر ~ جادو کر ~ جادو* (ჯადღუ, ჯადღქარ, ჯადღგარ) ჯადოქარი, მკითხავი, მისანი, გრძნეული, კუდიანი, ავი სული.

### 15. ჯაზის ლომპაპი

„ამ შენობის ფენჯერაში ერთი დიდი ჯაზის ლომპაპი გადმონდგარა და ელოდება ჩემ ქალს და კიდევ უსაყვედურა“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973, 127, 8).

ჯაზის ლომპაპი —

ჯაზი-ჯადო (?)

ლომპაპი = ზღაპრული ცხოველი, ზღაპართა პერსონაჟი, საშინელი და საზარელი, — ურჩხული. „ლომპაპი [რ]კინის პალოზება მიბმული თურმე, ქვეყნის დაქვევის დროს ეიწყვედეს“;

„ამ დევების უფროსი რომპაპი დევია“... იხ.<sup>53</sup>

### 16. ჯინი

„ბოლოს გეიგო ბიჭმა, რომ ეს ქალი ყოფილა ჯინი“ (ქართ. ზღ. აჭ. 173. 95).

„ამდენ ხან არ გიკითხავს ჩემთვის — ვისი შეილი ხარ, ვინ ხარ, რა ხარ? ინსანი ხარ; ჯინი (ჯადო) ხარ. ფერი (ეშმაკი) ხარ თუ რაო?“ (ქ. ნოლ. I. 1936. 75).

არ. *جن* (ჯინ) ჯინი, სული, ჭინკა, გრძნეული, ჯადოქარი.

<sup>53</sup> მ. ჩიქოვანი, ლომპაპს = რომპაპს აიკვებებს ქართ. როკათან, და ამირანის ორეულად წარმოვედგენს, რაც წარმოუდგენელია. იხ. მ. ჩიქოვანი, „მიჯაჭვეული ამირანი“, თბ., 1947. გვ. 117—124.

## 17. ქაჯი||ელქაჯი

„ — მზეკაბუჯთან მე ვიყავი, ქაჯებს სყავთ ტყვედ მოტაცებულნი“ (თ. რაზ. I. 1951. 258).

„იქ სამი ყავი ელქაჯების საჩხუბარი ტანსაცმელი ნახეს მათ“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 99).

სპ.  $\dot{\text{ع}}\dot{\text{ك}} \sim \text{ك}\dot{\text{ع}}$  (ქაჯ~ქოშ) ელამი, მკვლელი (ქაჯ) ელამი, იხ.<sup>54</sup>

## ბ. რეალური პერსონაჟები

ქართულ ხალხურ ზღაპრებში, გარდა გრძელეული პერსონაჟებისა, გვხვდება რეალური ყოფიდან შემოსული აღმოსავლური წარმოშობის პერსონაჟები:

### 1. არაბი

„ამ არაბს დიდიხანია, რაც თვალი ეკირა მზეთუნახავ ქალზე“ (ხალხ. სიბრძ. I. 1963. 399).

„ხელმწიფემ ქალი მისცა ვაჟს, თან ერთი არაბი გაატანა მოსამსახურედ“ (ქს. სიხ. 1938. 189).

„ეს როგორ მეწერა, რომ არაბი უნდა შემხვედროდა ქმრად?“ (შ. ძიძ. 1959—27).

„მატარა რამდენიმე ხანი და მომიყვანა ერთ სახთან, რომლის ბალკოში არაბი უცდიდა“ (ალ. ღლონტი. 1948. 133).

არ.  $\text{عرب}$  ('არაბ) არაბი.

### 2. დუნიავუზელი

„იქ არის ჩვენი ხემწიფის დუნიავუზელი (ქვეყნად ულამაზესი) მზის ქალი“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 16).

„სადაც ერთი შვენიერი დუნიავუზელი ქალი ნახა“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 64).

---

<sup>54</sup> შ. ჩიჯავაძე, სინამდვილის ასახვის საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში, გაზ. თბილისი, 1963, 7. I. ერთი რუსთველოლოგიური წერილის გამო, თელავის პედ. ინსტ. შრ., V, 1964; აგრეთვე ქაჯ-პერსონაჟთა საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში, ლიტ. აპკრა, 1964, № 5; ლ. ჩ.ლაიძე, ქართულ-აღმოსავლური დემონოლოგიური ურთიერთობიდან, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1975, № 1, გვ. 125—133.

ქაჯი — ამ სიტყვის საბაზოლ სპარსულში ნახმარია სიტყვა ჭინ—ემჰაკი, მანე, დემონი, გვხვდება აგრეთვე დევის მნიშვნელობით. იხ. დ. კობიძე, შამ-ნამეს ქართული ვერსიები, თბ., 1974, ტ. III, გვ. 645, იხ. აგრეთვე: ი. კალაძე, უნსურის ეპიკური შემკვიდრება, თბ., 1983, გვ. 182—183 (რუს. ენაზე).

„ახლოს მივდა, დეანახა, რომ დუნია გუზელი გოგო ტირის და ქორი თვალებიდან აღმასები ეყრება“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 109).

„ერთ მოლას სამი გოგო ყავდა. სულ პაწია დუნია გუზელი ყოფილა“ (ნ. ნოდ. 1959. 266).

თ. Dünja güzeli დუნია გუზელი—სიტყვასიტყვით: ქვეყნიერების ლამაზი. ანე ჰქვია თურქული ზღაპრების მზეთუნახავს.

## 8. თათარი

„ერთ თათარს თურმე შვილი არ ჰყავს“ (თ. რაზ. 1909. 165).

„ხელმწიფემ ის გამოაგდო — თათარი“ (ელ. ვირს. 1949. 205).

„...შემდეგ შეხვდა თათარი“ (ხალხ. სიბრძ. II. 1964. 338).

„ცოტა ხანში დუნია ერი მოგროვდა: დიდი და პატარა, თათარი, ურია, ბერძენი, არაბი, ერთი სიტყვით, ერთი კაცი არ დარჩა მუსვლელი“ (თ. რაზ. 1909. 262).

სპ. ტან (თათარ)—მოწვლთა ტომია, წარმოშობით იგივეა, რაც მონღოლები (თურქები, სპარსელები), რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ და თავისთავს უწოდებდნენ თათარს. ქართულში ეს სიტყვა დაუკავშირდა ყველა დამპყრობელს.

## 4. მოლა ნესრეთი

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოლა ნესრეთი“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 146).

თ. Molla Nasreddin.

## 5. ნაიბი

„კითხვა-კითხვით გაიგო, რომ იმისი ცოლი სამეტოში ნაიბს წაეყვანა, მაგრამ ნაიბი მომკვდარიყო და იმის ცოლს ემსახურებოდა“ (თ. რაზ. 1909. 115).

არ. نایب (ნაიბ) ნაცვალი, поручик, მდივანი.

## 6. ნესტან-დარეჯანი

„ხელმწიფეს ჰყავდა მშვენიერი და ლამაზი ქალი ნესტან-დარეჯანი. ამ დროს ხორასნის ხელმწიფის შვილისაგან ნესტან-დარეჯანის მამას კაცი მოუვიდა შენი ქალი უნდა მომცეო“ (გ. ნათ. 1950. 130).

„ქაიხოსროს ყავდა ერთი მზისუნახავი — სახელად ეთქვა მელტონ-დარეჯანი“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 92).

نست اندر جهان (ნისტ ანდარ ჯეჰან) (Nest—andare—ჯა<ha>n)  
აღმოსავლური წარმოშობის სახელია და ქართულ ფოლკლორ-

ში შემოსულია „ვეფხისტყაოსნის“ გზით. ნიშნავს — უბად-  
ლოს. იხ.<sup>55</sup>

## 7. ურია

„აჰა, ოც თუმანს უ რ ი ა მომცემდა უბრალო ქათამში?“ (ე. თაყ. II. 1918. 27).

„იქ ახლოს ერთი უ რ ი ა იდგა, იმან გაიგო ეს ამ ბაეი და სთქვა“:  
(თ. რაზ. 1909. 163).

„ამ დროს იმათ კარებზე უ რ ი ა მოვიდა, — ქარაენი მიუდიოდა, სავაჭრო მოქმონდა... ისეთია ეს ქარაენის უფროსი უ რ ი ა, სიხარულით ფეხზედ აღარა დგას. ეს რა კარგი კაცი ვიშოვეო“  
(თ. რაზ. 1909. 64).

„ბულბულის ცოლს ძალიან ლამაზი ქალი ჰყვანდა, ერთხელ დაინახეს, რომ უ რ ი ა მოდიოდა“ (თ. რაზ. 1909. 163).

არ. აჰა (მაჰუდ) ურია.

## 8. გეოგრაფიული სახელები

ქართულ ხალხურ ზღაპრებში პერსონაჟების სამოქმედო გეოგრაფიულ სახელთა წარმომავლობა უმეტესად აღმოსავლურია<sup>56</sup>.

### ა. გეოგრაფიული გარემო

#### 1. არაბეთი

„იქ რო დადიოდა არაბეთში, იქ ისწავლა ეს თვალთმაქცობა“ (ე. თაყ. II. 1918. 164).

„ერთ ფაშას იქ ყოლია არაბეთიდან ჩამოყვანილი ცხენი“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 103).

---

<sup>55</sup> Г. В. Церетели, «Нестан-Дареджан» в среднеазиатском арабском фольклоре, Сб., Руставели к 750 летию «Вепхистгаосани» с. 15. отд. оттиск. Тб., 1938, Н. М ар р, Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы, ЖМНП, 1899, Дек. с. 233; დ. შენგელაია, მზეთუნახავი, IV, 1972, გვ. 269.

<sup>56</sup> ქართულ ფოლკლორისტიკაში გეოგრაფიული სახელები ერთ-ერთი შეუსწავლელი საკითხია. მ. ჩიქოვანის მიერ შესწავლილია „ამირანის თქმულებაში შესული გეოგრაფიული სახელები“, იხ. მ. ჩიქოვანი, ამირანის თქმულებაში შესული გეოგრაფიული სახელები, საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად, თბ., 1959, გვ. 355—369.



„ყერიბმა გოგოს ნიშნად ალთუნის თასი დუუტია და თვითონ წევ-  
და ა რ ა ბ ი ს ტ ა ნ შ ი“ (ნ. ნოლ. 1959. 248).

არ. სპ. عرستان ('არაბესთან) არაბეთი—ფართო გეოგრაფიული  
ცნებაა, დღეს მასში შედის ეგვიპტე, სირია, ლიბანი, იორდანია  
და სხვა.

## 2. ბაღდადი

„ეგ ტანსაცმელი ბ ა ღ დ ა დ ს შეუკერავთ, ზედ წითელ-წითელი  
ზოლებიც დაუყოლებიათ, შენ მაგას ვინ მოგცემდაო!“ (ალ. ღლონ-  
ტი. 1948. 138).

„ძილმა წამილო, ბურანმა: ცალი ფეხი ბ ა ღ დ ა დ ს მდგა, ცალი  
ბ ა ღ დ ა დ ის ბოლოს; აქეთ მზე მეჭდა, იქით მთვარე შუქურ-  
ვარსკვლავი ხელ-პირს მამანიებდა“ (ელ. ვირს. 1949. 394) (მ. ჩიქ.  
III. 1956. 117).

სპ. بغداد (ბაღდად) ქ. ბაღდადი.

## 3. იერუსალიმი

„სოლომონ ბრძენმა ი ე რ უ ს ა ლ ი მ ს ტაძარი რო ააშენა, გაგ-  
ზავნა ჩაფრები მთელს ქვეყანას“ (თ. რაზ. 1909. 262).

„ბიჭო აქამდინ სულ ლოცვებს ეშვრებოდი, მოლ ახლა სულის საქ-  
მეზე დავდგები, ი ე რ უ ს ა ლ ი მ შ ი წავალ და ბერად შევდგები“  
(ხალხ. სიბრძნე. I. 1936. 26).

„წავიდა მგელი ი ე რ უ ს ა ლ ი მ შ ი და ბოლოს მივიდა. ამასო-  
ბაში კიდევ მოშიქდა. იერუსალიმი ღელეში მდებარეობდა. მივიდა  
მგელი და გადახედა სერიდან“ (ხალხ. სიბრძნე. I. 1963. 26).

اورشليم ~ اورشلیم (ორ[ა]შალიმ, ურ[ა]შალიმ) იერუსალიმი.

## 4. ინდოეთი

„ფადიშაჰის უმცროს ქალიშვილს ი ნ დ ო თ ფადიშაჰის ბიჭი ჰყვა-  
რებდა“ (ზ. თანდ. 1970. 82).

„ბიჭმა მიაღწია ი ნ დ ო ე თ ს, შევიდა ფადიშაჰის ბაღში, მოკრი-  
ფა ვარდები... ი ნ დ ო თ ფადიშაჰის ვაჟმა ყველგან ცხენოსნები  
დაგზავნა, მაგრამ ვარდი უკვე ხემწიფის ქალიშვილს ჰქონდა  
(ზ. თანდ. 1970. 84).

„ბიჭი მაშინვე შეჭდა ცხენზე და ი ნ დ ო ე თ ის ა კ ე ნ გაემართა“  
(ზ. თანდ. 1970. 83).

არ. هندوستان (ჰენდუსთან) ინდოეთი.

არ. هند (ჰენდ) ინდოეთი.

## 5. მისრეთი

„ — ვინ არის თქვენი ხელმწიფე, — ჰკითხა მეფემ.

— ჩვენი ხემწიფე მის რეთის ხემწიფეა, — გასათხოვარი ქალია“ (გ. ნათ. 1950. 123. 125).

არ. مصر (მეწარ) ეგვიპტე.

## 7. მურსა

„ერთი მურსელი იარებოდა სანადიროთ და დეინახა ხოკერი თავი“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 160).

შესაძლებელია აქ: მურსელი = ბურსელს.

თ. بورس (ბურსე) ბურსა = მურსა — ქ. ბურსა.

## 7. სტამბოლი

„სტამბოლში ფადიშაჰს თურმე ჰური გაუტყდა და ძმარი დაექცა... ამის გამგონე ერთი ჩხალელი წავიდა სტამბოლში და ქუჩებში დაიწყო სიარული“ (ზ. თანდ. 1970. 181).

არ. თ. استانبول ~ استانبول ~ استانبول (ესტამბულ, ესტანბულ ესლამბულ) ქ. სტამბოლი.

## 8. ტრაპიზონი

„ — მე სათქმელი აი რა მაქვს: სტრაპიზონში წყალი არ არის, მაგრამ იქ ახლოს ერთი ჰანდრის ხე დგას და იმ ხეს რომ ვინმე ამოსთხრიდეს, მაშინვე წყალი ამოვა“ (ქალთა წრე. 1903. 19).

„შვილი რომ წამოიზარდა, მამამ გადაწყვიტა მისთვის ხელოვნობა ესწავლებინა და გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ორივემ დილაადრიაანად ტრაპიზონისაკენ გასწია“.

სპ. τράβουζαν (თარაბუზან) ქ. ტრაპიზონი.

არ. τράβουζον (თარაბეზუნ) ქ. ტრაპიზონი.

## 9. ხორასანი

„აი ჩემ ოთახში ერთი მამა-პაპისეული ხმალი მაქვს ხორასნის ფოლადით დაპირული...“ (ალ. ლლონტი. 1948. 181).

„ჩვენს ხელმწიფეს თვალი აეხვა, ხორასნის პირიანი ხმალი მომცა, ის გავყიდე, ხის პირი გავუკეთე. თხუთმეტი მანეთი ავიღე“ (ალ. ლლონტი, 1956. 162).

სპ. خراسان (ხორასან) ქ. ხორასანი.

## 10. უჩინმაჩინი

„უჩინმაჩინის ქალიც რძლათ უნდა გყამდეთ“ (პ. უ. III. 1964. 162).

„ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ინათლა და შევიდა ერთ უცნაურ ქალაქში. იკითხა, ეს რა ქალაქიაო? უთხრეს, რომ ეს არის უჩინ-მაჩინეთის ხელმწიფის სატახტო ქალაქი“ (ელ. ვირს. 1958. 210).

სპ. جين و ماجين (ჩინ-ვან-მანჩინ) ჩინეთი, ზღაპრული ქვეყანა-მასში იგულისხმება ჩინეთი და იაპონია, ჩინეთი და ინდოჩინეთი  
جين (ჩინ) ჩინეთი.

## ბ. წარმოსახვითი ადგილები

### 1. ახირეთი

„მამაჩემმა დამავალა ახირეთში წასვლა. დედაშენ, რომ ბე-  
ჭელი წაყვა ი ბეჭელი უნდა მომიტანოვო“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 90).

არ. آخر (ახერ) ზოლო, დასასრული (ეთ- მაწარმოებელი).

არ. آخر زمان (ახერ ზამან) ქვეყნის დასასრული.

### 2. მემლექეთი

„ჩემი მამა ამადამ მემლექეთში არის და ერთი ახლა გამიშ-  
ვი, რომ ჩემი დედა და მამა ვნახო“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 75).

არ. مملكت (მამლაქათ) ქვეყანა, მხარე კუთხე, სამეფო, სახელ  
მწიფო.

### 3. ყურბეთი

„მამაჩემო, ნება მომეცი, წავალ მე ყურბეთში ფულის მოსა-  
გებად“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 109).

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეყურბეთე კაცი. ეს მე-  
ყურბეთე კაცი წასულა საყურბეთოში შემდეგ, როდეს-  
აც ყურბეთს მოაარს...“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 110).

არ. غرب (ლორბათ) უცხოეთი, უცხო მხარე. უცხოეთიდან  
გადახვეწა.

### 4. შეჭერი

„...იარეს და იმ ხემწიფის შეჭერში (ქალაქში) ევდენ“ (ჯ. ნოლ.  
I. 1936. 5).

„იმ ვაჭარმა თითქმის მიაწია იმ შეჭერში, ნახა შაპზადე და  
უთხრა, რომ შენი დედა დაგორდა ტირილში, მიდი და ნახეო“  
(ჯ. ნოლ. II. 1972. 6).

„მიველი იმ შეჰერში, ალთუნი მდელი დალაქს და პირი მეე-  
პარსე“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 113).

სპ. **شہر** (შაჰრ) ქალაქი.

#### 5. ჭერნეთი

„რუმ გეიცინებს, ლოყებიდან ვარდები გადმოსცვინდეს, რუმ  
გეაარს, ჭერნეთის ბალახი ეაქოჩროსო და რუმ ატირდება,  
კურცხლებად აღმასები გადმოსცვინდესო“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 108).

არ. **جنت** (ჯანნათ) სამოთხე, ედემი წალკოტი.

#### 6. ჭეჰენნებ

„გამიშვი, ჭეჰენნებიდან ჭენნეთში მივრბივარ, აბა გზა  
არ დამიკავო“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 104).

არ. **جهنم** (ჯაჰანამ) ჯოჯოხეთი, გენა, გენია, შდრ. ქართ. ჯანდაბა.

#### 7. საფაატახტი

„ჩველა თავის მამის საფაატახტოზე“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 134).  
„წამეიყვანა ფირმემელი და მოიყვანა გუცინარ ხენწიფემ თავის  
საფაატახტოზე“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 87).

სპ. **پایتخت** (ფაითახთ) სატახტო ქალაქი.

თ. ← **paytaht** = სატახტო ქალაქი.

## II. აღმოსავლური რეალიზები

### 1. სახლ-კარის მოწოდებლობა

#### 1. ახორი

„მელამ ცხვარი ახორში შეყვანა და დაქლა... შევიდნენ ახორში და დაქლული რომ ნახეს, მელამ იყვირა“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 20).

„წაყვა ჰაჯი ახმად აღას და დეიწყო ახორში სამსახური“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 77).

სპ. <sup>9</sup>خورآ (ახორ) ბოსელი, თავლა, ცხენის ბავა. სახლს მიშენებული ან მოღობილი სადგომი, სადაც ზამთარში საქონელს აბამენ.

#### 2. ბახჩა

„ჩავიდა ბახჩაში მეფე და მუხამედს უთხრა“: (ქართ. ზღ. აქ. 1973. 64).

სპ. باغچه (ბაღჩე) პატარა ბაღი, ბაღჩა.

#### 3. დირელი

„ეს სახლი ერთ დიდერზე (სვეტზე) ყოფილა აგებული“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 16).

თ. direk=ბოძი, ხე, ბურჯი.

თ. درك~درك (დირაკ-დარაკ) სვეტი, ბოძი, ხე, საყრდენი ზღრ. ქართ. = დირე.

#### 4. დუშემე

„ერთიც ხედავს, რომ გეიხსნა დუშემე და ორი ხოჯა შემოვიდა“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 108).

თ. döşeme=იატაკი, ფონი.

#### 5. თავანი

„თივა არის თავანში დადებული“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 100):

თ. tavan=შენობის ნაწილი: არე—სხვენსა და სახურავს შორის. არე—სხვენსა და კერს შორის.

## 6. იაზლოლი

„დეიწყო იაზლოლი სიარული“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 60).  
„ვახშობის შემდეგ პატარა იაზლოლი (აივანი) გაუშალა  
ლოგინი დასაძინებლად“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 60).

თ. yazlık = აივანი, მოაჯირი, ვერანდა.

## 7. კოლიბაი

„ერთ ყანაში ერთი კოლიბაი ნახეს“ (ქ. ნოლ. I. 1936. 5).

თ. kulübe = ქოხი, გომური.

## 8. მერდივანი

„ორმოცი საფეხური მერდივანი აქ და იმითა ახვალ ზედთ“  
(ქართ. ზღ. აქ. 1973. 70).

„მივიდა ახლოს, რომ უნდა მერდივანზე ევდეს, თავისმა შვილმა  
გაეგება“ (ქ. ნოლ. I. 1936. 18)

نردان (ნარდენ) — კიბე, მისადგმელი კიბე.

თ ← merdiven = კიბე.

## 9. მერეგი

„დედინაცვალმა ხენიფე დამალა მერეგი, და ხენწიფის ბიქს  
აჩვენა მისი გოგო“.

თ. merək = საბძელი, საქონლის საკვების (ბზის, თივის, ფუ-  
ჩიჩის...) შესანახი ნაგებობა.

## 10. სარაბახი

„შვილი ყათი შემოიარე საძირკველზე და შვილი წვერი დააბი ს-  
არაბახეო“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 95).

სპ. سرای باغی (სარაიბაღი) — აქ. სახლის სახურავს ირგვლივ  
წინ წამოშვერილი ნაწილი, რომელიც კედლებს იფარავს აე-  
დარში, — ლაფარო, ლავგარდანი.

სპ. سر-سرای (სარაი, — სარა) სრა, სასახლე, სახლი.

სპ. باغ (ბაღ) ბაღი.

## 11. სოხახი

„ასულა მერდივანზე, რომ ზალაში სულ ხალეები ეგო მეგემ ს-  
ოხახე“

„მაგარი კნესის ხმა კი ისმის. დახედა სოხახში“ (ქართ. ზღ.  
აქ. 1973. 60).

„ამ გოგომ ამოიღო ჭიფიდან ყამჩი და მემრე ამ კაცმა უთხრა.

რომ ეგ ყამჩი სოხახში სამჯელ გადაარტყიო“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 128).

თ←sokak=იატაკი.

არ. قَسَّزٌ (ზოყაყ) შუკა, ორლობე, ეზო—კარმიდამო.

## 12. სურმა

„მდიდარმა მათრახი კლდი კარის სურმაზე შემოდვა და წვე-  
ლა... ..ერთიკ კარის სურმაზე მდიდრის მათრახი დეინახა,  
ჩამოილო და წვეიდა“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 27. 28).

თ. s̄ime = დარაბა, კარის სათავე.

## 13. ფურუნი

„ქალმა ჩემზე უკითხავათ გააკეთებია ერთი ფურუნი“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 104).

„ნენემ ფურუნში შეადგოვო“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 104).

თ. firin = საცხობი, ღუმელი.

← იტალ. forno = ღუმელი, საცხობი.

## 14. ქენერი

„ერთ ქენერში შკათი დგას (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 60).

სპ. كَنَر (ქენარ) კუთხე, ნაპირი, მხარე. აქ კუთხეა.

## 15. ქოშა

„ასწია ეს ცოცხი. აყულა ქოშაზე, მივდა როკარი ღია არი“

სპ. كُوْش (გუშე) კუთხე. კუთხე ორ კედელს შორის.

## 16. ყუა-ყუა

„ეს თავი ჩავარდება ერთ ყუაში“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 121)

„ღაინახეს ერთი ყუი. გაუგია იმ ვაჟარს. რომ ვინც იმ ყუსან  
მივა უნდა ჩევდეს შით...“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 60).

„მისი მუშაობა ეს ყოფილა, ყველას იმ ყუაში ჰყრის (ქართ.  
ზღ. აჭ. 1973. 61).

თ. quyа = ჟა.

## 17. შალამფორი

„როცა მან შალამფორთან მივდა ბეგმა მას დუუძახა“  
(ჯ. ნოლ. I. 1936. 59).

თ. ←şarampol = ღობე.

## ა. ავეჯი

„თუ საერთოდ XVII—XVIII სს. ძეგლებში სახლის მოწყობილობის აღწერილობას გადავხედავთ, იქ ავეჯს თითქმის აღარ შევხვებით. ყველაზე თვალსაჩინო ცვლილება ამ დარგში არის მომხდარი, ავეჯეულობის ისტორია ყველაზე უფრო ღარიბია, მას რაღაც სხვა ისტორიული მიზეზიც უნდა მოეპოვებოდეს, მაგრამ ყველაზე უფრო წამლუკავი ამ დარგში სპარსეთის გავლენა იყო“<sup>1</sup>.

### 1. დოლაბი

„ეს შეშინებული გეჟქევა, დოლაბში შეძრება და იქიდან იყურება“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 100).

„ის მემედიც მოაჭრის ამ ქალს თავს, დიდი გაჭირვებით შედებს თაროზე და თვითონ დემალებ თავის დოლაბში“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 101).

სპ. دولا (დოლაბ) 1. დოლაბი—წისქვილის ქვა. 2. კედლის კარადა, კედელში დატანებული განჯინა (ჯამ-ჭურჭლისათვისაც შეიძლება იყოს).

### 2. დოშაკი

„დოშაკ-ბუმბულში ხარ დაჩვეული ძილსა თუ ჩალაჩულაშიო“ (პ. უ. III. 1964. 75).

თ. dñšek = ლოგინი, ლეიბი, დოშაკი.

### 3. ზანდუყი

„ამ დის ნაქარგია მამ. ოქროს ზანდუყში აქ ჩადებული“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 69).

„თავთან ჰქონდა ოქროს ზანდუყი, გააღო ამ ბიჭმა“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 70).

არ. زاندهی (ზანდუყ) ზანდუყი.

### 4. თაბუთი

„ბევრი იტირა, თვალეები ჩაუდგა, კაი თერბელული გაუკეთა და ზედან დაბუთი დადვა“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 110).

არ. تابوت (თაბუთ)—კუბო, საკაცე (უწინ ინახებოდა მეჩეთ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, 1965, საფენ-საგებელი, ავეჯი და ქვერქელი გვ. 9.



ში; მიცვალეზულს ჩეეულებრივ თაბუთში ჩაასვენებდნენ მანამ, სანამ კირისუფალი საკუთარ კუბოს არ გააკეთებინებდა)².

#### 5. თახჩა

„მეტად საყურადღებო გარემოებაა საქართველოში ის, რომ ერთი სახე ავეჯეულობისა ქრება და მის ადგილს მეორე და მესამე, სრულიად სხვანაირი (სახეობა) იკავებს.

საერთო მოვლენაა: ქრება საყდარი — ჩნდება ტახტი, სავარძელი აღარ არის, აღარც (კიდობანი და) ჩნდება კარადები—თახჩები, წალოები და განჯინები. ყველა ეს სახელი სპარსულია. თახჩა — ნიშნავს პატარა თაღს, კედელში ჩაღრმავებულს, ავეჯის მაგიერ თვითეულ კედელში არის შეწყული ადგილები“³.

„ფული მოიხმარეს და რაც დარჩათ, თახჩაში შეინახეს“ (ალ. ლლონტი, 1956. 164).

„როცა დადამდა, ვაყი ადგა, აანთო სანთელი, ნახა თახჩაში მჯდომი ქალი და უთხრა“: (თ. რაზ. I. 1951. 197).

სპ. **تاج** (თაჯი) თახჩა.

#### 6. კარიოლა

„კარიოლა (ტახტი) აქვს დიდებული“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 17).

თ. karyola = საწოლი, ტახტი.

#### 7. მაყალი

„ქალები მაყალს გარშემო უსხდნენ, კუტს ხუხავდნენ და სკამდნენ“ (პ. უ. III. 1964. 267).

„წელი მანგალი იქონიე და ერთიც ქიაფი. ი, პერანგი მანგალ შუა მოამწყტიე. წუუკიდე ქიაფი და დასწვი“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 36).

არ. **مقال** (მანყალ) მაყალი.

#### 8. მუთაქა

„მეექვსე დღეს დაუსაბაღნა ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტით ექვსი ჯორ-აქლემი, მიდცა ექვსი მოსამსახურე, ერთიც კაი კრიალოსანი, ერთი კარგი ხალიჩა და ერთიც მუთაქა, გემსტუმრა და გაუშვა სახში“ (ალ. ლლონტი. 1948. 171).

„ერთი მუთრაქა დუუდო, ერთიც გილიმი მიცა ქვეშ დასაგებად.

² სტ. მენტეშაშვილი, მიცვალეზულთა დამარხვისა და სამარების ტერმინოლოგიისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII (ცალკე ამონაბეჭდი) საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბ., 1944, გვ. 163—176.

³ ი. ე. ჯაფარიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, თბ., 1965 (საფენელ-საგებელი, ავეჯი და ქურქელი), გვ. 36.

გარედან კარი ღუუკეტა და წევდა ქედელმა სახში“ (გ. ნოლ. II. 1940. 72).

„აქცია ხელსახოცად და მუთაქის ძირში ამოდო“ (თ. რაზ. I. 1951. 297).

არ. **مُتَا** (მოთაქა) მუთაქა.

### 9. ოზონდარა

„ღამით დაინახა ხუცესი, ადგა, მივიდა ოზონდარასთან, გამოალო კარები, გამოიტანა სასმელ-საჭმელი და მადიანად მიიძღა ზედ“ (ალ. ლლონტი, 1956. 301).

უზანდარა — საჭმელისა და ჭურჭლის შესანახი სამზარეულო კარადა განსხვავებით აჭარულისაგან, სადაც (← თ. musand-  
ira)- სახლის კედელში დატანებული ლოგინის შესანახი კარადაა.  
თ. **مُندَارَا** (მუსანდარა) გამოიყენება ლაზურშიც (ნ. მარი).  
ვრც. იხ.<sup>4</sup>

### 10. ტახტი

„ერთ კუთხეში ლამაზ ტახტზე ძალლი იჯდა და მის წინ დადგმულ სუფრაზე დაწყობილ ქათმებს, ბურელსა და ფლავს გემრიელად შეეჭკეოდა“ (ზ. თანდ. 1970. 1965).

„მამა ეტყვის შვილს, შენ გეკუთვნება ხელმწიფობაო, და ჩააბარებს თახტს“ (ქართ. ზღ. აკ. 1973. 74).

„აჲ უმცროსი ჭკვიანი შვილი კი გეყვანა თახტზე და დააჯღუმა-ლა“ (ქართ. ზღ. აკ. 1973. 93).

სპ. **تخت** (თახთ) თახტი. სახელმწიფო ტახტი.

იხ. იგივე თ. karyola = საწოლი, ტახტი.

### 11. ჩექმეკა

„წასლისხან ჩექმეკაში ვოთხმოზდაცხრამეტი ოქრო ჩადვა“ (გ. ნოლ. II. 1940. 54).

თ. ← çekmece = ყუთი.

### ბ. ჭურჭელი

#### 1 აზარფეშა და ტოლჩა

„აზარფეშა და ტოლჩაო

გათაედა და მორჩაო“ (თ. რაზ. 1909. 229).

<sup>4</sup> ნ. გურგენიძე, აღმოსვლური წარმოშობის ლექსკური ელემენტები. აჭარულში და გურულში, თბ., 1973, გვ. 15.

სპ. هَزْأَرِيْشَه (ჰაზარფიშე) 1. ვერცხლის სასმისი, ტარიანი

სპ. دَوْلَجَه (დულჯე) ტოლჩა, ვედრო წყლისათვის. შდრ. = ქართ. ტოლჩა.

## 2. ალთაფა და ტასტი

„შენი ძმებიო დევს უქებენო ზურმუხტის ალთაფასა და ტასტასაო“ (პ. უ. III. 1964. 273).

სპ. آتَه (აჰთაბე) ხელსაბამი ქურქელი, ტასტი = ტაშტი. სპ. لَن (ლაგან) სპილენძის ტაშტი.

სპ. آتَه لَن (აჰთაბელაგან) სპილენძის, ან ბრინჯაოსაგან გაკეთებული თავსახურიანი, მილიანი ხელსაბამი ქურქელი.

## 3. ბარდახი

„დენახეს ერთი მალაზონი, რომელსაც ხელში ეჭირა ბარდახი“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 27).

თ. bardak = დოქი ქურქელი, შეიძლება სპილენძისაც იყოს.

سَرْدَاق ~ بَرْدَاق (ბარდაყ, ბარდალ) კიქა, დოქი, თიხის ქოთანნი.

## 4. გუგუმი

„— მომეცი გუგუმი და მე შევტანო... აწევს გუგუმს და წაეა“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 37).

თ. güğüm = თუნგი, წყლის ქურქელი სპილენძისა, სურასა ჰგავს.

## 5. ზარფუში

„ღვთისავარი რო მოვიდეს სთხოვე — გეებანოს და როცა ქვაბში ჩაჭდეს. ქვაბს ზარფუში დაჰხურე, მე ხმა მომე, მეც აქ გავჩნდები, ზარფუში ზედ დავექედოთ და ზღვაში გადავაგდოთ“ (აღნ. I. 1890. 49).

„ორმოს ზარფუში დააპირქვავეს და ასფურცელა შიგ დატოვეს“ (აღნ. I. 1890. 111).

„ჩაჭდა ქვაბში, მოეპარა მღვეის დედა ქვაბს, ზარფუში დახურა“ (ელ. ვირს. 1949. 229).

„შენ ჩანიანი ხარ, ჩაგსვამ ერთ ქვაბში, ზევიდან დაგანურამ ზარფუშს, დავლურსმავ და აბა ააძრობ თუ არაო“ (მ. ჩიქ. 1952. 285).

სპ. سَرَفُوش (სარფუშ). 1. თავსახური, 2. ქალის თავსახურავე

სპ. سَر (სარ) თავი + فُوش (ფუშ) = ვინც იხურავს, ვინც ატარებს.

თ. سَرَفُوش (თარბუშ) თევზის სახურავე.

## 6. თაბახი

„მოატანინა ქრისტე ღმერთმა დანა. მოაყვანინა ხელმწიფის ავად-  
მყოფი შვილი, დასკრა ასო-ასოთ, დაალაგა თ ა ბ ა ხ ზ ე, გარეცხა,  
გაასუფთავა, გადასწერა პირჯვარი და გააცოცხლა საღ-სალამათო  
ვაჟი“ (თ. რაზ. 1909. 142).

„ერთი ფეხიანი, დიდ თ ა ბ ა ღ ი ა ნ ი“ (ჯ. გოლ. I. 1936. 150).

„გააყეთა ალთუნის ტ ა ლ ი კ ი (ფადნოსი)“ (ჯ. ნოღ. I. 1936. 11).

არ. طَبَقْ (თაბაყ) თეფში, ლანგარი, თასი, სინი<sup>6</sup>.

თ. tabak = სპილენძის თეფში, სინი, ლანგარი.

თ. talika = ლანგარი, სინი, თეფში.

## 7. თასი

ბეჟანის მამას ერთი საწუთრო თ ა ს ი ჰქონდა, რაც რომ შეემ-  
თხვეოდა, გაიგებდა ყველაფერს“ (პ. უ. IV. 1964. 29).

„ახლა მე მივდივარ ჩემ ძმებთან და მამასთან, თ ა ს შ ი ხედავს,  
თეირანი ჯაზი მოჰყავან, მე და ფირმემედი როდის შევებრძვით,  
იმას გვეტყვიან...“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 143).

„ქალს თ ა ვ ზ ე ოქროს თასი ახურავს. ეს თასი კისერსაც უფარავს.  
ებრძოლება ბიჭი ხანჯლით და თასს გადტუტებს“ (ქართ. ზღ. აჭ.  
1973. 132).

არ. طَاسْ (თას) თასი, ღვინის სასმისი, კოთხი, ფიალა,  
ღვინის დასალევი ჯამი. თასი—სასმისია, თასი—სათასე—წედად  
დადგმული, საწადე საღვინე<sup>7</sup>.

## 8. საქაშე

„ერთ საქაშეს მოგცემენ, ღვინით სავსესაო, თავზე უნდა და-  
იდგა ის საქაშე. ისე უნდა ახვიდე იმ ალვის ხის წვერზედო  
და ჩამოხვიდე“ (პ. უ. III. 1964. 215).

ქიშა — საწლეა (წედა — არს ყოველივე შესასმელი ჭურჭე-  
ლი. წედა არის ჭურჭელი, სასმისი (საბა).

ბარქაში — მორღმო თევში (საბა).

სა-ქაშე-

## 9. სინი

„ამას, რომ დაამთავრებს, ქალი მეტანს იმ ს ი ნ ს და დადებს  
მაგიდაზე“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 73).

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული საფას-საზომთამცოდნეობა, ანუ ნუმის-  
მატიკა-მეტროლოგია, თბ., 1925, გვ. 129.

<sup>7</sup> შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთი-  
ერთობიდან, თბ., 1966, გვ. 375.

სპ. سيني (სინი) სინი, ლანგარი.

## 10. სტაქანი (?)

„აიღებს სტაქანს ხელში და იტყვის: ერთი სტაქანის დაღევის უფლება მომეცითო“ (ქართ. ზღ. ავ. 1973. 73).

استكان (ესთეკან) ჭიქა, მოღრმო თასი (საბა).

აღ. გვახარია აზრით: „ესტაქანი“ რუსული გზით შევიდა როგორც სპარსულში, ასევე ქართულში; სპარსულში მას, استكان (ესთეკან) ფორმა მიუღია და დღეს ძნელი წარმოასადგენია მისი „დუსტაქანთან“ კავშირი. ვრც. იხ.<sup>7</sup>

## 11. ყაბი

„წადით, სამი კარგი ნესვი მოიტანეთ, ოქროს სინზე დააწყეთ, თითოზე ალმასტარიანი დანა დაურქეთ, ყაბი დახურეთ და მამას მიართვიეთ“ (პ. უ. III, 1964. 102).

„ბაბუამ ილეკური ჩადუა თავის ყაბში, მისი ხელით შეხსნა ბაწარი გოგოსა“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 101).

თ. قلاب (ყაფლამე) ჭურჭელი თავსახურიანი, ცილინდრისებური ფორმის ჭეაბი, ან ქოთანი, რომელსაც თავსახური მაგრათ ეჭირება, აგრეთვე საკმლის ოდნობას საზომდაც იხმარება<sup>8</sup>. ყაბი = თურქული სიტყვაა — საზოგადოდ ჭურჭელს, ქოთანს, ჭეა<sup>9</sup>ს და საფენსაც ნიშნავს. ქართულში მხოლოდ ჭეაბისა და საკმლის ჭურჭლის მნიშვნელობით არის შემოსული.

## გ. მოფენილობა

XVII—XVIII სს. ძეგლებში გარკვეული დროიდან მოყოლებული ავეჯი თანდათან ქრება და ჩნდება მოფენილობა — ხალიჩები, ფარდაგები და სხვა. ფარდაგებს, ხალიჩებსა და საფენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. რასაკვირველია, ამას ისტორიული საფუძველი მოეპოვება, სადაც აღმოსავლეთის (სპარსეთის) დიდი გავლენა შეიმჩნევა<sup>9</sup>.

<sup>7</sup> აღ. გვახარია, „ვისრამაინის“ ლექსიკის საკონხები, I, დოსტაქანი ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 123—129, ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1965, გვ. 74.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა მეტროლოგია, თბ., 1925, გვ. 130.

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, II, საფენელ-საგებელი, ავეჯი და ჭურჭელი, თბ., 1965, გვ. 9; მისი

## 1. სუზანი

„ააყენეს უნცროსი ვაჟის ცოლი, გაუშალეს ს უ ზ ა ნ ი: თამაშობს, რამდენსაც ხელს გაშლის, თვალ-მარგალიტი სცვივა, რამდენსაც ტუჩს გაშლის, ია და ვარდი ამოსდის“ (პ. უ. III. 1964. 105).

სპ. سوزنی (სუზანი) — ფერადფერადი აბრეშუმის ძაფის მოქსოვილი ფარჩა. ტახტის ლეიბზე გადასათარებელი ფერადი ქსოვილი. 2. მოჩითული ხალიჩა აბანოში იფინებოდა.

1. სუზანი, 2. ფარდაგი. ხალიჩა.

## 2. ფარდაგი

„ფ ა რ დ ა გ ი იქ შეიტანეს, სადაც უსუპი და ბადრი იყვნენ ჩაკეტილი“ (ქართ. ხალხ. ეპოსი, ფ. კვიციანი. 1952, 20).

სპ. فرادگی (ფარდე) ფარდა, გადასათარებელი შდრ. ქართ. ფარდა.

## 3. ხალიჩა

„ერთი ხ ა ლ ი ჩ ა უნდა მომიქსოვოთ, რომ ჩემი სახელმწიფო ზედ დასხდესო“ (პ. უ. III. 1964. 103).

„ხემწიფის შეილმა გაშალა ხ ა ლ ი ჩ ა, დაჯდა ზედ და უთხრა“ (პ. უ. III. 1964. 197).

„ასულა მერდივანზე, რომ ზალაში სულ ხ ა ლ ე ბ ი ეგო მეგემ სოხაკზე“ (ჯ. ნოღ. I. 1936. 51).

„ერთი მწურაქა დუუდო ერთიც ქ ი ლ ი მ ი მიცა ქვეშ დასაგებად“ (ჯ. ნოღ. II. 1940. 72).

სპ. قالی (ყალი) ხალიჩა,

სპ. قالیچه (ყალიჩე) პატარა ხალიჩა,

სპ. گلیم (გელიმ) ფალასი, ხალიჩა,

სპ. زبلو (ზბლუ) — ხალიჩა. (ამ ფორმით ზღ. არ შეგვხვებდრია).

## 2. ნიჰთაბი

### ა. საყოფაცხოვრებო ნივთები

#### 1. დუქარი

„იმათ რკინის დ უ ქ ა რ დ ი გააკეთონ, წელიწადში ორჯერ გაკრიჰონ და მერე იმდენ ცხვარს გაზრდიან, სათვალავი აღარ იცოდნენ“ (თ. რაზ. I. 1951. 229).

---

აზრით, ფარდა და ფარდაგი კი ძველ ქართულ ძეგლებში არა გვხვდება, სპარსული სახელებია. ამავე დროს ახალი სპარსული, რომელიც X—XI ს-დან შემოდის. იხ. იგივე ნაშრომი, გვ. 41.

სპ. دَوَّارٌ (დუვარდ) მაკრატელი,

სპ. دَو (დუ, დო,) ორი,

სპ. دَوَّارٌ (ქარდ) დანა.

რკინის დუქარდი=ცხვრის საკრეჭი მაკრატელი (თ რაზ.).

## 2. ზენჯირი

„ქაჯების ერთ შესაველ კარებში კი ზ ე ნ ჯ ი რ ი თ აბია ყოჩი და ვეფხვიო“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 13).

„ნახა, რომ ეს ლამაზი ქალი კისერში ძაღლის ზ ე ნ ჯ ი რ ი თ იყო დაბმული და ისე მიბმული იქვე კედელზე“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 51).

სპ. زنجير (ზანჯირ) ჯაჭვი, ძეწკვი,

## 3. ზილჯი

„ამ ბიჭმა მიიტანა აგი ფოსტი ზ ი ლ ჯ თ ა ნ და უთხრა“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 144).

სპ. زيل (ზილ) ზარი,

სპ. زيل + თ. ci = მეეფენე.

## 4. ზოფა

„დაარტყამენ ზ ო ფ ა ს, დეიწყებს ბლავილ. ევდა ქალმა, უთხრა კაც, რომე თხა ავათაა და დავკლათო“ (ქართ. ზღ. აკ. 1973. 94).

თ. هـ صو = ჯოხი, წკებლა.

## 5. სურმა

„მდიდარმა ჩამეილო მათრახი კლდის კარის ს უ რ მ ი დ ა ნ“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 29).

سورمه ~ سرمه = რკინის საკეტი, ურდული, სადგული.

თ. ← sürme = საკეტი, ურდული.

## 6. ფოთინი

„წადი და იმ ხემწიფეს მოპარე ფ ო თ ი ნ ი, მეიტანე“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 144).

پوتين ფეხსაცმელი.

თ. potin = დაბალყელიანი წინდა შდრ. რუს. ботинка, შდრ. ფრ. bottine.

## 7. ქიაფი

„წელში მანგალი იქონიე და ერთიც ქ ი ა ფ ი ი პერანგი მანგალ

შუა მუამწყვტიე. წუჟილე ქიაფი და დასწვი“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 36).

ბერკ. ქიაფი = ასანთი. შე:ძფ: ბერძნ.

### 8 ქისა

„ქისა ისეთი გამოდგა, რომ შიგ ფული არ ილეოდა“ (პ. უ. III. 1964. 85).

სპ. **كيسه** (ქისე) პატარა საფულე 2. პატარა პარკი, უხეში ხელთათმანი, რომლითაც აბანოში იბანენ.

თ. **kese** = ქისა, პატარა ტომარა. ვრც. იხ.<sup>10</sup>

### 9. ყაილი

„ყაილზე (ნავზე) დაჟდა დედოფალი და წევდა სახლისაკენ“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 18).

„მარა ამ ალაგზე ყაილი არ მივა, გემი არ მივა, გასავალი ზღვაა“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 107).

თ. **kayık** = ნაფი

### 10. ყამა

„კაძახობას ნუ მიქიმავე. აგერ გამოყევი ყამაში“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 140).

„ვეზირმა მივიარდა და ყამით დუჟკლა ერთი შვილი“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 64).

„გუჟუკეთე ისეთი ყამა, რომელიც ბრძოლაში გამოადგება“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 131).

სპ. **قما** (ყამე, ყამა)\* ყამა, დანა. გრძელი, ორმხრივი გლესილი ხანჯალი.

თ ← **kama** = დანა, სატევარი, შღრ. ქათ. = ყამა.

### 11. ყამჩი

„ამ გოგომ ამოულო ჭიფიდან ყამჩი და მემრე ამ კაცმა უთხრა, რუმ ეგ ყამჩი სოხანში სამჭელ გადაარტყიო“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 128).

თ. **kamçı** = მათრახი.

### 12. შამღამი

„მამავო, წადი და ოქროს შადმეები გააყეთებინეო... ისეთი შადმეები უნდა გააყეთოთ, რომ არ ილაპარაკონ“ (შ. ჩიქ. III. ხალხ. სიტყ, 1956. 61)

<sup>10</sup> შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 247 (სადაც არაბულ წარმოშობაზე მიუთითებს).



არ. სპ. شمدان (შამ'დან) სასანთლე,  
არ. شمع (შამ') სანთელი,  
თ. ← şamdan = სასანთლე, შღრ. ქართ. = შანდალი.

## 18. ჰეგბა

„მოიქრა თავი და ჩეიგდო ხეგბეში“ (ჯ. ნოღ. II. 1940. 10).

„არაბის თავი ჩეიგდო ხეგბეში“ (ჯ. ნოღ. II. 1940. 21).

თ ← heybe = აბგა

ძვ. თ. هب — ცხენის ორივე მხარეს ჩამოკიდებული ჩანთა, რომელსაც ჰკიდებენ უნავირზე წინა მხარეს, ან უკან. უნავირი. ხურჯინი.

შღრ. ქართ. აბგა

ჰეგბა||ჰაგბა||ეგბა||აბგა.

## ბ. სასწავლო ნივთები

### 1. თარიხი

„ძველი თარიხები მქონდა და იმით ვიცოდი, რომ შენ აქ უნდა გამოგველო“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 136)

არ. تاريخ (თაროხ) ისტორია, წიგნი.

### 2. მექთუბი

„ხოჯამ იფიქრა, რომ გომბიო გამამხელსო და ამიტომ მან მექთუბი დასწერა“

„მექთუბი (წერილი) გუუგზავნა დარეჯანმა ტარიელს... გუგების უმალ ხელათ მექთუბი გუუგზავნა ტარიელს“ (ჯ. ნოღ. I. 1936. 92. 93)

„ამაზე ხოჯამ დაწერა ერთი მექთუბი, შიან აღნიშნა, რომ მართალია ახმედ-ალა შენ მაღლიანი კაცი ხარ“ (ჯ. ნოღ. I. 1936. 72).

არ. مکتوب (მაქთუბ) წერილი.

### 3. ნუსხაფი

„ნახო, რო ნუსხაფი გღია, აწია ნუსხაფი და თაროზე დაღვა“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 110).

არ. نسخ (მასჰაფ) — მაჰმადიანთა სჯულის წიგნი, ყურანი. სასულიერო წიგნი

არ. نَسَد (ნასხათუნ) — ცრუმორწ. ეან. შელოცკია ტექსტი (არაბულ ენაზე), რომელსაც ცრუმორწმენენი ატარებენ სამკეთხედად დაკეცილს და გაანთლელ ქაოვილში შეხვეულს (უმთავრესად ყელზე ჩამოკიდებულს) „აგი სულეზია“, „აგი თვალეზია“ და უემურისაგან თავის დასაცავად. ამულეტი.

## გ. გრძნეული ნივთები

### 1. თილისიანი სარკე

„მაგ ქალს დაკიდული აქ თილისიანი სარკე“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 72).

არ. كَمِيْن (ტელესამ, ტილისმ) — თაღისმანი, ჯადო, ამულეტი.

ჯადო, ხვანჯი, მზიბლავი, კუღიანი, გრძნეული ძალა, გრძნეულება (იუსტ. აბულაძე).

არაბული ჯადოსნური ძალის ნივთი, რომელსაც ადამიანის საფრთხისაგან გადარჩენა ან წარმატების მოტანა შეუძლია.

### 2. სიპრის ყამჩი

„სიპრის ყამჩი გადამარტყა... სამჯერ ყამჩი სიპრისა გადაარტყა მიწაზე და სოფელიც გაქეავდა“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 128).

„თან სიპრის მათრახს აართვამს და მეინყრევს ქვეშ“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 144).

„რუმ მაგას სიპრის ყამჩი ექნება და კაბი ჯიფეში და ამოულეო“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 128).

არ. سِر (სერ) საიდუმლო, საიდუმლოებრივი, ჯადოსნური.  
თ. kamçı = მათრახი.

### 3. ფაზმანდი

„პირველმა ფელიამბარმა ამ გოგოს შეაბა კლავზე ფაზმანდი და უთხრა, ეს ფაზმანდი, რომ მეიხსნას, იმ წუთში მოკდესო. ხოლო კდარს რომ შეაბან, იმ წუთში გაცოცხლდესო“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 79).

სპ. فَزْمَانْد (ფაზმანდი) სამკლავე, სამაჯური, თილისმა ნუსხა.

სპ. فَاو (ფაუ) მკლავი.

სპ. بَنْد (ბანდი) შეკერა.

## ა. კსოვილები

### 1. ატლასი

„ვეზირიცი ჰხედავდა, რომ ხელმწიფის შვილი დილით ატლასიონს ჩაიცვამს, წაეა და სალამოზე ჩითიონითაც აღარ მოვა“ (თ. რაზ. I. 1951. 336).

არ. <sup>ا</sup>اٲاس (ატლასი)—ატლასი, ხალასი აბრეშუმეული, ან სატინა. გლუვისა და უსახო აბრეშუმის ქსოვილი<sup>11</sup>.

### 2. ბეზი

„ლაურთავ აბრეშუმიდან მოქსოვილი ბეზი მომიტანე“ (ჭ. ნოღ. I. 1936. 15).

არ. <sup>ب</sup>باز (ბაზაზ) მოვაკრე მანუფაქტურული ნაწარმით. ნარმა. ბამბის ქსოვილი.

არ. სპ. <sup>ب</sup>باز (ბაზაზი) ფართლეულით ვაქრობა. შდრ. ქართ. = ბაზაზი.

თ. bez = ქსოვილი, ნარმა, ტილო.

### 3. ფარჩა

„— დიდებულ ხელმწიფე! თუ აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი გინდათ მოგიყვანოთ ათასნაირი ფარჩა მომეცით და ერთი ხომალდიც გამიკეთეთ. უშოვა ხელმწიფემ ათასნაირი ფარჩა, ისეთი ჭრელი, რომ კაცს თვალს მოსჭირდა...“

(თ. რაზ. I. 1951, 61).

(ქს. სიხ. 1938, 130).

(ელ. ვირს. 1949, 311).

„ბინძურო რო სანადიროდ წავიდა, ქალი ადგა და მორთო ტახტი ათასნაირად, შემოახვია ბალდადები და ფარჩები. მოიტანა და ლოგინზე დადო“ (მ. ჩიქ. I. 1938, 153).

„დათო, შენც შეხვალ ერთ ფარჩის მალაზიაში, მოკიდამ ხელს ერთ თოფ ფარჩას და გამოიქცევი“ (მ. ჩიქ. 1952, 55).

„ერთ მშვენიერ დღეს ჩარჩმა ჩამოატარა ფარჩა და იძახის: ფარჩა ქალებო, ფარჩა ქალებო...“ (მ. ჩიქ. 1952, 223).

სპ. <sup>ف</sup>فارچ [ფარჩე] ქსოვილი, ფარჩა.

(თ. ← paçavra)—ნაჭერი.

ს.-ს. ორბ. ფარჩა = თურქთა ენაა, ნაჭერსა ჰქვიან.

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III და IV ტ., თბ., 1962, გვ. 177, 183.

#### 4. მუშაობა

„მერე მაგ ემემ ეგ ბალნები მეიყვანა მ უ შ ა მ ბ ა შ ი (გასანთლული ნაჭერი) შეახვია“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 4).

„ამ ბავშვებს ქალები გაზინთავენ, გ ა მ უ შ ა მ ბ ა ვ ე ნ ერთ ნარმაში“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 67).

არ. مَشَع (მოშამმა) წყალგაუვალი ნივთიერებით გაქლენთილი ქსოვილი, წამოსასხამი (მუშაობის ქსოვილისა)—მანტია.

ივ. ჯავახიშვილის თქმით: „მოფენილობა და ფარჩა სპარსეთიდან ფეშქაშის სახითაც შემოდირდა“<sup>12</sup>.

#### 4. წამოსასხამი

##### 1. სალოფი

„მე ისეთი სალოფი მინდა, წავიდე სადმე, თავისით წამომეხხას“ (პ. უ. III. 1964. 154).

შესაძლებელია არ. حاف (ლექანა) წამოსასხამი, გადასაფარებლის მნიშვნელობა აქვს.

##### 2. ქათიბი

„ტიტველი იჭდა და კანკალებდა. ბიჭმა ქათიბი წამოასხა“ (ელ. ვირს. 1958. 175).

არ. كتيبه (ქათიბე) წარწერა, მწერალი. كتاب (ქეთაბ) წიგნი.

ბ. كات (ქათიბუნ)—„ქალის ტანსაცმელთაგან აღწანიშნავი ქათიბი, ძველად ქათიბს მამაკაცებიც იცვამდნენ. ქათიბი არაბული სიტყვაა, ნიშნავს მწერალს. თავდაპირველად მოხელეთა ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო. მწიგნობრებს ეცვათ და ეს სახელიც ამიტომ უნდა დარქმეოდა. პირველში ამ გზით იყო შემოსული, შემდეგ საერთოდ სამოხელეოდ იქცა“<sup>13</sup>.

<sup>12</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 8.

<sup>13</sup> ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1962, III და IV ტ. გვ. 118. მისივე ცნობით. „სპარსეთში, შარდენის სიტყვით, კაბის ზემოდან ზედატანს იცვამდნენ, სეზონის მიხედვით — ან მოკლეს და უსახელოს, რომელსაც კურდუს უწოდებდნენ, ან გრძელსა და სახელოებიანს, რომელსაც, მისივე თქმით, კადები ეწოდებოდა (ქათიბი). ზედატანი კაბასავეთ ყოფილა გამოქრილი, ე. ი. ქვემოთკენ ფართო და ზემოთ ვიწრო, ზარივით. იგი მაუდის ან ფარჩის, ოქროქსოვილისაგან (brocard d'or) იკერებოდა, მსხველი სატინისა (Satin) იყო, რომელსაც გააწყობდნენ ხოლმე ხან არაბით, ოქროსა თუ ვერცხლის თასებით (galons), ხან ნაქარგობით“, გვ. 119.

## 8. ჩული

„წამოიღე მხრებზე თავისი ჩული და წაყვა აგინს“ (ჯ. ნოღ. II. 1940. 110).

არ. სპ. جَلَّ (ჯოლლ) მოსასხამი, თ. ცაი (ჩულ) მოსასხამი ტომარა, შალის ტომარა შდრ. ქართ.—ჩული=კურტანი.

### 1. ხალიჩის მოქსოვა (ასოებით)

„ — ნოხის მოქსოვის ხელობა ყოველისფერს აჯობებს. რა სჯობია ყვავილების და ფრინველების ასოებით აბრე-შუშის ნოხის თაიგულივით აყვავებას და მისი ჩემი სატრფოს შიშველი ფეხებით ტყეპნასო? პირველი ჩემი ხელოვნების ნაყოფი ჩემს სატრფოს უნდა უძღვნათ.

ბოურავი აღარ შეეკამათა და მოიხმეს ნოხების, ხალიჩების სა-უკეთესო მოქსოველი. მოუტიგდნენ და სასახლეში ასწავლიდა მეფეს ხელოვნური ნოხის ქსოვას. პირველი ნოხი, რომელიც მოაქსოვინა სახელოვანმა ოსტატმა შეგირდ-მეფეს, სულ სატრფიალო ლექსებით იყო მოქარგული. ლექსები ისე იყო ყვავილებში და ფრინველებში ჩაქსოვილი, რომ ასოების გამოცნობა და ლექსების ამოკითხვა ადვილი საქმე არ იყო...

ეს ნოხი მეფემ უძღვნა თავის სატრფოს და დაქორწინდნენ... გავიდა ხანი. მეფე მარტო მიღის სანადიროდ... შედის დუქანში საკმლისათვის და ოთახის პირზე ეგო ხალიჩა, ორმოზე გადაფარებული. მეფე შიგ ჩაეარდება... მეფე იძულებულია მოქსოვოს ხალიჩა და ამით იხსნას თავი.

ჩემი ხელობა ნაღია და უსათუოა.

გავიდა ხანი.

მოქსოვა. გაათავა. საუცხოო გამოვიდა. რომ დახედეს ზედ ამ კაცისმკლელებმა, თვალები გააცეცეს. არა სჯეროდათ, რომ ეს მონადირე ყმაწვილი ამას გააკეთებდა: ფოთლები, ყვავილები და ფრინველები ისე მიზანშეწონილად და შემაგუებლად იყო თავ-თავის ადგილზე. რიგზე ერთმანეთის შეფერებით, რომ ნოხი ცოცხალ ყვავილების წალკოტი ეგონათ ფრინველებით გადააქეპლული... (აეზაკები წაიღებენ დედოფალთან).

...მიიწვია დედოფალმა დარბაზში. როგორც დახედა ნოხს, მაშინვე მიხვდა, რომ ეს ნოხი მისი მეუღლე მეფის ხელობაა. მეფე კი დაკარგულია. ალბათ ტყვეობაში მუშაობსო, იფიქრა, მაგრამ ენა დაიმოკლა კი არა, შეიკვნითა...

— აბა შევიტანო. — და მოახლეებმა შეიტანეს ნოხი დედოფლის საწოლ ოთახში. იქ დედოფალს დააგვიანდა. ის კითხულობდა ნოხის ფოთლებსა და ფრინველებს შორის ჩანაწერს. მეფის მთელი თავგადასავალი იქ იყო.

„გადაცმულმა ვინადირე, ვერაფერი მოეკალი. მომშივდა. გზაზე სამიკიტნოში შეუხვიე. იქ ცალკე ოთახში მიმასწავლეს გასვლა. შევდგი ფეხი: ჩატყდა იატაკი, ჩავეარდი უშველებელ და მაღალ ორმოში. ეს ორმო კაცების სასაკლაოა. მეც უნდა დავეკალი და ჩემი ხორცი გაეყიდათ ულუფებად მესაღილეებზე. ნოხის ხელობა მიშველის თუ შველაა ჩემთვის. მიეცი ხუთასი თუმანი ოქრო და დაავალე, რომ მე მომიყვანონ მანდ ოთახის გასაზომად, რომ ოსტატის აღებულ ზომაზე ნოხი გამოგიწყონ დარბაზისათვის. შეპირდი ათას თუმან ოქროს. შორიდან და სიფრთხილით თვალყური ადევნონ ჩემმა კარისკაცებმა ამათ და ამათ ამხანაგებს. დაუჩქარეთ, მაგრამ დიდის სიფრთხილით, რომ მე არაფერი მარცხი დამმართონ“.

ეს ნოხი ნამდვილი წერილი გამოდგა. დედოფალმა გამოუტანა დარბაზში ხუთასი თუმნის ოქრო და გადასცა ულაპარაკოდ“ (ელ. ვირს. 1958. 291).

„ხელმწიფის შილს ქალი რომ არ მითხოვდა, სანამ ხელობას არ ისწავლიო (ხალიჩის ნაცვლად ნ ა ბ დ ის თელვა ისწავლა და ყვავილსა და ყვავილს შუა ჩაწერა...) (აღ. ლლონტი. 1956, 116). „ნაცარქექიამ გაიგო, მივიდა ერთი კუნძი იყო, ის კუნძი მიიტანა თავის მაგივრად დადო და დაახურა ნ ა ბ ა დ რ“ (პ. უ. III, 1964. 271).

„მეც ხელოსნებში ვიხსენები, მე მომბაბრეთ, ერთ დღე და ვასწავლიო. მართლაც გაჰყვა ხელმწიფის შვილი და ისწავლა ნ ა ბ დ ე ბ ი ს თ ე ლ ვ ა“ (თ. რაზ. I. 1951, 239).

სპ. ١٤٠ [ნაბად]—ნაბადი.

## 5. თავსაბურავი

აღმოსავლურ სამყაროში თავსაბურავი ტანსაცმლის აუცილებელი კუთვნილება იყო. უქუდო ანუ თავდაუბურავი სიარული არ შეიძლებოდა, უზრდელობად ითვლებოდა, ეს წესი საქართველოშიც ვრცელდებოდა<sup>14</sup>.

<sup>14</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., ტ. III, 1962, გვ. 145.

## 1. ბაღდადი

„რედაქცია გაახვია ბაღდადში თავისი ქმრის თავი, გამოვიდა გარეთ და გასწია სირბილით“ (ელ. ვირს. 1958. 266).

„ვაჟმა ქალს თავის ბაღდადი გადაათარა. ყორანმა ჩაჰკრა ნისკარტი ბაღდადს. ჩაიჭირა ვაჟმა ყორანი ბაღდადში და თავი ქვას უხალა“ (ელ. ვირს. 1958. 159).

„ქვეშ მწვანე ბაღდადი გაშალა ფულის შესაწირად“ (ელ. ვირს. 1958. 425).

სპ. **بغداد** (ბაღდად) ქ. ბაღდადიდან ჩამოტანილი; ბაღდადური ნაწარმოების. თავსათარი ან ხელსახოცი.

## 2. ბაშლაყი

„ყარამბოლი წავიდა და ამეეთრია წყალში და შაიხვია სველი ბაშლაყითა თავ-პირი და უთხრა ამხანაგებსა“ (ელ. ვირს. 1949. 330).

თ. **başlık** = ქული, თავსაბურავი.

თ. **baş** = თავი.

**باشلاق** (ბაშლაყ) თავის მოწყობილობა<sup>15</sup>.

## 3. სარული

„სალამო ხანს ჯამესთან მივიდა (ფადიშაჰი) და ჩუმად უთვალთვალებდა. ჯამეში რამდენიმე ხოჯა იყო. შუალამემდე ილოცეს, მერე შემოიხსნეს სარულე ბი, გაიხადეს ხოჯას სამოსი, ყაჩაღის ტანსაცმელი ჩაიციეს და ჯამედან გავიდნენ“ (ზ: თანდ. 1970. 176).

„აი მაშვინდელი გატეხილი თავიო, უჩვენა ხოჯამ. მერე გამხადეს ტანზე ტანისამოსები, სარულიც წამვლიჯეს თავზე და შიშველი გამიშვეს სახლში“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 60).

„მოდო და თავს ჰკუთიერად დავიჭირავ, როგორც კარგი მლოცავი ხოჯაო. მას მართლაც ერ ღობეზე გადაკიდებული გასაშრობად ხოჯის სარული, თავზე რომ იხოვენ, უნახავს, მოუპარავს, ის თავზე შემოუხვევია ისე, როგორც ხოჯა“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 100).

„ისტე ძალიან კი გუუკვირდებოდა. როდესაც სახში მივდოდა და ჩემ შენახულ ხოჯას ტანისამოს და სარულს ნახავდა. მარა ეშმაკი ხოჯა მას კი დაარწმუნებდა მიზდა სასარგებლოდ (ჯ. ნოლ. II. 1940. 62).

თ. **sarik** = ჩაღმა, თავსაბურავი.

თ. **sarma** = ხოჯის თავსახურავი<sup>16</sup>.

<sup>15</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1962, გვ. 145. იხ. ნ. გურგენიძე, დასახ. ნაშრომი, თბ., 1973, გვ. 42; დ. კობიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების მასალები, აჭარა, თსუ შრომები, ტ. 118; თბ., 1967, გვ. 62.

<sup>16</sup> დ. კობიძე, ქართული ხალხური სიტყვიერების მასალები, აჭარა თსუ შრომები, ტ. 118, თბ., 1967, გვ. 62; ნ. გურგენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

#### 4. ქულახი

„ქორდევს ქონდა ერთი თავსახური — ქულახი. დეიდაედა თავზე, ვერავინ ვერ დეინახავდა მას“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 11).

სპ. <sup>كُلَّة</sup> (ქულა) ქული, ჩაჩი, ღამის ქული, გვირგვინი.

თ. külläh = კონუსური ფორმის ძველებული თავსახურავი, ჩაჩი მინარეთის ზედა ნაწილი.

როგორც შამს-ელ-დინ სამი აღნიშნავს, „ქულახზე“ ზემოდან „სარულს“ იხვევდნენ<sup>17</sup>“.

#### 5. ყალამა

„სწორედ ამ დროს გამოიარა იმ არაბმა, რომელმაც ცოლად შეირთო დაჯექალა. არაბმა დაუნახა შიკრიკს ქუდის ყალამში წერილი... ისევ ჩაუდო (წერილი) ქუდის ყალამში და თვითონ კი ერთ ჩირგვს მოეფარა“ (ხალხ. სიბრ. II, 1964. 72—90).

„ადგა გოლიათი ქალი, ქუდს მაუდის ყალამა გამოაკერა და დაახურა თავის პატარა ვაჟს“ (ქს. სიხ. 1938. 11).

„შიკრიკმა ჩაიდო წერილი ქუდის ყალამში და გაუდგა ჯაჰას“ (შ. ძოდ. 1959. 30).

არ. <sup>قلم</sup> (ყალამან) — წერილობით, წერილი.

ყალამა — ხუჭუჭი არს კრავის ტყავი, სპარსნი რომ ყალამს უხმობენ (ს.-ს. ორბ. 460).

ყალამა — ქუდის ყალამა — ნაბდის ქუდის შემოკეცილი ნაწილი (ს. მენტ. 197).

ყალამა — ივ. ჭავჭავიძის თქმით: „ბეწვითა შეკერილი, ყალამა მოკლე და დაბალი და სარქველი ქუდისა გადაშეებული ვიდრე ბეჭებამდი“<sup>18</sup>.

ე. ი. შიგსაძღვებლია: ნაბდისაც იყოს ან კრაველის ქუდის შემოტეხილი ნაწილი, რომელშიც წერილს ინახავდნენ.

#### 6. ჩადრი

„ზექიე ჩადრით იარის. ძალიან აინტერესებენ ღამაში ქალის დანახვა, მარა საიდან დეინახავენ ჩადრში (ჯ. ნოლ. II. 1940. 64).

„სალამო უამზე ჩადრში გახვეულმა მოხუცმა მანდილოსანმა გამოიარა... — შე კაი ქალო ადექი, ერთხელ ჩადრი წამოის-

<sup>17</sup> ნ. გურგენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

<sup>18</sup> ივ. ჭავჭავიძელი, დასახ. ნაშრომი, 1952. გვ. 61.



ზი, კარები დაკეტე, ილონდ შორს ნუ წახვალ, ქურქუტანიდან უთვალთვალე ვინ არისო?" (შ. ძიძ. 1959. 210).

„ჩააცვა ცოლს ახალი კაბა, ახალი მოსახვევი დახურა. ფარჩის ჩადრში გაახვია, გაიღო მხარზე და წაიღო“ (ნ. ნაკ. 1935. 50).

სპ. چادر (ჩადორ) ჩადრი.

სპარსელი ქალები, როდესაც ქუჩაში გამოდიან, შემოიხვევენ წამოსასხამს თავიდან-ფეხებამდე, რომელსაც ჩადრი ეწოდება.

## 7. ჩევრე

„პირში ჩევრე ჩუბუქყა და ქორწილში მისი გოგო წეაყვანა“ (ქართ. ზღ. აქ. 1973, 76).

„იმ ჩემ ქვისლსაც ჩემი სიდედრიდან ნაჩუქვარი კარგი ჩევრე ქონდა, მეტი არაფერი გააჩნდა იქა და ის ჩევრე აჩუქვა“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 56).

თ. çevre=1. ქალის თავსაბჯრაევი, მანდილი, 2. კიდეებში მოკეცილი ან შემოქარგული (თეთრი) ცხვირსახოცი.

## 8. საზმანდი

### 1. ფაზმანდი

„პირველმა ფედამბარმა ამ გოგოს შეაბა კლავზე ფაზმანდი და უთხრა, ეს ფაზმანდი, რომ მეახსნამ, იმ წუთში მოკლესო. ხოლო კდარს რომ შეაბან, იმ წუთში გაცოცხლდესო“ (ქართ. ზღ. აქ. 1973. 79).

სპ. بازو بند (ბაზუბანდი) სამკლავე, სამაჯური.

სპ. بازو (ბაზუ) მკლავი (მხრიდან იდაყვამდე).

სპ. بند (ბანდი) შეკვრა. ბორკილი. შდრ. ქართ. = ბაზმანდი.

### 2. ბილეზული

„მეორემ ხელებზე ალთუნის ბილეზული შეაბა და დალოცა. ვინც ამ ბილეზულს შეაძრობს, მისი ეზრალიც იგი იქნებაო“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 108).

„ქემ იცოდა ბილეზულის ამბავი (ჯ. ნოდ. II. 1972. 109).

„სალამოზე ბალვი ყვირილით სკივრისაყენ გარბოდა, ქალები არ უშვებდნენ, მიხდნენ, რომ ჰურია და ბილეზული უნდაო“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 110).

თ. bilezik (بيلزك) სამაჯური, ხელის ბორკილი, ბეჭედი.

თ. bilek = „ხელის მტევანი“;

თ. yīzük = „ბეჭედი“ ე. ი. მაჯის ბეჭედი. შდრ. იმერხ. = ბილაზუკი.

### 8. ალთუნი

„ალამ მას მისცა ერთი ჯაჭვი ალთუნი“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 52).

„მაქანაი ალთუნის ქვიები არი, ძვირფასიანი და გადმოყარე“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 47).

თ. allin = ოქრო.

### 7. სასმელეზი

#### 1. ბანგი

„სასმელად ბანგს მოგცემენ, არ დალიო, საყელოში ჩაისო ჩუმათო, ტანისამოსიდან გასულს ბანგს ნაცარი შეიშრობს და ვერ შეგატყობინო“ (ჯ. სონლ. 1957. 159).

„შვილო ღვინო მომიტანე, ბანგს გავაკეთებ, დევის დედას დავალევი, დაეძინება და მაშინ გაიპარეო“ (თ. რაზ. I. 1951. 197).

„გადმოიხედა დევმა და ძალიან მოეწონა. ბიჭი შეიპატოეა და ბანგი შეაპარა“ (თ. რაზ. I. 1951. 334).

სპ. بنگ (ბანგ) ბანგი, გაშიში. 1. ნარკოტიკული სასმელი.

2. წამალი. დასაძინებელი.

არ. بنج (ბანჯ) ბანგი.

#### 2. შარბათი

„მზეთუნახავს თავ-ბოლოს თავლის სანთლები ენთო, გვერდით შარბათი ედგა“ (ხალხ. სიბრძნე, II. 1964. 142, 4).

„ამ ეპქარმა იარა, იარა, ჩევდა არაბისტანში და ამ თასით ლეიწყო შერბეთის გაყიდვა“ (ჯ. ნოლ. 1959. 249).

„სანთლებთან დვია თითო ჰიქით შერბეთი... ნახევარ-ნახევარი ჰიქა შერბეთიც დალია და დასწერა წერილი“: (ჯ. ნოლ. 1940. 13).

„აქ კამა-სმა, ამა შარაბი არ აქ, ისე ყოლიმფერი აქ“ (ჭ. ნოლ. II. 1940. 142).

„შარაბი რუმ იქნება შით, მუა და სვამს — წყალი ეგონება. ჰო და გაზარხომდება, ... თან ორი ფუთი ბამბა წეილე და შვიდი ფუთი- შარაბი...“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 7).

არ.  $\left\{ \begin{array}{l} شَرَبْتُ \text{ (შარბათ)} \text{ შარბათი, ტკბილი სასმელი, დამზად-} \\ \text{ებული შაქრისაგან და ხილის წვენებისაგან.} \\ \text{არ. شرب (შარაბ) სასმელი.} \end{array} \right.$

### 8. ყავა

„მოწვეული მეზობლები ისხდნენ და ყავას შეექცეოდნენ“ (ზ. თანდ. 1970. 39).

„ეს კაცი ყავე ში იყო და მიდიოდა საწოლად თავის ბინაში“ (ჭ. ნოლ. 1972. 148).

„მოუნდათ ყაჰვეს დალევა“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 19).

„შედა ერთ ყაჰვე ში. ყაჰვეჯის უთხრა: ერთი ყაჰვე მო- მიტანე, დაელიოო. ვაჰმა დალია ყაჰვე. მემრე უთხრა მოხუ- ცებულს: — ყაჰვეჯი აბა, თუ შეიძლება მივილე მევრ“ (ჭ. ნოლ. II. 1940. 79).

„შემოვიდნენ გოგუებმა. მასვეს ყახვე და საჰმელი მაჰამეს“ (ჭ. ნოლ. II. 1972. 111).

არ. قه (ყაჰვე) ყავა.

### 8. საჰმელიანი

#### 1. აზულ-თოზული

„ხვალ დილას გამოგიცხოფ აზულ-თოზულსო, ოქროც წა- ილე, შენი უფროსი ვეზირიც წაიყვანე და მაგის წამალს მოიტა- ნო... მოემზადა უფიქრო ხენწიფე დილით აღრე, აზულ-თო- ლუზი, ოქრო წაილო, წაიყვანა ვეზირიც და წავიდა“ (ქართ. ზლ. აჰ. 1973. 57).

თ. azı(k)(gi) = საგზალი, ნუზლი,

სპ. კ; = (ნოზლ) სტუმრისათვის მისარამევი საჰმელი, ტკბი- ლეული?

#### 2. ნაზუქი (ჰადა-ნაზუქი)

„ქურდების ასავალ-დასავალსაც ვერ მიაგნო და რა უთხრას მე-

ფეს, ცოლს სთხოვა ნ ა ზ უ ქ ი გამოეცხო მეფისთვის მიერთმია და ბოდიში მოეხადა, რომ ქურდები ვერ აღმოაჩინა“ (ქს. სიხ. 1938. 148).

„შეეცოდა ქმარი ამ დღეში რომ ჩააგდო, გამოუცხო ნ ა ზ უ ქ ე ბ ი და მოუტანა პატიმარს“ (ელ. ვირს. 1958. 382).

„მთელი ხურჯინი ქ ა დ ა ნ ა ზ უ ქ ე ბ ი მოუტანა“ (ალ. ლლონტი. 1956. 145).

„ადგნენ (ცოლები) მრავალი ქ ა დ ა ნ ა ზ უ ქ ე ბ ი გამოაცხვეს, ზოგი ბანიდამ. ზოგი კარიდამ ჩამოუყარეს“ (პ. უ. III. 1964. 269. 271):

სპ. كزس (ნაზოქ) ნაზი, თხელი რბილი ნამცნვარი.

#### 8. ფლავი

„აი შეილო. აბა მე შენ დაგიდგამ ერთ-ორ-ყურ ქვაბ ბრინჯის ფ ლ ა ვ ს და თუ შესკამ იმასო“ (ხალხ. სიტყ. III. 1956. 95).

„მივდა ერთ ადგილზე და დეინახა, რომ კაცის სისხლში ჩაყრილია ბრინჯი და იხარშება ფ ი ლ ა ვ ა თ.

მეორე კარდალში ბ რ ი ნ ჯ ი წყალში არის ჩაყრილი და იხარშება“ (ჯ. ნოდ. 1940. 26).

„როცა აღდს იზმენ, წაგიყვანს სახლში, გააკეთებს ფ ი ლ ა ვ ს, შეიტანს მის ოთახში და დუუძახებს მის ახალ საქმროს. როცა ერ ლუქმა ფ ი ლ ა ვ ს ჩეიდებს კაცი პირში“... (ჯ. ნოდ. 1940. 108).

„ვისკუბე და ჩაეარდი უშველებელ ფ ლ ა ვ ი ს ქვაბში“ (სახალხო მთქ. 1956. 128).

სპ. فلو (ფლოლუ) ფლავი. მოხარშული ბრინჯი სხვადასხვა ნაირად (ერთოთი, ქიშიშითა და ზოგი სხვა ჩირეულით) შემზადებული, ხორციით ან უხორცოდ.

#### 4. ქიშიში

„ცხენი შეიყვანეს თავლაში, ჩული დახურეს სუფთათა და სულ ნუშსა და ქ ი შ მ ი შ ს აჭმევდნენ“ (ელ. ვირს. 1949. 434).

(ელ. ვირს. 1958. 150).

„მე მყვანდნენ რაშები, ვაჭმევდი ნ უ შ-ქ ი შ მ ი ქ ს, მაგრამ რაშები მაინც დამიხდნენ“ (მ. ჩიქ. II. 1952. 37). (ხალხ. სიბრძ. I. 1963. 204).

„თურმე ეს საჭინიბო იქაური მეფისა იყო, შიგ ცხენები ება და სულ ნ უ შ-ქ ი შ მ ი შ ს უყრიდნენ“ (აღნ. I. 1890. 12).

„არც საქმელს აკლებდა: ქერსა და ქიშმიშს თავსაყრელად აძლევდა. ახურს პირამდე აავსებდა. ჯერ გამხდარი ხარ, უნდა გაგასუქო, ჩააგლო ერთ დიდ ხაროშია და ქიშმიშ-ლაბლაბი ჩაუყარა, ჭამე, გასუქდი და მერე დაგკლამო“ (ალ. ლლონტი. 1948. 182).

„იყიდა ერთი პატარა ნავი, ჩაიდგა სამი-ოთხი ტომარა ჩამიჩი, ჩაჭდა და ხიდის ახლო დაიწყო ცურვა, თან ჩამიჩის სკამდა. ერთ მჭილვი ჩამიჩი რომ შეეჭამა, მეორეს ზღვაში გადაყრიდა“ (ელ. ვირს. 1958. 298).

სპ. كشمش (ქეშმეშ) ქიშმიში, შემეკნარი (ჩვეულებრივ თონე-

ში შემეწვარი) ყურძენი, — თ. çamiç = პატარა.

სპ. نوش (ნუშ) 1. გემრიელი საქმელი. 2. ნექტარი.

## 5. ყარფუზი

„ერთ სახელმწიფოში ბაღში შეიპარება, დაბინავდება იქ. იპარავს საზამთროს, ყარფუზს. დაუწყებენ ძებნას ქურდს“ (თ. რაზ. I. 1951. 315).

თ. karpuz = საზამთრო შდრ. მესხ. ჯავახ. = ყარფუზი.

სპ. خربزه ~ خربوز (ხარბოზე, ხარბუზ) საზამთრო.

## 6. პალვა

„ერთმა მოლამ თქვა მოდი ამ პალვას ნუ შეეჭამთ. და იმ ხოჯამ ღამით სამივე პალვა შეეჭამა“ (ჯ. გოლ. II. 1940. 168).

არ. حَلْوَا (პალვა) ერთგვარი ტკბილეული (მოწვევენ კარაქს, პურის ფქვილს მოუცილებენ და მოხრაკავენ (წამოწითლებამდე). შემდეგ შაქრის ან თაფლის შარბათში შეზეულენ და ცომივით სქელ მასას რომ მიიღებენ, ბურთივით დააგორგოლებენ.

## 9. თაგაშოგანი

### 1: თესპე

„ეს კაცი ფიქრობს: თესპას, რომ აბრუნებს ეს კაცი, გამოსულია ბაზარზე დღისით, ეს არ უნდა აყოს მართალი კაცი, თავის ცოლის ამბავს უდარებს ახლა“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 149).

„ერთი შეიხი დადის, როგორც შეიხი თესპა გადაკიდებულ

და იძახის აპუ, აპუ! გომა დიდი მართალი კაცი“ (ჯ. ნოლ. 1972. 148).

„— დავისვენოთ აქაო. ჩამოხადეს ჯორ-აქლემები, გაშალა ღარიბმა ხალიჩა წამოწვა ზედ და ათამაშებს ამ თავის კრილოსანს“ (ალ. ლლონტი, 1948, 171).

„მეექვსე დღეს დაუსაპალნა ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტით ექვსი ჯორ-აქლემი, მიაცა ექვსი მოსამსახურე, ერთიც კაი კრილოსანი, ერთი კარგი ხალიჩა და ერთიც მუთაქა, გამსტუმრა და გაუშვა სახში“ (ალ. ლლონტი. 1948. 171).

არ. عبيد (თახბიპ) მუსლიმური კრილოსანი. თესპე ზონარზე ასხმული 33 ან 99 მძივისაგან (ქარვის, გიშრისა და მისთ.) შედგება.

### 2. აუზუქომანი

„— მე და შენ აუზუქომანი ვითამაშოთო — ყველი რა გაქო...“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 97).

თ. yüzükoyunu ერთგვარი თამაშობა ბეჭდით ახ კაკლის ნაჭუჭებითა და სიმინდის მარცვლით.

### 3. ნარდი

„ახლოს მოდი, — დაუძახა ბიჭმა, ჩხუბს და დავიდარაბას ნარდი გექნება, მოიტანე, ვითამაშოთ და გავერთოთო“ (თ. რაზ. 1909. 209) (ხალხ. სიბრძ. I. 1963. 144).

„წითელ მთაზე მეცხვარესთან კიდეც ნარდი ითამაშა ბიჭმა“ (ხალხ. სიბრძ. I. 1963. 145).

„ერთხელ ხელმწიფემ დაიბარა სოვდაგარი თავისთან, ნარდი უნდა მეთამაშოვო“ (თ. რაზ. 1909. 6).

„როდესაც ჩავიდნენ ქვევით ვაკეში და დაისვენეს, მოჰყენენ ნარდის თამაშობას. თამაშობა ნარდისა სანაძლეოზე იყო“ (ელ. ვირს. 1958. 185).

„— ნუ ღრიალებ, ახლოს მოდი და მნახავ, ვინცა ვარ. ნარდის თამაშში გაქებენ, მოდი ვითამაშოთო! — შესძახა ბიჭმა. შეშინებული დევი უსიტყვოდ დაჯდა და დაიწყეს ნარდის თამაში“ (ზ. თანდ. 1970. 107).

სპ. نرد (ნარდ) თამაში, ნარდი.

სპ. نرد بازی (ნარდბაზი) ნარდის მოთამაშე.

„ჩემს სახელმწიფოში შაშის თამაშის მცოდნე მონახეთ და მომიყვანეთო! ვეზირებმა დაგზავნეს ხალხი. მალე მიაგნეს შაშის

მცოდნეს, მაგრამ მან ფადიშაჰს შემოუთვალა: გეთამაშები მხოლოდ ვერ მოგიგებო“ (ზ. თანდილავა. 1970. 195).

شش انداز (შეშანდაზ) ნარდის მოთამაშე,

شش ووش (შეშობეშ) ნარდის თამაში,

شش ووشنج (შეშოფანჯ) ნარდის თამაში.

ნარდის თამაში ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლურ სამყაროში. ზოგი მკვლევრის აზრით, იგი ინდური წარმოშობისაა. ვრც. იხ.<sup>19</sup>

## 10. ცეკვა

### 1. ხამა

„მესამე ჯოხი ამეაღო გულიდან. დაარტყა და გოგომ გაცოცხლდა და სამა დეაწყო. ი გოგო სამოზს გაცოცხლებული... გათენებამდი გაცოცხლებული გოგო ასამა“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 123).

„დათვი ედას მორებზე და უყურებს, მარია სამოზს“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 34).

„თოვლზე გათენებამდე ხორომი ისამეს, არ დევეინოთო“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 240).

ხორომ — ჯგუფური საფერხელო ხალხური ცეკვა — ხორუმი. საშემსრულებლო ხერხებისა და ილეთების მიხედვით გვხვდება სხვადასხვა ვარიანტით... ხორომბაშ — ხორუმის წამყვანი საცეკვაო ილეთების მანიშნებელი. გუნდი, ფერხული (გუნდური ცეკვა) სიმღერის თანხლებით.

ბერძნ. χορός [ხორონ] ცეკვა. (გვხვდება პონტურ დიალექტში, ბათუმელ ბერძენთა მეტყველებაში.

არ. سماع (სამა) სიმღერით ცეკვა როკვა (danse religieuse des derviches = დერვიშების რელიგიური ცეკვა (ენკ.).

سماعی (სამაია) სამაია, ცეკვა. შღრ. ქართ. = სამაია<sup>20</sup>.

<sup>19</sup> ჯ. გიუნაშვილი, „ჩაპარ-მაყალეს“ ერთი ადგილის გავებისათვის, თსუ შრომები, ტ. 118; 1967, გვ. 73—77.

<sup>20</sup> შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II, თბ., 1956, გვ. 136—143; სამაიას შესახებ იხ. დ. ჯანელიძე, „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“, თბ., 1948, გვ. 176—178, 181—185.

## 9. უზუნდარა

„მღვდელიცა და გლეხიც შეზარხოშდნენ. სიმღერა დაიწყეს, ფო-  
ფოდისა უზუნდარა ათამაშეს“ (ალ. ლლონტი. 1956. 245).  
„ხემწიფემ დაერიშების ტანისამოსი ჩაიცვა და წავიდა ფინაჩის  
სანახავად. სალამოს მოადგა ფინაჩის კარს, შეიხედა სახლში, ფი-  
ნაჩი ქეიფობს თავის ცოლ-შვილში, თვითონ მღერის, ბავშვები  
უზუნდარას თამაშობენ“ (ალ. ლლონტი. 1956. 159).

უზუნდარა — (სპ.) ძველებური აღმოსავლური ქალთა ცეკვა ერთ-  
გვარი (ქგლ).

ვეფქრობთ, სპარსული წარმოშობის არ უნდა იყოს.

თ. uzun = გრძელი, ხანგრძლივი,

თ. dar = ვიწრო, მოკლე შევიწროება.

შესაძლებელია: uzundar = გრძელ და მოკლე რიტმს ცეკვისას.

შესაძლებელია: თ. uzun + (სპ.) جا (დარ) = (უზუნდარ) (?)

## 11. სპარაჰეზი

### 1. ბაიათი

„საქირო არ არის ბაიათები, ჩვენ მაგდენი პატივისცემის  
ღირსნი არა ვართ, ქალს ნუ აწუხებთ წავიდესო.“

— არა მიშავს, — ეტყვის ქალი, — ხანჯლები მოიტანეთო ხან-  
ჯლებზე ვითამაშებო“ (თ. რაზ. I. 1951. 35).

„ქალი არა ჰშორდება, დაჯდება და დაიწყებს ტკბილ სიმღერას,  
მოჰყვება ბაიათებს.“

— საქირო არ არის ბაიათები, ჩვენ მაგდენი პატივისცემის  
ღირსნი არა ვართ, ქალს ნუ აწუხებთ, წავიდესო.

— არა მიშავსო, — ეტყვის ქალი, — ხანჯლები მომიტანეთ, ხან-  
ჯლებზე ვითამაშებო, მოატანინა ხანჯლები, დაუკრა დაირა და  
დაუარა, ატრიალებს ხანჯლებს, ივლებს ფეხებში...“ (ელ. ვირს.  
1958. 23).

სპ. بيات (ბაიათ) აღმოსავლური ცალხმიანი ჰანგი, ირანული  
კლასიკური მუსიკის მელოდიის ერთ-ერთი სახეობა.

### 2. დაირა

„ახალგაზრდა ხელმწიფე დაუხვდა თავის ჯარით — ჯამაათით, სა-  
მოცდაათი მოლა მუდურით და ასი მღვდლით, დაირა-ამუსიკით  
შეხვდნენ ქორწილობას“ (ხალხ. სიბრ. I. 1963. 246).

არ. دایره (დაირე) დაირა, მუსიკალური ინსტრუმენტი. 2. წრე.



### 3. დაფა

„ზოგი დაფა-ზურნას უკრავდა და ზოგიც თამაშობდა“ (ქს. სიხ. 1938. 161).

„რამდენიმე ხნის შემდეგ, მათი სოფლიდან ერთი გოგო გააუთხუენ და მექორწილენი და ვ ლ ი თ და ზურნით მიდიან, მიყავან რძალი“ (ჯ. ნოდ. 1940. 155).

არ. فَا (დაფა) საცემელი საკრავი = დაირა.

არ. فَا (დაბაბე) დაფდაფი შდრ. ქართ. დაფდაფი. ვრც. იხ.<sup>21</sup>

### 4. დოლი

„პილილისა (დუდუკი) და დოლის ხმა ისმოდა. ქორწილი იყო პარზის ათხოვებენ“ (ზ. თანდ. 1970. 145).

სპ. دُول (დოპოლ) დიდი დოლი.

### 5. თაბალა

„თაბალა იქა, დაირა აქა“ (თ. რაზ. 1909. !12).

არ. طَبْل (ტაბლ.) დოლი, საომარი საკრავი<sup>22</sup>.

### 6. ზურნა

„თავი მოემზადა და დაფა-ზურნით გასწია გზისაკენ“ (ზ. თანდ. 1970. 66).

„ერთი უკრავს დაფა-ზურნას და ზოგი თამაშობს“ (ელ. ვირს. 1958. 339).

„მეორე დღეს გლეხის კარზე ორასი კარგად გამოწყობილი ცხენო-სანი ზურნით დაირაზმნენ“ (გ. ნათ. 1950. 184).

სპ. زورْ (სურნა) ზურნა, საკორწილო საკრავი, საცემელი.

სპ. زورْ ~ زرز (ზურნა) ზურნა. მუსიკალური ინსტრუმენტი.

ზურნა—არაბულად სურნა ნიშნავს იერიგონის საყვირს. დუდუკის მგავსი მუსიკალური საკრავია. აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი<sup>23</sup>.

### 7. საზი

„ბოლოს გამოიცვალა ურუბა. შევიდა ქორწილში და დეიწყოს საზ-ზე დამღერება“ (ნ. ნოდ. 1959. 250).

<sup>21</sup> ი. ე. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 213.

<sup>22</sup> ი. ე. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

<sup>23</sup> ი. ე. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 197, 203.

სპ. ساج (საზ.) ეს (თარ)—სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი. საზი—საკუთრივე ძნობას ნიშნავს, მუსიკას ნიშნავს; აქედან საზანდარი — საზების მქონეველ დამკვრელებს ნიშნავს. აღმოსავლეთის ორკესტრი; საზი გრძელტარხიანი ჩონგურია, რომელსაც 8 სიმი აქვს. იკვრება ოთხ ხმაზე. საზი—განსაკუთრებით აშუღების ჩონგურია. ვრც. იხ.<sup>24</sup>

ეს (თარ) სიმი, ძაფი, ღერი, გიტარა.

## 8. ფანდური

„ღევს ერთი ფ ა ნ დ უ რ ი პქონდა ოქროსი“ (თ. რაზ. I. 1951. 95).  
 „ქაჩალი მე ფ ა ნ დ უ რ ე ოთხი წელია ზღურბლზე ზის და დარაჯობს ქალსა“ (თ. რაზ. I. 1951. 45).

ფანდური ბერძ. პანდურას უდგება. ფანდური ძალებიან საკრავთაგან ერთი უძველესთაგანი ჩანს. ასეთი საკრავი ასირიულ ბარელიეფებზეა აღბეჭდილი<sup>25</sup>.

სომხ. — ფანდირ — (წარმომავლობაზე სხვა არათეორია ნათქვამი) ასირიული — (?)

## 9. ჩანგი

„რომელი ზიხარ ჩემს ოქროს სკამსა, რომელი უკრავს ჩემს ოქროს ჩ ა ნ გ ს ა, ადექი გარეთ გამომეცალე, თორემ მე არ შეგარჩენ ტანზე თავსა!“ (ელ. ვირს. 1958. 23).

სპ. چنگ (ჩანგ) ჩანგი, მუსიკალური ინსტრუმენტი, ურეზონატორო, სწორკუთხოვნად მოხრილი, სიმებიანი სამუსიკო საკრავი, რომელსაც თითების გამოკვრით აქლერებენ. „მოდრეკილი საკრავია ძალთა“ (საბა).

## 12. მოსაწავი

### 1. ყალიონი

„ბატონი მხარეთქოზე წამოწოლილიყო და გრძელ ყ ა ლ ი ო ნ ს აბოლებდა“ (ალ. ლლონტი. 1956. 151).

„ყ ა ლ ი ო ნ ს დაჩვეული ვარ, ერთი კიდევ მომაწევინეთო სიკვდი-“

<sup>24</sup> ი. ე. ქ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 164,5; გვ. 191 და სხვა.

<sup>25</sup> ი. ე. ქ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. III; 150—153.

ლის წინ და ისე მომკალითო“ (ხალხ. სიბრძ. I, 1963, 109). (მ. ჩიქ. I. 1937, 114).

სპ.  $\text{قايان}$  [ყაღან] ყაღანი.

**3. ბურნუთი**

„ჩაგაყრი ბ უ რ ნ უ თ ს და ჰაერში გაგაქრობო“ (ელ. ვირს. 1958, 265).

თ.  $\text{burnut} \leftarrow \text{burunot} =$  ცხვირის ბალახი.

### III. აღმოსავლური წარმოშობის ტერმინები

ქართულ ზღაპრებში გვხვდება აღმოსავლური ტერმინები, რომელთა ნაწილი ქართულში ადრე იყო შემოსული, ნაწილი — შედარებით გვიან. „როგორც ცნობილია, ესე თუ ის ტერმინი შეიძლება ირანული წარმოშობისა იყოს, მაგრამ მისი შინაარსი ადგილობრივ ვითარებას შეესაბამებოდეს“<sup>1</sup>. ზოგი მათგანი დაკავშირებულია სარწმუნოებასთან, რელიგიასთან, ზოგი კი ეკონომიურ ცხოვრებასთან, ვაჭრობა-ხელოსნობასთან. „მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს მკიდრო ეკონომიური ურთიერთობანი თავის გამოვლინებას პოულობდა საშინაო ვაჭრობის ხასიათსა და სტრუქტურაშიც. ამას მოწმობენ ტერმინები: „რასტაზარი“, „ჩორსუ“, „დუქანი“, „ოსტატი“, „შეგირდი“ და სხვა“<sup>2</sup>. ეს ტერმინები დაკავშირებულია სრულიად სხვადასხვა სფეროსთან, განსაკუთრებით კი იმდროინდელი საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებთან. ესენია: უმაღლესი სოციალური ფენების აღმნიშვნელი, სამოხელეო და სოციალ-ეკონომიური, ქალაქის ვაჭრობა-ხელოსნობასთან დაკავშირებული, მუსლიმური სასულიერო პირებისა და ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინები<sup>3</sup>.

#### 1. უმაღლესი სოციალური ფენის აღმნიშვნელი ტერმინები

##### 1. ფადიშაჰი

„...იყო ერთი ფადიშაჰი“ — (ზ. თანდილავა. 1970, 159).

„საეაქროდ წავედი ერთ დიდ ფადიშახთან“ — (ქ. ნოდ. I. 1936, 52).

<sup>1</sup> ვ. გაბაშვილი, ირანული წარმოშობის სოციალ-ეკონომიური ტერმინოლოგია უძველეს ქართულ წყაროებში, კრ. „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 110.

<sup>2</sup> ვ. გაბაშვილი, XVI—XVII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის ურთიერთობის შექმნე. კრ. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, I, თბ., 1966, გვ. 192; მისივე, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები IX—XII სს. იქვე, 1966, გვ. 16.

<sup>3</sup> იხ. ლ. კოტაშვილი, აღმოსავლური წარმოშობის ტერმინები ქართულ ხალხურ ზღაპრებში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 3, გვ. 81—92.

„ჩვენ რომ სინათლე გავანთეთ, ფადიშაი, არ დავთვალეთ“  
(ქ. ნოლ. I. 1936, 3).

ფადიშაპი — ფადიშახი — ფადიშაი.

სპ. اسداس (ფადეშაპ) — მეფეთა მეფე ისლამურ ქვეყნებში.

## 2. შაკ-ზადე

„ამ დროს შაკ-ზადე ამზადებს ცხენსა, ამ ბიჭის დანახვაზე  
ქალმა იკითხა: სიდან და როგორ ჩამოვარდი აქ, შაკ-ზადე?“  
(ქ. ნოლ. I. 1936. 19).

სპ. اسدازاد (შაკ-ზადე) მეფის შვილი.

## 8. ხანი

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხანი“ (ნ. ლოლ. 1959. 239).  
„ხანი სცარცვავს ღარიბებს. თავისიანებს ამღიდრებს. ხანი  
ხოცავს მართალ ხალხს, თავისიანებს ამღიდრებს“ (მ. ჩიქ. III.  
1956. 176).

თ. خان (ხან) აღმოსავლეთის ქვეყნებში: გამგებელი, მონარქი,  
მთავარი.

## 2. სახელმწიფო-ადმინისტრაციული ტერმინები

### ა. სამოხელეო ტერმინები

#### 1. ბეგი

„ერთ დროს იყო ორი ბეგი“ (ქ. ნოლ. II. 1972, 101).

„ერთ ბეგს ერთი ვირი ყოლია“ (ქ. ნოლ. I. 1936, 104).

„იმ სახლში მეგემ ერთი ბეგი იდგა. იმ რამდენიმე დღის უკან  
იმ ბეგს შვილი მოკვდომოდა და იმ ბეგის ცოლი გაცხა-  
რებული ტიროდა“ (ქ. ნოლ. II. 1940. 87).

„შერიფ ბეგს დიდად უყვარდა ალი ალა“ (ქ. ნოლ. II. 1940.  
139).

„ჩემი სახელია რეშტი ბეგი და მე უნდა წაგიყვანო ცო-  
ლათო“ (ქ. ნოლ. II. 1940. 62).

თ. بيگ-بيگ (ბეგ, ბეგ) ფეოდალური არისტოკრატიული  
ტიტული; ზატონი; მოსაუბრისადმი პატივისცემის გამომხატველი  
მიმართვის ფორმა.

#### 2. ვეზირი

„მეფემ დაიბარა ნაზირ-ვეზირები და ოქრო ვერცხლით  
დააჭილდოვა“ (ალ. ღლონტი, 1956. 142).

„მეფემ ამ შაჰ-ზადესთან მისი დიდი ვეზირი იახლა და მისი ესკერი“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 75).

„შეჰყარა ნაზირ-ვეზირები, თავისი ხალხი მთლად და მაიყვანა ქალი“ (ქართ. მთ. ზეპ. 1958. 376).

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე და ჰყვანდა ერთი მოხუცი ვეზირი“ (ე. თაყ. II. 1918. 155).

„მთავარ ვეზირს სამი ჯორ-აქლემი თვალ-მარგალიტით დატვირთული მიუძღვნა“ (ხალხ. სიბრ. II. 1964, 208) (ალ. ლლონტი, 1956, 142).

„მე მოვხუცდი და ჩქარა მოვკვდები, ჩემი ტახტი ერთი დღითაც ცარიელი არ დატოვოთ, თორემ შავი ვეზირი გამეფდება და თქვენ სახლიდან გაგრეკავთ“ (ხალხ. სიბრძ. II. 1964, 142).

არ. وزیر (ვაზირ) ვეზირი, მეფის საბჭოს წევრი, მეფის მრჩეველი მინისტრი მუსლიმურ აღმოსავლეთში<sup>4</sup>.

არ. (ნაზირ) სამეფო კარის დიდი მოხელე აღმოსავლეთის ქვეყნებში.

#### 8. მუხტარი

„სოფლის მუხტარმაც დაიჭირა თვალი მაგაზე — ქალზე. მუხტარი, ხოჯა და ვაჭარი არ მაძლევენ მოსვენებასო“ (ნ. ნოლ. 1959. 229).

არ. مختار (მოჰთარ) — მამასახლისი.

#### 4. მუშრიფი

„ერთ ხელმწიფეს ერთი მუშერიბი ყავდა. იი მუშერიბი მოკვდა... დანიშნა თავ მუშერიბათ (ჯ. ნოლ. II. 1940. 123).

არ. مشرف<sup>5</sup> (მოშრეფ) ზედამხედველი. სელჩუყთა ეპოქაში ვილაიეთის გამგებელი. 2. მბრძანებელი, 3. სასახლის მოხელე. შერიფი — აღმოსავლეთის ქალაქებში საერთოდ მეთვალყურე მოხელეს ეწოდებდა. ვრც. იხ.<sup>6</sup>  
მუშრიბი — ქალაქის საბაჟოში შემოსული საქონელი, აგრეთვე

<sup>4</sup> ვაზირის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვეთი პირველი, თბ., 1928, გვ. 116—124. იქვეა მითითებული ლიტერატურა, კ. კუციბა, სეფიანთა ირანის საქალაქო წყობილება „თაზქირათ ალ-მულუქის“ მიხედვით, კრ. „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან“, 1, თბ., 1966, გვ. 112.

<sup>5</sup> ვ. გაბაშვილი, თბილისის მმართველობა X—XI საუკუნეებში, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 344.

სასახლის ქონებისა და სასახლის კარის შეაანახი ქონების აღ-  
მწერელი<sup>6</sup>.

### 5. სულთანი

„ახმედ აღას გუუხარდა — სულთანი მესტუმრაო“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 77).

„მან მითხრა სულთანი სულემანის მალარასანი“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 112).

„იქ ყოფილა ერთი სულთანი ფაშა. ყერიბმა მივიდა მასთან და თხუა სამუშაო ალაგი“ (ჯ. ნოლ. 1959. 248).

არ. سُلْطَانٌ (სოლთან) აქ: ამ ტერმინში მონარქი არ იგულისხმება.

### 6. ფაშა

„ერთ ქალაქში ერთი ფაშა იყო“ (ელ. ვირს. 1953, 321).

„ფაშას გუუხარდა ამოილო და ალიაღას საჩუქარი მიცა ვორ-  
მოცი მანეთი“ (ჯ. ნოლ. II. 1940, 139).

„ერთ ფაშას იქ ყოლია არაბეთიდან ჩამოყვანილი ცხენი“  
(ჯ. ნოლ. II. 1972. 103).

„რეშტი ბეგმა ეს ლამაზი ქალი მუუყვანა მამედ ფაშას და  
უთხრა ცოლად უნდა შევიერთო“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 63).

სპ. פֶּשֶׁה (ფაშა) ისლამური აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ,  
თურქეთში, უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ტიტული.

### 7. ყავაზი

„მიორე დღეს გაგზავნა ყავაზი, მოაყვანია ი გოგებში  
და მასთან სამნივე“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 4).

„ყავაზმა წააწყდა ამათ და უთხრა... ყავაზმა მოკიდა  
ხელი და წეიყვანა მეფესთან“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 13).

არ. قَافِز (ყავაზ), მოხელე,

თ. kavas = მოხელე.

### 8. ჯალათი

„ამა და ამ ადგილზენა წახვიდე და ვაშლინა მეატანოვო, გოგოს  
უწამლოვო, თუ არა და, ჯელღეთებს შენ თავს დავაწყვეტი-  
ებო“ (ქართ. ზღ. აქ. 1973, 125).

არ. جَلَّال (ჯალალ) ჯალათი.

<sup>6</sup> მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 148—156.

## ბ. სოციალ-ეკონომიური ტერმინები

### 1. ალა

„ბიკმა უთხრა ალა ს, აბა, რას მიბოძებო“ (პ. უ. III. 1964. 239).

„გამოვიდა ალა და გაკვირვებულს თვალეები დაჰყეტილი დარჩა“ (ელ. ვირს. 1958. 300).

„ერთი ამ სოფლის ალა იყო“ (ზ. თანდ. 1970. 163).

„ასი წლის წინათ ამ ქობულეთის რაინში ცხოვრობდა ერთი მდიდარი ოსმან-ალა ჯაყელი“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 57).

- თ. ცქ (ალა)—ბატონი, უფროსი,—ტიტული, რომელსაც ფლობდნენ მდიდარი თურქები. აქ პატივისცემის გამომხატველი მიმართვის ფორმაა. ბეგი, ფაშა, სულთანი და ალა ტერმინები გვხვდება ცალკე და საკუთარ სახელთანაც. საზოგადოებრივი მდგომარეობით ალა აზნაურულ წოდებას ეთანანბრებოდა.

### 2. ზანგი

„მართლაც მისცა წამალი ზანგმა და უთხრა“ (ელ. ვირს. 1949. 123).

სპ. زنگی (ზანგე) ზანგი, შაგჟანიანი,—ეთნიური ტერმინი — ნახ მარია სოციალური მნიშვნელობით. იგი შესატყვისია შავი არაბისა, შავი მონისა ან უბრალოდ მონისა.

### 3. ხიზემეთქარი

„იყო ერთი ფადიშაჰი. იმას ყავდა გოგო შვილი, სამიც ხიზემეთქარი ...ამ სამივე ხიზემეთქარებმა წევდენ სხვა ქვეყანაში“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 163).

„მერე თქვეს, რომ ჩვენ წევდეთ და ვინმესთან ხიზემეთქართა დავდგნეთ“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 101).

„წავალ ერთ წელიწად დევე ხიზემეთქარდები და ბელგინ ერთი ცალი ხარი კიდევ ვიშვო ჰადმეო, მაშინ მოვალ და ცოტას წინ წავწევო. ამდგარა და წასულა ეს კაცი სხუა ქვეყანაში ხიზემეთქართ“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 86).

არ. სპ. خدمتکار (ხედმათქარ) მოსამსახურე, მოჯამავირე.

არ. خدمت (ხედმათ) სამსახური. სპ. کار (ქარ) საქმე.

თ. hizmetkâr=მოსამსახურე.

### 4. ხოჯა

„მართლაც უყარაულე შუადამემდი, მემრე გაილო ფანჯარა და გადმოიდა ხოჯა, რომელსაც ხელში ეჭირა წკეპლა“ (ალ. ლლონ-ტი. 1948. 134).



„ხალხს ბრაზი მოსდის, მეტადრე აღიებს და ხოჯიებს, რომ გლახამ რა გვიქნა, ეს რა გაუბედა ფაშის შვილსო“ (ჭ. ნოლ. II. 1940. 69).

„ერთიც ხედავს, რომ გვიხსნა ღუშემე და ორი ხოჯა შემოვიდა“ (ჭ. ნოლ. II. 1972. 108).

სპ. **اچاچ** (ხვჯე) — ხოჯა, მოხუცი; პატრონი, ბატონი; ვაჟარი, დიდვაჟარი.

## 8. ძალაქის ვაზროვა-ხელოსნობასთან დაკავშირებული ტერმინები

### 1. ავჯი, ავჯი ბაში, ბაშავჯი

„ამ დროს ქალაქიდან წამოსული ავჯის (მონადირე) ძაღლებს წააწყდა“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 22).

„ამ დროს ბაშავჯიმ თავისი დღიობის დღესასწაული მუაწყო... დიდმა ავჯიმ ყველა თავისი სტუმრები ინახულა. ეს ამბავი მოუვიდა ავჯიბაშს“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 24).

თ. **avcibaş** = მონადირეთუხუცესი.

თ. **avci** = მონადირე.

თ. **baş** = თავი.

### 2. ბეზირგანი

„ამ დროს გამოარა ბეზირგნებმა და კითხულობდნენ კაცს, რომელიც თან წაყობოდათ (სავაქროდ)“ (პ. უ. III. 1964. 264).

„თქვი, რომ ჩემი ბაბაი ღიღი ბეზირგანი კაცი იყო“ (ჭ. ნოლ. 1936. 105).

სპ. **بزرگان** (ბაზარგან) ვაჟარი, წვრილი ვაჟარი, მეღუქნე.

### 3. დალალი

„უსტაბაში გამხდარა ავათ და დალალები ღვინოსა მსომენ“ (მარტირ. 1956. 140).

„ერთ ფადიშაჰს მეგემ დაქარქვია ალთუნის დანა. თელალი დაუძახნია“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 105).

არ. **دلّال** (დალალ) მაკლერი.

### 4. დახლიდარი

„ჩემი პატრონი ბიქსა და დახლიდარს მოუვიდათ ჩხუბი“ (მარტირ. 1956. 38).

არ. اَرْدَا (დახლდარ) შემოსავლიანი, მომგებიანი; კომპანიონი, თანამოსაქმე.

## 5. ღურგალი

„აგინი ყოფილან: „ერთი დ უ რ გ ა ლ ი, ერთი თერძი, ერთი ცხენჭი“ (ჭ. ნოლ. I. 1936, 13).

სპ. دَرُوْدَا (დორუდგარ)—ღურგალი.

## 6. დუქანი, დუქან-ბაზარი

„ნახა, ერთ ადგილას დიდი და მშვენიერი სასახლეა, წინ მიდგმულია დ უ ქ ა ნ ი, სადაც ერთი ოქრომკედელი მუშაობს“ (პ. უ. III. 1964. 279).

„ერთ დილით ერთი სოცდაგარი მივიდა დ უ ქ ა ნ შ ი, მოითხოვა სასმელ-საქმელი და ბიჭები, დ უ ქ ა ნ ის ახლოს ჩამოხადა ჯორაქლემიდან საპალნე. ბიჭები დაუყენა და თვითონ დ უ ქ ა ნ შ ი შევიდა დასასვენებლად“ (ქს. სიხ. 1938. 177).

„გამართული დ უ ქ ა ნ - ბ ა ზ ა რ ი ა, როგორც ვინმეს უგემნია, უქამნია, უცხოვრია ეგრეა დაქვევებული ყველა“ (ქართ. მთ. ზებ. 1958. 361).

„ქალმა ფირუზას ეეზირობა უბოძა... ფირუზას შუამდგომლობით მინდორი შეისყიდა ხელმწიფისაგან, გააშენეს ქალაქი, დაასახლეს ხალხი, გაჩაღდა დ უ ქ ა ნ - ბ ა ზ ა რ ი. ისე რომ ძველ ქალაქს ბევრით დაემჭობინა“ (ელ. ვირს. 1958. 143).

არ. دُكَانٌ (დოქან) = დუქანი.

სპ. بازار (ბაზარ) = ბაზარი.

## 7. ზარაბი

„ეს ბექედის წაიღეო ზ ა რ ა ბ თ ა ნ ა ო და მიჰყიდეო“ (პ. უ. III. 1964. 264).

„ზ ი რ ა ბ მ ა გაჰყვირდა“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 51).

არ. زَارِبٌ (ზარებ) = საფასურით ფულის გადამხურდავებული, ფულის მომკრელი?

## 8. მუშტარი

„დაეხვია დიდძალი მ უ შ ტ ა რ ი. გავარდა ხმა სამზღვარგარეთი-

<sup>7</sup> ზარაფისა და ზარაფხანის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წ. III, 1, ნავე. III, ქართული საფას-საზომთა-მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925, გვ. 44.

დან დიდი ვაჭარი მოსულა და დიდი ძალი საქონელი მოუტანიაო“ (მ. ჩიქ. II. 1952. 46).

„დაინახეს სხვა ვაჭრებმა, რომ იმათთან მუშტარი აღარივინ მიღის“ (მ. ჩიქ. III. 1956. 200).

არ. مَشْتَرِي (მოშთარინ) მუშტარი, მყიდველი, გამსაღებელი.

## 9. ნოქარი

„აპკიდა ა-რ-აქლეშებს საქონელი. ერთ ნოქარს გაატანა და ეს სოვედაგრის შვილიც თან გააყოლა“ (ელ. ვირს. 1958. 340).

სპ. نوكارو (ნოქარ), = ნოქარი, მსახური.

## 10. ოსტატი

„გაუგია ოსტატს, რომ შეგირდს ჩემი ხელობა გაუტანიაო“ (თ. რაზ. I. 1951. 243).

„მერე გზა დაულოცა ოსტატმა და გაისტუმრა“ (თ. რაზ. I. 1951. 242).

სპ. استاد (ოსთად) = ოსტატი, ხელოსანი.

## 11. სარქალი

„შეილი წაეიდა, იარა და ერთ მდიდარ კაცს სარქლად დაუდგა“ (თ. რაზ. I. 1951. 81).

„— გამარჯობა! — გაგიმარჯოს! — ალავ, მგონი, თქვენ სარქალს ეძებთ და მე დაგიდგებიით. — მე ჩემო ძმავ, უთხრა ალამ, ისეთი სარქალი მინდა, რომ თავისი ხელით არაფერი დამაკლოს, ალაღად და მართლად მოიქცეს და ჯამაგირს რასაც მთხოვს, მივცემო. — ძალიან კარგით უთხრა სარქალმა“ (თ. რაზ. 1909. 130).

სპ. سرکار (სარქარ) — ზედამხედველი, უფროსი, მმართველი; უფროსი მწყემსი, რომელსაც ირჩევენ სარქლად ერთ გამოცდილ, სიტყვაპასუხიან მწყემსს, რომელსაც მთიდან ჩამოსვლამდე დანარჩენები ყველაფერში ემორჩილებიან.

## 12. სოვედაგარი

„ამ ქვეყანაში სოვედაგარები დადიოდნენ ხშირად ძვირფასი ნივთების საყიდლად“ (ჯ. ნოდ. 1957. 170).

„შემოეხვივნენ გარშემო სოვედაგარები, დაუწყეს ვაჭრობა“ (მ. ჩიქ. III, 1956. 163).

„ერთ ქალაქში გვერდის გვერდ ორი სოვედაგარი ვაჭრობდა“ (თ. რაზ. 1909. 119).

„სად იყო და სად არა, ამ ხესთან დასასვენებლად გაჩერდა შორი მგზავრობიდან მომავალი სო ვ დ ა გ ა რ ი. მთელი ქარავანია საქონელი მიჰქონდა გასაყიდად“ (ალ. ლლონტი. 1956. 180).

„როდესაც ქალაქს მიუახლოვდნენ, სო ვ დ ა გ რ ე ბ მ ა კაცები გაგზავნეს ქარავასლების დასაგირაგებლად“ (თ. რაზ. II. 1952. 5).

„რახან შენ ასეთი ღარიბი ხარო, სასო ვ დ ა გ რ ო თ მივდივარ და წამოდი ჩემთან მოჯამაგირეთაო... წავიდნენ სასო ვ დ ა გ რ ო თ ჯორ-აქლემებით“ (ალ. ლლონტი. 1948. 99).

სპ. سَوْدَاگر (სოვდაგარ)—დიდვაჭარი, ბითუმად მოვაჭრე.

სოვდაგრები ეკონომიური მდგომარეობით მალლა იდგნენ ბაზარგანებთან შედარებით.

## 18. უსტაბაში

უსტაბაში ამქრის ადმინისტრაციის უმაღლესი მოხელე იყო. მის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას შეადგენდა ამქრის ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დაცვა. მუსლიმური რიტუალის კვალობაზე ამქარში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ზნეობრივ სიწმინდეს — (მაგალითად, არ სვამდნენ ღვინოს, რაც აკრძალული იყო შარიათით<sup>8</sup>).

„უსტაბაში გამხდარა ავათ და ღალალები ღვინოსა მსომენ“ (მარტირ. 1956. 140).

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთში ხელოსნებს თავიანთი ნიშნები ჰქონდათ, რომლებსაც ისინი დამზადებულ პროდუქციას უყებდნენ. ეს ნიშნები ხშირად მამიდან შვილზე გადადიოდა, რაც ქართულ ზღაპარშიც აცხაბა. მაგალითად:

„ხელმწიფემ მასპინძელს შესძახა და იმ ღამეს თავშესაფარი სთხოვა. ხედავს, გაშლილია სუფრა და ხელოსანი თავის ცოლ-შვილში ქეიფობს. მასპინძელმა სიხარულით მიიპატიჟა სტუმარი, რომელსაც ბაზრის უსტაბაშის ნიშანი ეკიდა“ (ელ. ვირს. 1958. 325).

თ. ustabaş (უსტაბაშ) ძვ. ხელოსანთა ამქრის უფროსი, უფროსი ოსტატი.

თ. baş=თავი. თ. usta←სპ. استاد (ოსტატი) შდრ. ოსტატი.

## 14. ფინაჩი

„ხელმწიფემ დავრიშის ტანისამოსი ჩაიცვა და წავიდა ფინაჩის სანახავად. საღამოს მოადგა ფინაჩის კარს. შეიხედა სახლში,

<sup>8</sup> კ. ეუციია, სეფიანთა ირანის ქალაქები, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 76.

ფინანსი ქეიფობს თავის ცოლ-შვილში, თვითონ მღერის, ბავშვები უზუნდარას თამაშობენ. დერვიში რომ დაინახა ფინანსმა, სიხარულით მიიპატიჟა“ (ალ. ლლონტი, 1956. 159).

სპ, **سپ** (ფინე) საკერებელი, ნაკუწი, ნაგლეჯი + თ. ci —სახელიდა

სახელის მაწარმოებელი პროფესიის აღმნიშვნელი აფიქსი<sup>9</sup>.

## 15. ქარავანი

„იარეს, იარეს და ერთ უდაბნო ალაგას მივიდნენ. ისეთია უწყლობით ხალხი სულ იხოცება. იმოდენა ქარავანს მოუყრია თავი, რომ კედვა აღარ არის. თუმცა ჰა ყოფილა მოთხრილი, მაგრამ ვინც ამ ჰაში წყლისთვის ჩასულა, ცოცხალი ველარავან ამოსულა. შეყრილიყვენ სოვდაგრები და თათბირობდნენ. ვინც ჩავა და წყალს ამოიღებს, ოცი ჯორ-აქლემის საპალნე ფულს და საქონელს მიეცემთო“ (თ. რაზ. 1909. 177).

„ახლავე წადი და ხელმწიფეს სთხოვე, ოცი აქლემის საპალნე ფეტვი. დატვირთონ და გააგზავნონ აღმოსავლეთისაკენ, მეაქლემეებს გაატანონ ორმოცი დღის სანოვავე. ყოველისფერს რომ მოგცემს და გაგზავნი, ქარავანის უფროსს უთხარი, რომ სანამ შენ არ მიეწეოდე, არსად არ გააჩეროს ქარავანი, სულ ერთავად იაროს“ (ელ. ვირს. 1958. 214).

სპ. **كاروان** (ქარავან)—საქმეზე მიმავალი<sup>10</sup>

„ამქრის აღმინისტრაციაში უსტაბაშის შემდეგ ყველაზე გავლენიანი პირები იყვნენ ამქრის უხუცესები — ქეთხუდები, რომელთა თანამდებობა არჩევითი იყო. ქეთხუდების ძირითადი მოვალეობა იყო ამქრის ფინანსიურ-ეკონომიური მხარე. აღსანიშნავია, რომ ირანულ სახელოსნოში რელიგიურ მომენტს უმთავრესი ადგილი ეკუთვნის. ხელოსანს ევალებოდა კარგად სცოდნოდა ხელობის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, ლოცვები, რომლებსაც იგი წარმოსთქვამდა საწარმოო პროცესში“<sup>10</sup>.

## 16. ქეთხულა

„იყო ერთი მდიდარი ქეთხულა ვაქარი. საღამოზედ, შუალამისას და დილით თავისუფალ დროს ლოცვაში ატარებდა“<sup>11</sup> (თ. რაზ. 1909. 20).

<sup>9</sup> С. Джикия, О Грузино-азербайджанских языковых взаимоотношениях. Труды Ин-та Языкознания, серия Восточных языков, т. 2. 1957, с. 207—218.

<sup>10</sup> ქ. კუციია, დასახ. ნაშრომი, გვ. 80; ლ. შენგელია, ირანი ქერობან ზენდის დროს, თბ., 1973, გვ. 57.

<sup>11</sup> დილით, შუადღისას და საღამოს ლოცვაში ნაშაზა ნაგულისხმევი.

„როგორც ცნობილია აბას I და მისი მომდევნო შაჰინ-შაჰების დროს, პატივისცემითა და პრივილეგიებით სარგებლობდნენ სომეხი დიდვაჭრები, რომლებსაც დიდი ფინანსიური ძალა, გააჩნდათ და სხვადასხვა ქვეყნებთან აწარმოებდნენ სავაჭრო ოპერაციებს“<sup>12</sup>. ქართულ ზღაპარშიც მოიხსენიება სომეხი ქუთხუდა.

„ერთხელ წვეულებაში არიან. მასპინძელს ერთი ქეთხუდა სომეხიცა ჰყავს დაპატივებული“ (თ. რაზ. 1909. 131).

სპ. كَخْدَا (ქეთხოდა) შამასხლისი.

### 17. ყასაბი

„სამი ყასაბი იყო და ამ ყასაბებს ერთი სომეხი ჰმეგობრობდა. არაფერი არა ჰქონდათ იმასთან დამალული, ყველა იმათი საიდუმლო იცოდა“ (თ. რაზ. 1909. 164).

არ. قَصَاب (ყასაბ) — ყასაბი.

### 18. შეგირდი

„წაიყვანა კაცმა ის ვაჟი სადმე ხელობაზე შეგირდათ მისაბარებლად“ (თ. რაზ. I. 1951. 241).

„გაუგია ოსტატს, რომ შეგირდს ჩემი ხელობა გაუტანიო“ (თ. რაზ. I. 1951. 243).

სპ. شاگرد ~ شاگرد (შაგერდ) — მოწაფე, ოსტატის (იხ.) მოწაფე.

### 19. ჩარჩი

„ერთ მშვენიერ დღეს ჩარჩმა ჩამოატარა ფარჩა და იძახის: ფარჩა, ქალებო, ფარჩა ტალებო!“ (მ. ჩიქ. 1952. 223).

თ. çerçi || ქორვაჭარი, სპეკულანტი.

### 20. ჩალანდარი

„ერთი კაცი ქუთაისიდან ახალციხეს მიდიოდა და ზორავი ჰქონდა წასაღები. ამ დროს ერთი ჩალანდარი შემოეყარა“ (პ. უ. IV. 1964. 101).

„მოდინ ჩალვადრები გზაში“ (პ. უ. III. 1964. 42).

„შუალამემ რომ მოატანა, ამ ხის ძირზე მივიდნენ ჩალანდრები“ (მ. ჩიქ. 1938. 149).

სპ. چالاندار (ჩარვანდარ) — ოთხფეხის პატრონი, პირი, რომელიც ცხენებს ქირაზე ატარებდა. მღვეარი, გამყოლი.

<sup>12</sup> კ. კუცია, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

## 21. ჩაფარი

„სოლომონ ბრძენმა იერუსალიმის ტაძარი რო ააშენა, გაგზავნა ჩაფრები მთელს ქვეყანაზედ, რომ ყველა მოსულიყო და დავეფასებინა რა ღირდა სოლომონისაგან აშენებული ტაძარი“ (თ. რაზ. 1909. 262).

ა. çapar || შიკრიკი, რეგოლუტციამდე დაბალი ჩინის პოლიციელი კუთხ. მცველი.

## 22. ჩობანი

„იყო ერთი ჩობანი, სულ უკანასკნელი ღარიბი“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 95; ნ. ნოდ. 1959. 222).

„ოქ ბევრი საქონელი დაჯანახა, აძებდნენ ჩობნები“ (ქართ. ზღ. (აქ) 1973. 97).

თ. چوبان ~ چوبان (ჩუბან, ჩუფან)—მწყემსი.

## 23. ხარაზი

„ერთ ხარაზს ათი თუმანი მისცა, წამოიყვანა თვალგაბეჭული, შეაკერინა ერთი დიდი ტყავი პერანგი“ (თ. რაზ. I. 1951. 34).

არ. სპ. خراز (ხარაზ)=ხარაზი.

## 24. ხეინჯი

„აგინი ყოფილან: ერთი ღურგალი, ერთი თერძი, ერთიც ხეინჯი“ (ჯ. გოდ. I. 1936. 13).

„გვედა ერთი თვე და იმ ერთი თვის განმავლობაში ხეინჯი აკეთებს ერთ ჰაუზს ოქროით და ძვირფასი ქვებით მოკაზმული“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 14, 15).

თ. kuyumcu=ოქრომკედელი.

## 4. მუსლიმური (სახულიარო კირაზი) და მანაველუალები

### 1. დავრიში

„მე მივეყავარ ბებერს, როცა გამოგელვიძოს, მანდვე ქვესკნელს დავრიში ები არიან, მამაჩემის სულისათვის პარაკლისს იხდიან... ჩავიდა ქვესკნელს და ჰკითხა დავრიში ბს“ (ელ. ვირს. 1949. 304. 5).

„ხელმწიფემ დავრიშის ტანისამოსი ჩაიცვა და წავიდა ფინაჩის სანახავად... დავრიში რომ დაინახა ფინაჩმა, სიხა-

რულით მიიპატოჟა, ხელგაშლილი მიეგება — მობრძანდი, ძი ა დ ა ვ რ ი შ ი. მობრძანდი. ერთი კარგი რამე დაუქარი! დ ა ვ რ ი შ ი ს ტ ა ნ ი ს ა მ ო ს შ ი გადაცემულმა ხელმწიფემ დაუქრა“ (ალ. ლლონტი. 1956. 159).

„იყო და არა იყო რა, ერთ ქვეყანაში ერთი ხელმწიფე იყო. რამდენი შეილიც გაუჩნდებოდა, დ ა ვ რ ი შ ხელმწიფე უქამდა“ (ალ. ლლონტი. 1948. 147).

სპ. رويش (დარვიშ) — მორწმუნე მუსლიმთა რომელიმე გაერთიანების (ორდენის) წევრი, დერევიშთა ერთი ნაწილი მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა და მოწყალების თხოვნით ირჩენდა თავს. ამიტომ დერევიში მათხოვარსაც ნიშნავს. ამ ზღაპრებში უფრო ხშირად წმინდანად გვევლინება.

## 2. თალიბი

„მიდის ლაღე ჩათქრებული, გეიარა მედრესეს ახლო, როცა თ ა ლ ი ბ ე ბ ი დასასვენებლად გამუშუშვეს, მოწაფიებში გავლის დროს, ლაღემ ერთი თორმეტი წლის თ ა ლ ი ბ ს შეეფეთა და ძირ წააქცია...“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 170).

არ. طالب (თალაბე) მოსწავლე სემინარისტი, რომელიც სწავლობს მუსლიმურ სასულიერო სასწავლებელში — მედრესეში.

## 3. ლაღე

„მიორე დღეს დილას ხემწიფე ძიდის სანადიროს თავის ლ ა ლ ე ს ერთად, თავის ყვაზების ერთად“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 6).

„ლ ა ლ ე მ ერთი თორმეტი წლის თალიბს შეეფეთა და ძირ წააქცია“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 170).

სპ. წყ (ლალა) აღმზრდელი.

## 4. მოლა

„ერთ მოლას სამი გოგო ყავდა“ (ნ. ნოლ. 1959. 266).

„გოგო უთხრა: — ნუსხაფების გამჩენმა, ხოჯის ტონი მიყვარხარო, მოლას გუუხარდა ძალვან და ალთუნის ბეჭედი აჩუქა“ (ნ. ნოლ. 1959. 267).

„იყო ერთი მოლა, ჰყავდა სამი ვაჟი. მოლამ აიღო თავისი დოვლათი და რაც ჰქონდა, შეილებს გაუყო“ (პ. უ. IV. 1964. 89).

„ქმარი მივიდა მოლასთან და უფხრა: — მე მივიდივარ მოსაგებში და ჩემ ოჯახობას შენ მიხედო“ (ნ. ნოლ. 1959. 229. 30).



„სად იყო და სად არა. მოვიდა ერთი მდიდარი მოლა, დაინახა თუ არა თეთრი ვირი, ძალიან მოეწონა და გადაწყვიტა თავის წონა ფულიც რომ დამიფასოს უნდა ვიყიდო“ (შ. ძიძ. 1959. 65).

„ამის გაგონებაზე გამოვარდა კარგი მღვეი და ერთი მოლისას ძლივს შეასწრო შევარდნა საბლში. დევმა შესჩივლა მოლას... მოლამ უთხრა: არაფერი შეუძლია იმ უბედურს, ტყვილა შეგშინებიათ“ (ქს. სიხ. 1938. 146).

არ.  $\text{مولا}$  (მოლა) მუსლიმური სასულიერო პირი.

## 5. მუდერისი

„შუათანა ძმამ ხუთი წლის განმავლობაში გახტა გელჩე მუდერისი“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 166).

შუათანამ თქვა, რომ მე იმდენი უნდა ვისწავლო, რომ მუდერისი უნდა გავხდეო (ჯ. ნოდ. II. 1972. 165).

„ამ კაცმა რომ ელიფი წვილო, იმ მუდერის ხოჯას რამდენიმე წელიწადში რაც ისწავლა და რაც იცოდა, სულ დავიწყდა, როგორც პირველად იყო, ისე გახდა“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 166. 7).

არ.  $\text{مدرّس}$  (მუდარჩეს) — მუსლიმური უმაღლესი სასულიერო

პირი, სასულიერო განათლების მქონე, განსწავლული.

## 6. ყადი

„ყადი სასულიერო მსაჯული იყო. მის მოვალეობას შეადგენდა მტკიცედ დაეცვა „დიდებულ შაირათისა“ და „ბრწყინვალე სარწმუნოების“ წესები. ყადის თანამდებობის დანიშვნისას, უპირატესობას აძლევდნენ იმ პირებს, რომლებიც სეიდების შთამომავლებად ითვლებოდნენ და ამიტომ კარგად ჰქონდათ შეთვისებული შაირათის ნორმები. ყადი ძირითადად ასამართლებდა იმ პირებს, ვინც სამოქალაქო და საოჯახო წესებს არღვევდა (სისხლის სამართლისაგან განსხვავებით) ვრც. იხ.<sup>13</sup> ბუნებრივია, რომ მორწმუნე და სამართლიანი ყადების გვერდით, როგორც ყველა სახელმწიფო აპარატში, იყვნენ ცრუ და გაიძვერა მოსამართლენი. ეს ყველაფერი უხედაა ასახული ქართულ ზღაპრებში.

„წამოდი, ჩენს ყადთან ვიჩივლოთ. თუ ეგ თხა არ იყოს, ყადების ხელმწიფემ უთხრა“ (პ. უ. IV. 1964. 82).

<sup>13</sup> ქ. კუცია, სუფიანთა ირანის საქალაქო წყობილება „თაზქირათ-ალ-მულუქის“ მახდევით. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 118.

„ერთ კაცს ლამაზი ცოლი ჰყავდა. ეს ქალი სოფლის ყადის მოსწონდა“ (ზ. თანდ. 1970. 188).

„კეისარმა რომ თავისი ბელლის გატეხვა შეიტყო, ძლიერ ეწყინა და მაშინათვე ყადთან გაიქცა იმის შესატყობად. თუ ვინ გატეხა ბელლი, ყადმა უთხრა (პ. უ. IV. 1964. 113).

„ყოველი დღე ლოცულობდა. ბოლოს მოსწყინდა ეს და ლოცვას უკლო: აბა ვინ გაიგებს, ვლოცულობ თუ არაო, დადგა მარხვა და არც მარხვა შეინახა. ხალხმა გაიგო ეს უჩივლა. ყადიმ დაიბარა ბიჭი და უთხრა (ზ. თანდ. 1970. 172).

„მაშინ ამ კაცმა ყადთან წვეიდა საჩივლელად. ყადმა გამეიბარა ორივე. მოლა დილით ადრე ადგა. ერთი მოზრდილი კოლოფი... ყადს წაუღო და უთხრა: ამას საჩუქრად გაძლევო“ (ნ. ნოლ. 1959. 260).

არ. **عوض** (ყაზნ)—მოამარაღლე; მუსლიმური მაღალი თანამდებობის პარი. ყად წყვეტდა სამოქალაქო და სასულიერო საკითხებს.

## 7. შეიხი

„მე ამდენი ხანია, აქ ვარ, ეს ჩემი შეიხი იყო და მე ვერაფერი გაუგეო“ (ჯ. ნოლ. 1972. 149).

„ერთი შეიხი დადის, როგორც შეიხი თესვა გადაკიდებულ და იძახის აჰუ! აჰუ! გოგა დიდი მართალი კაცი“ (ჯ. ნოლ. 1972. 148).

არ. **شَيْخ** (შეხ) მოხუცი; მოძღვარი; სწავლული, სასულიერო ორდენის წინამძღოლი.

## 8. ხოჯა

„ხოჯა სოციალური ფენა — მსხვილი დიდგაჯარი, რომელიც უმთავრესად საგარეო ვაჭრობასთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ საგარეო ვაჭრობით დაკავებული მსხვილი დიდგაჯრები სპარსულ წყაროებში ტერმინ „ხოჯათი“ აღინიშნებოდნენ“<sup>14</sup>. აქ განვიხილავთ იმ მნიშვნელობებს, რომლებიც მუსლიმანურ სარწმუნოებასთან დაკავშირებული არიან და მოსახლეობაში რელიგიური ავტორიტეტით სარგებლობდნენ, რომლებმაც მექა (და მისი ადგილები) მოილოცეს.

„მე მივდივარ ხოჯობაზე, მინდა მუდერისი გავხდეო“ (ჯ. ნოლ. 1972. 165).

„მარა იგი ჩააბარა მისი სოფლის ჯამის ხოჯას დიდი იმე-

<sup>14</sup> კ. კუციია, სეფანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბ., 1966, გვ. 57 (ამ მნიშვნელობით იხ. სოც-ეკ. ტერმინებში).

დით, რომ ხოჯა ნამდვილი მუსლიმანი არისო“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 72).

„მოიწვია იმ ლამეს იმ სოფლის ალიები, ბეგები და მისი ჯამის ხოჯაც“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 77).

„არის ერთი ხოჯა, რომელიც ადის მდინარეზე. ეზანს დეიძახებს და ბოლოს მინარეიდან გადმოხტება“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 100).

## 5. ნაგავოგავათან დაკავშირებული ტერმინები

### 1. ახორი

„წყევა ჰაჯი ახმად ალას და დეიწყო ახორში სამსახური“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 77).

„ერთხელ ნენეთ ჩავიდა ახორში, თხა მონველა. რძე ამოიტანა და თაროზე შემოდგა“ (ქართ. ზღ. (აქ.) 1973. 25).

„მელამ ცხვარი ახორში შეიყვანა და დაკლა... შევიდნენ ახორში და დაკლული რომ ნახეს, მელამ იყვირა“ (ქართ. ზღ. (აქ.) 1973. 20)

სპ. خور (ახურ) ბოსელი, თავლა, ცხენის ბაგა.

### 2. თემბელხანა

„ხონდა გაკეთებული თემბელხანა ხელმწიფეს“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 57).

სპ. تينبلخان (თემბელხანე) ზარმაკუბა, უქნარების თავშესაყრელი ადგილი.

სპ. تينبل (თემბელ) ზარმაცი. სპ. خان (ხანე) სახლი.

### 3. დელუგი

„მიტომ გამოგალბა ხუნდის დელუგი“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 143).

თ. delik = ხერული (ზღ. დილეგი).

### 4. დუქანი — იხ. .... III ქალაქის ვაჭრობა-ხელოსნობასთან დაკავშირებულ ტერმინებში.

### 5. კოლიბაი

„ერთ ყანაში ერთი კოლიბაი ნახეს“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 5).

თ. kulübe—ქობი, გომური.

### 6. კოშკი

„იმ კოშკზე შემოხვეული იქნება ვეშაპი. ვეშაპი არავის არ უშვებს კოშკთან“ (ქართ. ზღ. (აქ.) 1973. 49).

სპ. كوشك (ქუშქ) კოშკი, სასახლე.

7. მახანი

„არაბი შეიყვანეს მახანიში და სცემეს მაგრაო“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 157).

არ. مِحْنَة (მიჰნათ) წამება, ტანჯვა, უბედურება.

თ. mihnet = უბედურება. ტანჯვა, წამება. მწუხარება ე. ი. = საწამებელი ოთახი.

9. მეზერი

„ამისათვის ვსტირი ამ მეზერზე (სათლავზე), შით იმყოფება ჩემი შემსიბანუ“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 48).

თ. mezar = აკლამა.

არ. مَاز (მაზარ) აკლამა.

10. მეზელული

„დედამისმა ამოსძახა მეზელულიდან“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 36).

„როცა მეზელზე მიგვეყავდა, ჩემმა ცოლმა დეიწყო სიცილი“ (ჯ. ნოდ. 1940. 103).

თ. mezarlık (مزارق) -- სასაფლაო.

8. მდრესე

„შესამე დილას მდრესაში წვევიდა და ხოჯას უთხრა“: (ჯ. ნოდ. II. 1940. 119).

„მიდის ლალე ჩაფიქრებული, გეიარა მდრესეს ახლოს, როცა თალიბები დასასვენებლად გამოუშვეს“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 170).

არ. مدرسه (მდრესე) მაჰმადიანური სასულიერო სასწავლებელი.

11. მერეგი

„დედინაცვალმა ხენიფე დამალა მერეგში და ხელმწიფის შვილს აჩვენა მისი გოგო“ (ქართ. ზღ. (აქ.) 1973. 76).

თ. merək = საბძელი.

12. მეჩითი (ჯამე)

„ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ გეიგო, რომ სხცა სახემწიფოში დიდი ჯამე (მეჩითი) კეთდებოდა და გასწია და წვედა. ჯამის ქვანდა მოზიდოს“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 84).

„მართლაც ამ მეფემ დეიკავა უსტიები და დააწყებია ჯამეს კეთება. მეფემ მისცა ფული უსტიებს. თვითონ შევდა ჯამეში და ათვალიერებს“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 8).

„ — რა ქენი და იმ ჯამეში შედი და ილოცე“ (ქართ. ზღ. (აქ.). 1973. 44).

„ჩემდა სასახლოთ ერთ მშვენიერ ჯამეს ავაშენეფო“ (ქ. ნოლ. II. 1940. 8).

არ. مَسْجِدٌ (მასჯედ) — სამლოცველო.

არ. مَسْجِدٌ جَامِعٌ (მასჯედ-ე, ჯამე) — საკრებულო მეჩეთი.

#### 18. მინარეთი

„არის ერთი ხოჯა, რომელიც ადის მინარეზე, ეზანს დეიძახებს და ბოლოს მინარეიდან გადმობტება“ (ქ. ნოლ. II. 1940. 100).

არ. مَنَارَةٌ مَنَارَةٌ (მანარ-მანარე) მეჩეთზე მიშენებული კოშკი. საიდანაც მოეზინი (იხ.) მლოცველებს ლოცვად მოუხმობს.

#### 14. მოედანი

„წავიდა და ნახა, რომ ამოუღიათ ის ცარიელი ტანი კუპრიელთა, დაუკილათ შეიდანზე. დაუყენებიათ მკველები და უთქვამთ“ (პ. უ. IV. 1968. 107).

„ერთი კაცი მყავს მოსაკლავი, მთელი საზოგადოება შეიკრიბა მოედანზე“ (ალ. ლლონტი. 1948. 163).

სპ. میدان (მაიდან) მოედანი, ხალხთა თავყრილობის ადგილი, შენობებით შემოფარგლული.

#### 15. სარაია

„თერმულ მემედანის საცოლეს გუუკეთებია სარაია, ოქროს მერღევნებით“ (ქ. ნოლ. I. 1936. 62).

„მამაჩემს რუმ სარაია აქ გაცეთებული, ის ოსტატები უნდა მომიყვანო აქაო“ (ქ. ნოლ. II. 1972. 143).

„ინატრა ქალმა, ღმერთო ერთი სარაიები გააჩინეო და გაჩნდა მართლა კარგი სარაია“ (პ. უ. III. 1964. 200).

„შენ მასეთი ჩიტი რუმ გყავს. შეგიძლიან. რომ ფილდიშის სარაია აგოთ და შით იცხოვროთ.

ფილდიშს ხვალ ვინ მოიტანსო იმდონ რაოდენს, რომ სარაია ედგოსო“ (ქ. ნოლ. 1972. 127).

სპ. سارای (სარაი) სასახლე, სახლი (შდრ. სრა).

#### 16. ქარვასლა

„როდესაც ქალაქს მიუახლოვდნენ, სოვდაგრებმა კაცები გაგზავნეს ქარვასლების დასაქირავებლად. საწყალმა კაცმა გა-

მოუგზავნა ალას კაცი და შემოუთვალა, რაც კარგი ქარვასლა არის ქალაქში, ის დაიჭირავეო“ (თ. რაზ. II. 1952. 5).

„სწორედ ამ ღროს ქარვასლას მოადგნენ აქლემებით დატვირთული ვაჭრები“ (ნ. ნაკ. 1935. 50).

„დაიჭირავე საწყალმა კაცის ალამ ერთი დიდი ქარვასლა და დაუწყო მოლოდინი თავის მოვაჭრეს“ (თ. რაზ. 1909. 6).

სპ. **كَارَوَانِ سَرَايَ** (ქარავენ-სარაი) ფუნდუკი.

#### 17. ყავახანა

„კაცმა ყავახანაში შეიყვანა, მიაართვა საკმელი და დაემშვიდობა. ბიჭი საკმელს მიეძალა, შემდეგ ყავაც მიაართვეს (ზ. თანდ. 1970. 170. 1).

„სანამ მამა მხნედ იყო, შვილები ნებივრობდნენ, თავს არაფერზე იწუხებდნენ და მთელ ღროს ყავახანაში ატარებდნენ... შვილებმა ყურად არ იღეს მამის ნათქვამი და ყავახანაში ხეტიალი მაინც არ მოიშალეს“ (ზ. თანდ. 1970. 135).

„ორივე ძმა ერთხელ ყავახანაში სალაღობოდ მისულიყვნენ“ (ელ. ვირს. 1958. 395).

არ. სპ. **قهوه خانه** (ყაჰვე-ხანე) საყავე.

#### 18. ყასაბხანა

„ის უწყალო ღარიბი იყო და ყასაბხანაში ეგდო ხოლმე“ (პ. უ. III. 1964. 264).

არ. სპ. **قصابخانه** (ყასაბ-ხანე) საყასაბო, ხორცის სავაჭრო დუქანი.

#### 19. ჩადირი

„ერთი ოყა მატყლითაო იმდერ ჩადირს მოვქსოვ, რო თავის ჯარებით რო შევლენ, ჩადირი ნახევარი კიდევ ცარიელი დარჩებაო“ (ქართ. ლზ. (აჭ.) 1973. 66).

თ. **çadır** ← სპ. **چادر** (ჩადორ) კარავი, ფარდული.

#### IV. აღმოსავლური ფრაზები და ენობრივი კალკები

ზღაპრებში გვხვდება მუსლიმური ენებიდან მომდინარე ფრაზები და ენობრივი კალკები. ძირითადად კალკები აგებულია მეშველი ზმნის დახმარებით, რაც უშუალოდ აღმოსავლეთის გამოცახილს უნდა წარმოადგენდეს.

##### 1. ალლაჰა შიქურ

„ა ლ ლ ა ჰ ა შ ი ქ უ რ (მადლობა ღმერთს) მოხვედით“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 7).

არ. **اَللّٰهُمَّ** (ალლაჰა შიქარ) მადლობა ღმერთს, ალაჰს.

##### 2. სალამ ალეიქუმ

„გვეხედე ერთი კაცი მორბის, ხელში უჭირავს პური და ხორცი, — სა ლ ა მ ა ლ ე ი ქ უ მ. შეილიყო, — მითხრა და მაქამა პური და ხორცი“ (ჯ. ნოლ. II. 1972. III).

„ერთმანეთს ს ე ლ ა მ ქ ე ლ ა მ ი უ თ ხ რ ე ს და მერე ამ კაცმა კითხა: (ნ. ნოლ. 1959. 240).

„ს ა ლ ა მ ქ ა ლ ა მ ი უ თ ხ რ ე ს, გაიცნეს ერთმანეთი და გახდნენ სამთავენი ძმები“ (ელ. ვირს. 1949. 181).

არ. **سَلَامٌ عَلَيْكَ** (სალამ'ალეიქომ) შეიღობა თქვენ, მისალმება.

##### 3. სალამი მისცა, || მიაჩთვა, || აიღო

„ს ა ლ ა მ ი მ ი ა რ თ ვ ა და უ თ ხ რ ა: მ(ნ. ჩიქ. III. 1955. 75),  
„დელიბაში შევიდა ხელმწიფის სასადილო ოთახში, სა ლ ა მ ი მ ი ს ც ა, როგორც ხელმწიფეს შეეფერებოდა, ხელმწიფემ სა ლ ა მ ი მ ი ს ი ლ ო და მიიპატიჟა მაგიდაზე“ (ელ. ვირს. 1958. 212).  
„ს ა ლ ა მ ი მ ი ს ც ა გველეშაპს. შევლეშაპმა სა ლ ა მ ი ა ი ლ ო“ (მ. ჩიქ. III. 1956. 88).

სა. — کردن (ქარდან) }  
— دادن (დადან) } სალამი მისცა, აიღო, მიაჩთვა.  
— گرفتن (გერეჭთან)

## 2. კალკები

### 1. აბღესის აღება

„აბღეს ეიღებს და ილოცავს“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 146).

„ამ ღრუზე მე ველევი აბღესი (თავპირის დაბანვა) და ღვეწყევი ლოცვა“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 36).

სპ.  $\text{آب-آغت}$  (აბ დასთ) ხელის წყალი.

სპ.  $\text{آب}$  (აბ) წყალი.

სპ.  $\text{آغت}$  (დასთ) ხელი.

სპ.  $\text{آب+თ}$ . almak = ხელის წყლის აღება.

თ. almak = აღება.

თ. aptes almak = ხელის წყლის აღება.

ლოცვის წინ რიტუალური განბანვა. ხელ-ფეხისა და შუბლის წყლით დასველება. სადაც წყალი არ არის მისი მაგიერობა შეიძლება ქეიშამაც გასწიოს. იხ.; (მუსლიმურ წესებში)!

### 2. აღდი უყო

„მუტანა მას ჭეიზი იმტენეთი, ხემწიფეს რომ ქონდა, იმაზე მეტი. მუტანა და მაგინს მემრე უყო აღდი და ჩააბარა ამ ბიქს“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 144).

„მოიყვანა შაკ-ზადემ ქალი შინ. ფადიშაჰმა შეიღს აღდი უყო. დააქორწილა და შეუღგენ ერთად ცხოვრებას“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 74).

„— ი ქალიც გულთმისანია და მეც, მარა იმას ისეთი თვისება აქ, რომ ვინც არ უნდა მივდეს მასთან. ყველას ეთანხმება ცოლად გაყოლაზე, თუ გინდა მათხუარი იყოს და როცა აღდის იზმენ, წაგიყიანს სახლში...“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 108).

აღდი უყო — პირობა მისცა. თურქულის კალკია — აღთქმის დაღება, პირობის მიცემა — ზმნიდან, რომლის პირველი კომპონენტი, ყველა სხვა შემთხვევების მსგავსად, არაბულია.

არ.  $\text{آهت}$  ('აჰდ) — აღთქმა, პირობა. ასევეა სპარსულშიც.

სპ.  $\text{آهت}$  ('აჰდ) — სიტყვასიტყვით: პირობის გაკეთება.

აღდი გაჰკრათ — აქაც გაჰქვს თურქული ahit kesmek-ის სიტყვასიტყვით აღქმის გადაჭრა. ahit ←  $\text{آهت}$  ('აჰდ).

აღთქმა + ზმნა თ. kesmek — გაჭრა. სალიტ. თურქულში: ahit kes-

<sup>1</sup> ნ. გურგენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.



mek = დათქმა, შეთანხმება, დაქორწინების შესახებ საქმის გადაწყვეტა. ასევე სპარსულშიც. იხ. (მუსლიმურ წესებში<sup>2</sup>).

3. ბელქი დასურ არის

1 „დასურ ისე ქნა. ის ორმოცი კაცი მოკვდენ და იმან კი ლამაზათ იმცხოვრა“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 91).

„ამა და ამ კაცის შვილი ვარო, მოლ ბელქი დასურ არის“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 77).

სპ. رستوران (ბელქე დასთურ ასთ),

كابل (ბალქე) შესაძლებელია, ალბათ,

داستور (დასთურ) თანხმობა, დასტური.

است (ასთ) არის.

4. ბითევი უარი უყეს —

„სხვებმა ბითევი უარი უყეს ლამის გათევაზე“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 51).

თ. bitevi ~ biteviye = განუწყვეტელი, შეუჩერებელი, მუდმივი.

5. გახტა გელჩე მუდერისი

„შუათანა ძმამ უთხრა წლის განმავლობაში გახტა გელჩე მუდერისი“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 166).

თ. gerçek (گرجک) = მართალი ნამდვილად, ქეშმარიტად, უტყუარი.

არ. مدرس (მოდარჩეს) მუსლიმური უმაღლესი სასულიერო პირი, სასულიერო განათლების მქონე. მაღალი თანამდებობის მოხელე. მასწავლებელი, ლექტორი, პროფესორი (იხ. აღმოსავლურ ტერმინზე).

6. დასტური აიღო

„დილა გათენდა, უფროსი შვილი მივიდა მამის სახლის კართან, დასტური აიღო ხემწიფესთან შესვლისა. შეაღო კარი, შევიდა, თავი დაუკრა, სალამი მისცა ხემწიფეს და სთქვა“ (ელ. ვირს. 1958. 204).

„მამამ დასტური დასცა ცხენისა და ფარხმალის მიღებისა და მასთან ერთად გზა დაულოცა მშვიდობით წასვლისა და დაბრუნებისა“ (ელ. ვირს. 1958. 208).

„მეო, — ბატონოვო, — უთხრა ყმაწვილმა — დასტური როგორ დაგცეო, — არც სახლი მაქვს, არც არაფერი საცხოვრებელი“ (პ. უ. III. 1964. 65).

„არა უთხრა ქალმა, ერთი ისეთი ვინმეა გადაკიდებული ჩემზედ,

<sup>2</sup> ნ. გურგენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

თუ ამ ორ დღეში დასტურ ი არ და ვ რ თ ე მერმე გვიანლა იქნებაო“ (თ. რაზ. 1909. 188)

სპ.  $\left. \begin{array}{l} \text{کردن} \\ \text{دادن} - \text{دادم دستور} \\ \text{گرفتن} \end{array} \right\} \begin{array}{l} \text{(ქარდან)} \\ \text{(დდან, ნე დდამ)} \\ \text{(გერეჭთან)} \end{array} \left. \vphantom{\begin{array}{l} \text{کردن} \\ \text{دادن} - \text{دادم دستور} \\ \text{گرفتن} \end{array}} \right\} \begin{array}{l} \text{სპ. دستور (დასთურ)-} \\ \text{დასთური = თანხმობა,} \end{array}$

თანამედროვე ენაში „ბრძანება მისცა“-ს ნიშნავს.

7. ლაღეს ერთად, ყავაზების ერთად.

„შიორე დღე დილას ხემწითე მიდის სანადიროს თ ა ვ ი ს ლ ა ლ ე ს ე რ თ ა დ, თ ა ვ ი ს ყ ა ვ ა ზ ე ბ ი ს ე რ თ ა თ“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 6).

სპ. برابر (ბერაბარ) ერთად, ერთნაირი, თანასწორი,

სპ. آلا (ლალა) აღმზრდელი. ნასწავლი,

სპ. قواس (ყავვას) მოხელე, კურიერი და მცველი თურქთა კონსულეების.

آلا برابر (ბერაბარ = ე ლალა).

برابر قواس (ბერაბარ = ე ყავვას<sup>3</sup>).

8. რაზ გახტა

„ბიჭმა რაზ გახტა. წაყვა ჰაჭი ახმედ აღას“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 77)

„ვეფხემა რაზი გახდა“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 30).

თ. razi oldu = თანახმა გახდა, კმაყოფილი გახდა. სადაც არ. اضى (რაზი) კმაყოფილი, თანახმა თ. oldu—olmak = გახდომა, დამზარე ზმნა.<sup>4</sup>

9. ყისმეთი გახტენ

„თანა იმფრათ შეიყვანა, რომ ვეზირები ყ ის მ ე თ ი გ ა ხ ტ ე ნ“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 68).

არ. قِسمت (ყესმათ) ბედი, ყისმათი.

თ. oldu—olmak = გახდომა, დამზარე ზმნა.

<sup>3</sup> „თურქულ ენაში თანარსებობა, თანამონაწილეობა, თანხლება, გაღმოიყვანა—ile, ან მისი შეკვეცილი და სიტყვასთან შერწყმული — lal-ile თანდებულთ, რომელსაც ემატება სპ. beraber, ან თურქული birlikte=(ერთად) სიტყვები. იხ. ნ. გურგენიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

<sup>4</sup> ნ. გურგენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

## 10. შელლული ქნა

„მეფემ სიხარულით შელლული ქნა და კორმოც დღე-ღამე იქეიფეს“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 56).

თ.  $\text{şenlik}$  = სიხარული; ←  $\text{şadlık}$  (شادلىق) = მხიარულება.

სპ.  $\text{şad}$  (შად) მხიარულება.

## 11. ხერამი იყოს

„შენ ოდაში თუ არ შემინახავ, მაშინ, რაც ძუძუ გაწუევი, ხერამს გიზამო“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 94).

„შვილებო ერთი რამ სათხრავარი მაქ თქვენზე და თუ გააკეთებთ იმ საქმეს, რაც თქვენზე მიზრუნავს, ხელალი იყოს სულ და თვერ გაგიკეთებთან ხერამი იყოსო“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 9).

არ.  $\text{حرام}$  (ჰარამ) აკრძალული, არამი. შდრ. ქართ. = არამი.

$\text{حرام بود}$  (ჰარამ ბუდან) კალკია სპარსული გამოთქმისა: არამი იყოს.

## 12. ჰელალი უქნა

„აი მე მიალ ახლა მამაჩემის ქვეყანაში და აფხანაკობა ხელალი მიქენი“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 34).

„მარა ბოლოს დიდი კმაყოფილი დარჩა იმ ქუთის მასწავლებლისათვის და სამი მანეთი ჰელალი უქნა“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 133).

არ.  $\text{حلال}$  (ჰალალ) ნებადართული, კანონიერა, ალალა, შდრ. ქართ. = ალალი;

$\text{حلال بود}$  = (ჰალალ, ბუდან, ბაშად) კალკია სპარსული გამოთქმისა, ალალი იყოს.

## 18. „გოგომ ფიქრში დეიკარგა“ (ქართ. ზღ. ავ. 1973. 20).

$\text{دختر در فکر فرو رفت}$  = (დოხთარ დარ ფეკრ ჰერე რავთ).

## 14. ზათი ბიჰი გახდა

„ახლა რალა ენადვლებოდა ზათი ბიჰი გახდა“ (ქართ. ზღ. ავ. 1973. 130).

არ.  $\text{ذات}$  (ზათ) 1. პიროვნება, ინდივიდუმი, ბუნებრივი. ხასიათი.

2. მაინც, ნამდვილად, საერთოდ, ისედაც, ისევ ისეთი.

თ.  $\text{zat}$  — პიროვნება, ბუნებრივი ხასიათი.

15. მურადზე შემდგარი

„მურადზე შემდგარი (საბედოდ გამზადებული) ორი ფეხ-  
ლამბარი შევიდა. ერთი ამბობდა: მურადზე შემდგარს გა-  
თხუება არ ასწრას ღმერთმაო. მეორე ამბობდა რომ მურადზე  
შემდგარი გათხოვდესო“ (ქართ. ზღ. აკ. 1973. 79).

თ. murat—საბედოდ გამზადებული, სურვილი, განზრახვა, მიზანი.

16. ფრაზები

„ამის შემდეგ ძალიან ფიქრში შევიდა“ (სახალხ. მთ. 1956. 173).

სპ. بعد از آن خیلی در فکر فرو رفت (ბ'ად აზ ონ ხეილ  
დარ ჭეჭრ ჭორჟ რავთ).

„ტირილი თვლებში უდგას“ (ჯ. ნოღ. I. 1936. 31).

სპ. چشمانش را گریه گرفت (ჩაშმანეშ რდ გარიე გერევეთ).

„ძალიან ჭავრი ჩამეჭრა გულში“ (პ. უ. III. 1964. 227).

სპ. غصه زیاد داخل قلب شد (ლო-სე-იე ზნად დნხელ-ე ყალბამ შოდ).

## V. სოციალური ურთიერთობანი

### 1. მრავალცოლიანობა

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქართული ყოფისათვის უცხო და აღმოსავლური ყოფისათვის ტიპური სოციალური ურთიერთობანი — მრავალცოლიანობა.

„...ყველა ამებების შემდეგ ამ ყმაწვილმა თავისი ორი ცოლით და შვილებით ბედნიერად იწყო ცხოვრება“ (ქს. სიხ. 1938, 195). „როცა სიზმარა თავის უწინდელ სიმამრთან მივიდა, ერთი ცოლი ერთ მხარეს მოისვა, მეორე — მეორე მხარეს“ (ელ. ვირს. 1949. 398).

„ერთ კაცსა ოზდაცხრამეტი დედაკაცი ჰყვანდა. სხვა კაცს კიდეც სხვა ქვეყანაში ერთი დედაკაცი ჰყვანდა კარგი. მიუტანეს ამბავი იმას, რომელსაც ოზდაცხრამეტი ჰყვანდა, რომ იმ ქვეყანაში იმ ბიჭ კარგი დედაკაცი ჰყავსო. უთხრა იმ კაცმა თავის მოსამსახურეებს: — წაართვით ეს დედაკაცი და მომიყვანეთო! წავიდნენ, წაართვეს ის დედაკაცი და მოუყვანეს იმას. გაუხდა ორმოცი დედაკაცი. ის დარჩა ეგრე უცოლოდ“ (მარტირ. 1956. 70).

„ — აი ჩემი აღთქმა ეგ იყო, რომ მოსპობილიყო ქვეყანაზე ჭუჭა. რაკი ეგ მოისპო, ესლა დამილოცია ეგ ქალიც და მეორეც შენთვინაო. ორი ცოლით მოვიდა სახლში“ (მ. ჩიქ. III. 1856. 88).

„იმ ქალმა კი არ მოგატყვილა, მიორე ცოლებმა მოგატყვილესო, მაქ ქალმა კი ნამდვილათ ოქროსთმინანი ქალ-ვაჟი იშუა და ორივე წარუდგინეს ხემწიფეს“ (ნ. ნოლ. 1959, 238).

„ხემწიფეს მოეწონება აი ქალები და სამივეს წეიყვანს ცოლათ“ (ნ. ნოლ. 1959, 235).

„წამოიყვანა ვაჟმა ეს ქალი. (დასავლეთის ხელმწიფის შვილი) მოვიდა აღმოსავლეთის ხელმწიფესთან და ყველაფერი უამბო. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა და უთხრა: ვაჟიც შენ ყოფილხარ და ხელმწიფობაც შენ გეკუთვნისო, შენთვის დამილოცნია და ჩემი ქალიც შენთვის მომიციაო. ვაჟმა ორივე ქალი შეირთო, დიდებული ქორწილი გადაიხადეს“ (გ. ნათ. 1950. 142).

„ამ დევების ხელმწიფე ვიყავ, რვა ცოლი მყავდა, მაგრამ რადგანაც ეგ ბატი ლამაზი ქალი იყო, მაგის მოტაცებაც მოვი-  
დომე“ (თ. რაზ. 1909. 11).

„შვიდმა ძმამ უთხრა შაისმეილს, რომ აი ჩვენი დაი უნდა შეირთო  
ცოლათო. დასთანხმდა შასმეილმა. შეირთო ცოლად და გამართეს  
ქორწილი. . . მამაჩემო, სამი ცოლები შევიერთე და  
კიდევ მოვიყვანე აქაო. იცხოვრეს ტკპილათ“ (ჯ. ნოლ. II. 1940.  
28, 29).

„გაუშვეს მართლა ჩიტი და დაედა ქურთის პირლანდელ ცოლს.  
პირლანდელი ცოლი აირჩიეს ფადიშაჰათ. მიორე ცოლი  
აირჩია იმ ფადიშაჰმა ვეზირათ (ჯ. ნოლ. II. 1940.  
115).

„მივდნენ და დეიწყეს ძებნა, მარა ფადიშაჰს ძაან გუუხარდა,  
რომ ახლა დაწული იქნება და ორივე მისი ცოლები დამ-  
ჩენო. ყველაი ეძებენ ქურთის ნამწვავებს (ჯ. ნოლ. II. 1940. 114).  
„იყო და არა იყო რა იყო ერთი დედაკაცი. ყვანდა სამი ვაჟი, ორსა  
შერთო ცოლები, მესამე კი სულ ნაცარში გდია და ბუხარში ქექამს  
ნაცარსა. უთხრა დედამა, მოდით ამასაც ცოლი შევერთოთ, ეგება  
ნაცრიდამ გამოვიდესო. დაუჭერეს შეილებმა და შეერთეს ცო-  
ლი, მაგრამ უფრო ჩაჯდა. კიდევ შევერთოთო მე-  
ორეო და შეერთეს. ნაცარქექიამ ერთი აქეთ მო-  
იწვინა, მეორე იქითა და უთხრა ცოლებსა: ღმერ-  
თმა თქვენ ნუ შეგინახოთო, თუ მე არ შამინახოთო. ეცათ ელდა  
ქალებს. ქმარი იმიტომ შევირთეთ, რომ შეგვინახოსო, ეს კი.  
ჩვენ გვეუბნევა შემინახეთო. უნდა მოვიგონოთ რამეო. ადგნენ და  
მრავალი ქადა-ნაზუქი გამოაცხვეს. ზოგი ბანიდამ. ზოგი კარიდამ  
ჩამოყარეს, უთხრეს: კაცო, გამოდი, შენც შეიტანეო. თუ ღმერთს  
უნდაო აქაც მომცემსო. კიდევ უფრო მეტი გამოაცხვეს და ჩა-  
მოყარეს. ადგა გავიდა კარებში. რომ იღებს ქადა-ნაზუქს, მიუყე-  
ტეს კარი ცოლებმა: წადი დაიკარგეო...

ნაცარქექიამ მოიყვანა აქლემები, აკიდა ოქრო-ვერცხლი, თვალ-  
მარგალიტი და რამდენი კიდევ სხვა რამე. წამოვიდა და მოად-  
გა ცოლებსა. ახლაც არ შემისვებთო? სიცოცხლე გაქვთ.  
ისინი გამხიარულდნენ, მოეგებნენ (პ. უ. III. 1964. 269, 271).

„მოვიდა სახლში და შეეკითხა ძველ ცოლს... ძველმა  
ცოლმა უთხრა, რომ მე ორხელ გადაგარჩინე, ახლა მოდი  
ახალმა ცოლმა გადაგარჩინოსო. ახალმა ცოლმა ეს  
რომ გაიგო, ნელ-ნელა გეიცინა“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 114).

„მეძრე მეფემ მეიწვინა ხალხი და დანაზღოოს გადასწყვიტეს, მიეცეს მეფის მზეუნახავი ქალი. ბიჭმა აი ქალი შეიყვანა მის სასიმავეროსთან და ვორვე შეერთო ცოლათ. და დიდი ქორწილი ქნა“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 122).

„ერთი ხემწიფე ყოფილა. ყოლია ხუთი ქალი. ხუთ ქალში ერთი უმფრო, ვოთხს გარეთე გულის საყვარელი იყო... ხემწიფეს ხკითხა, ცოლი რამეთი გყავსო. მყავს ხუთი და აი მეხუთე ყველაზე უმფრო საყვარლათ მყავსო“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 117).

„ამ ვაჟმა იყვანა ეს ქალიც და მიედა სახლში... გადაიხადა მისი უნცროსი ვაჟის ქორწილი. რომელმაც შეერთო ორა ქალი ცოლათ და მამამისმა მეფობაც ჩააბარა მას. შემდეგ ივინი ცხოვრობდნენ ტკბილათ“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 22).

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, რომელსაც ყავდა სამი ცოლი. თვითონ იყო უბედური თემბელი და მასთან მშიშარა... ამ კაცს უვლიდნენ მისი ცოლები... რომ მობრუნდა ოჯახში. დეიწყო მხიარული ცხოვრება თავის ცოლებთან მის ოჯახში. ცხოვრება ტკბილი და კარგი ქონდა. ცოლებსაც უყვარდა“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 30. 34).

„შევდნენ იმ ოქროს სარაიაში ვაჟმა და თავის ცოლებმა... ამ ვაჟმა თავის ცოლებთან ერთად დიღხანს იცხოვრა ტკბილათ (ჯ. ნოლ. II. 1940. 40, 41).

„მეორე დღეს გაგზავნა „ყავაზი“ — (მოხელე) მოაყვანია ი გოგეები მასთან სამთავე, უთხრა, რომე სამივენი გითხოვო უნდაო და სამივენი ითხუა“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 4).

„ფადიშაჰს ყოლია ორი ცოლი. ერთიდან შვილები არ ყოლია და მხიერე მდან ერთი ბიჭიშვილი ყოლია“ (ჯ. ნოლ. II, 1972, 116).

„ფადიშაჰი დაინტერესდა, მოეწონა მათი ნათქვამი, წავიდა იმ დებთან და სამივე ცოლად წამოიყვანა“ (ზ. თანდ. 1970. 114).

„შესხდნენ ცხენებზე და გაუდგნენ გზას. მივიდნენ არამზადას სახლში. წაიღეს ოქრო-ვერცხლი, მერე წავიდნენ პირველ ცოლთან, დევების დასთან“ (მ. ჩიქ. 1952, 71).

„ვაჟმა უთხრა ცოლქმრობა კი შემოგფიცე, მაგრამ მე ცოლი მყავსო. ქალმა უთხრა: სულ ერთია. გყავდეს ისიცაო და მეც ვიქნებო“ (მ. ჩიქ. 1952, 91).

„პირველ ცოლთან ოქროს ქოჩრიანი ვაჟი გასჩენოდა. მზე იქით მედგა, მთვარე აქეთა, შუქურვარსკვლავი ხელ-პირს მამბანინებდაო, — ასე აცხადდა. ორივე სახელმწიფო სიხმარას დარჩა. მზე და მთვარე იმისი ცოლები იყვნენ და შუ-

ქურვარსკლავი კიდევ, იმათი ოქროსქოჩრიანი შვილი (თ. რაზ. ფშ. I. 1951, 322).

„მემედი კითხავს ახლა მესამე ცოლს... ვეზირები ეტყვიან. უკვე სამი ქალი ყავს და სამივე ერთმანეთზე ლამაზებიან“ (ქართ. ზღ. აქ. 1973, 102).

„ერთხელ დაღონებული დადის ბიჭი და ფიქრობს, როგორ უნდა ავიღე ჩემ ცოლებთან... — მე მინდა ავიღე ამ ქვეყნიდან ზედა ქვეყანაში. სადაც მყავს ორი ცოლი და მელოდებიან ისინი...“

...თვითონ დარჩება სახში თავისი ორი ცოლის ერთად და ცხოვრობენ ტკბილათ“ (ქართ. ზღ. აქ. 1973, 123).

„ნახავენ ვეზირები, რომ ამას ყავს ორი ცოლი ორივენი ერთიმეორეზე უკეთესი“ (ქართ. ზღ. აქ. 1973, 100).

გვხვდება მრავალცოლიანობის საპირისპირო მაგალითი, სადაც ხაზგასმულია ფერეიდანში ქართველი ხალხის გაძევება და მიუხედავად იმისა, რომ მაჰმადიანობა აქვთ მიღებული, გვარებიც ქართული აქვთ და ცოლებიც ერთი ჰყავთო. მაგ.:

„ე ქართველი ხალხი ფერეიდანს, ირანს იქეთ გარეკა. იძულებული გახდნენ მიეღოთ მაჰმადიანობა. ხუციშვილები, ომანიშვილები, ონიკაშვილები არიან იქა. გვარებიც ქართული აქვთ და ცოლებიც ერთი ჰყავთ“ (მარტირ. 1956, 31, 33).

## 2. ბჰჰეთა ზიღვა-გაჰიღვა, მოტაცება

გარდა მრავალცოლიანობისა, ზღაპრებში გვხვდება (ყმაწვილების, ტყვეების) ყიდვა-გაყიდვა, მოტაცება, რაც ტიპურ მუსლიმურ, სოციალურ ურთიერთობად მიგვაჩნია და რაც აგრეთვე დამახასიათებელი იყო იმდროინდელი საქართველოსათვის. — „XVII საუკ. დახასიათებით ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი არეულობა სუფევლა საქართველოში, რომელიც „ოსმალებს და სპარსელებს“ შუაა. მომეტებული ნაწილი სპარსელებს უჭირავთ და უმცირესი ოსმალებს; ხოლო ბევრ ადგილას კი ქრისტიანი მთავრები განაგებდნენ დამოუკიდებლად. ამ პერიოდში „ქრისტიან ქვეშევრომებს თათრებზე ჰყიდიან“. „უმანკო ბავშვებს, თუ ვაჟებს და თუ ქალებს, სავაჭრო მეიდანზე ჰყიდიან ოხერ ფასად“ ხდებოდა პირუტყუ შემთხვევაც. მაგალითად, „ყოვლად



წმინდა ღვთის მშობლის ხარების დღეს ჩვენთან ერთად ერთმა არაბმა აღსარება სთქვა და ეზიარა...<sup>1</sup>

„ბატონი ყმასა ყიდიდა. ზოგ ბატონს სხვა ბატონის მწვეარი რო მოაწონებოდა, ყმას მიიღებდა და იმას გამაართმევდა მწვეარს; ის იმას ეყმობოდა და მწვეარს ბატონი წაიყვანდა“ (მარტ. 1956, 35).

„შენი სიზმარი მითხარი და ჩემს საცხოვრებელს ნახევარს შენ მოგცემო, მაგრამ ყმაწვილი მაინც არ დაჰყაბულდა და ვერ ათქმელინა სიზმარი. ადგა და გაჯავრებულმა ვაჭარმა სხვა კაცს მიჰყიდა ეს ყმაწვილი“ (ქს. სიხ. 1938. 190).

### 8. მოტაცება

„შვილო, ძველად ხდებოდა ცოცხალი ადამიანების მოტაცება: დიეცემოდნენ ქართველი მუსლიმანს. მოიტაცებდა: ცოლს, შვილს... იმ ტყვეებს გაყიდნენ: ზოგს ხუთას ყურუშათ... ამ ტყვეებს ყიღულობდნენ ბეგიები და ალიები“ (ჯ. ნოლ. I, 1936, 101).

„ასევე მოუტაცებია დედაჩემის ბაბუას სულეიმან ხაბაზს, რომელსაც ორას ოცი წელი უცოცხლია, ვინმე ბოლქვადის ქალი გურიიდან. სამუსლიმანოდანაც თურმე ასევე იტაცებდნენ ტყვეებს (ჯ. ნოლ. I. 1936, 101).

---

<sup>1</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილის საბუთების შემოღანითა და განმარტებით მე-13 საუკუნ-დან ვლრე მე-20 საუკუნემდე, 1902, გვ. გვ. 228, 230, 233, 238, 242—3, 249—50.

## VI. მუსლიმური აღათ-წესები

### ქორწინების წესი

„მუსლიმანების წესი ასტე იყო: უწინ ქალი ესტუმრებოდა და ორი კვირის შემდეგ ქმარი მივდოდა სტუმრებით. ქალის მშობლებიც დიდ ჭეიფს გადაიხტიდნენ და მეორე დღეს წამოიყვანდნენ ქალს სახლში და წამოვიდოდნენ. ზეჰიეს სიმამრმა და ქმარმაც ასტე ზოიქენენ“ (ჯ. ნოდ. II, 1940. 63).

### 1. აღდი

„მოიყვანა შაჰ-ზადემ ქალი შინ. ფადიშაჰმა თავის შვილს აღდი უყო, დაქორწილა და შეუდგნენ ერთად ცხოვრებას“ (ჯ. ნოდ. 1936. 74).

„მეტანა მას. ჭეიზი იმტენეთი, ხემწიფეს რომ ქონდა. იმაზე მეტი. მტანა და მაგინს მემრე უყო აღდი და ჩააბარა ამ ბიჰს“ (ჯ. ნოდ. II. 1972. 144).

— ი ქალიც გულთმისანია და მეც, მარა იმას ისეთი თვიცება აქ, რომ ვინც არ უნდა მივდეს მასთან, ყველას ეთანხმება ცოლათ გაყოლაზე, თუ გინდა მათხუარი იყოს და როცა აღდს იზმენ, წაგიყვანს სახში, გააკეთებს ფილავს, შეიტანს მის ოთახში და დუუძახებს მის ახალ საქმროს. როცა ერ ლუქმას ფილავს ჩეიდებს კაცი პირში, მაშინ მის კაშულით დაარყამს კაცს თავში“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 108).

აღდი უყო — „პირობა მისცა“. თურქულის კალკია — ahdetmek — „აღტქმის დადება“, „პირობის მიცემა“ — ზმნიდან, რომლის კომ-

პონენტი, ყველა სხვა შემთხვევების მსგავსად, არაბულია: არ. **أخذ** ('აჰდ) — აღტქმა, პირობა. ასევეა სპარსულშიც. სიტყვასიტყვით = პირობის გაკეთება.

---

1 ლ. კოტაშვილი, მუსლიმური აღათ-წესების კვალი ზოგიერთ ქართულ ხალხურ ზღაპარში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 99, 1980, № 2, გვ. 501—503.

აღდი გავჳრათ—აქაც გვაქვს თურქული *ahit kesmek*-ის სიტყვა-სიტყვით აღტმის გადაქრა. *ahit* ← *أحد* ('აღდი)—აღტმა + ზმნა *kesmek* თ. *kesmek*—გაქრა. სალიტერატურო თურქულში: *ahit kesmek* = დატმა, შეთანხმება, დაქორწინების შესახებ საქმის გადაწვეტა. ანევეა სპარსულშიც<sup>2</sup>.

## 2. ბორჯი

„მელიამ წამეყვანა სასიძო სახში, შეყყენა წიკვეილში, დატია, თვითონ წვედა ბორჯის ასაღებად, თუ როდის მოაწყონ ქორწილი“ (ქ. ნოლ. II, 1972. 136).

არ. *بورج* (ბორჯ)—ზოღიაქოს ნიშანი. შდრ. სპა: ბორჯალი-პავმნის უამი, პავმანი.

## 3. ნიქახი

„ჩვენი ნიქახი ცაზე გაკეთებულია და მე შენი ცოლი ვარ წამიყვანეო“ (ქ. ნოლ. II. 1940. 103).

არ. *نیک*; (ნიქაჰ)—ქორწინება.

## 4. შარიეთი

„ჩვენ, ძიავე, შერიეთი ნებას არ გვატლევს, რომ გუუთხოვარი გომბიო პაჯს წეიყვანო“ (ქ. ნოლ. I. 1936. 72).

არ. *شریعت* (შარი'ათ) — მუსლიმთა სასულიერო-საყოფაცხოვრებო კანონთა კრებული.

## 5. პაჯს წასვლა

„წელიწადში ერთხელ ახმედ-ალა პაჯს მიდიოდა... პაჯი ახმედ-ალა შენ მადლიანი კაცი ხარ. წმინდა მუსლიმანი, ხაჯს დადიხარ“ (ქ. ნოლ. I. 1936. 72).

„მამამ შეილი ჩააბარა მისი სოფლის ჯამის ხოჯას, დიდი იმედით, რომ ხოჯა ნამდვილი მუსლიმანი არისო“ (ქ. ნოლ. I. 1936. 72).

„პაჯი ახმედ-ალას ეს წერილი გზაში შიახვედრეს სახაჯი-ოდა მონავალს“ (ქ. ნოლ. I. 1936. 73).

არ. *حاجی* (ჰაჯი)—მოგზაურობა, მუსლიმთა წმინდა ადგილების მექის და მადინას მოსანახულებლად.

<sup>2</sup> ნ. გურგენიძე. თურქული კალკები აქარულში, თსუ შრომები, ტ. 118. თბ., 1967, გვ. 131, 137.

## 6. ქაბის მოლოცვა

„მამალს გაუკვირდა, — მელიაც განოჯავებულაო და შეეკოთხა მას: — სად მიბრძანდები ხოჯა ეფენდიო? — მელიამ უპასუხა:

— ქაბეში მივიდივარ სალოცავად და ჩემი ცოდვეების მოსახდელათო...“ (მ. ჩიქ. I. 1938. 23. 25).

„შენ თუ ჩემი ძმა ხარ, აბა მითხარი, როცა ქაბეში მიხვიდოდი, რა ვაჩუქეთ სამახსოვროთ ერთქვანებსო“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 60).

„ოსმან-ალა რომ ქაბეში მივლოდა, ჩემსას გამოიარა და ძალიან მთხუა: ჩემი გოგო შენ იცი, შვილივით მოუარე, არაფერი მუაქლო და მე რომ ჩამოვალ, მე ვიცი შენი პატივისცემაო“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 58).

„ოსმან-ალა ძალიან სარწმუნოების მოყვარული იყო. რადგან იგი უზომოდ მდიდარი იყო, მისთვის სავსლდებულო იყო ქაბეში წასვლა სალოცავად, თუ ამას არ შეასრულებდა, მისი ქონება ხერამი იყო და დიდი ცოდვაც ედებოდა. ოსმან-ალამაც გადასწყვიტა წასულიყო ზემოხსენებულ სალოცავში“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 57).

არ. كَابَ — (ქა'ბა) — ქაბა — ტაძარი მექაში. სადაც ინახება მეტეორული წარმოშობის შავი ქვა. იგი ჯერ კიდევ წარმართობის დროიდან წმიდა ადგილად იქნა ჩარაცხული არაბთა მიერ. მუსლიმანებს ქაბას მონახულება ჰაჯის ერთ-ერთ მთავარ მიზნად მიაჩნდათ.

## 7. აზანი

„ძალიან თუ გეინტერესება გაგება, მაშინ წადი, ერ ადგილზე არის ერთი ხოჯა, რომელიც ადის მინარეზე, ეზანს დეიძახებს და ბოლოს მინარეიდან გადმოხტება და ქვეშ ხალხი გროვდება და იკერენ, რომ არ დეიმტვრას... ახლა როცა ავდივარ მინარეზე და ეზანის კითხვას დევწყევვ, გამახსენდება იქალი. ეზანს, რომ გავათავებ, იმის ჯავრისაგან ვამბობ“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 100—106).

არ. اذان (აზან) — მინარეთზე გადმომდგარი მუეძინის მიერ მუსლიმთა მოხმობა სალოცავად.

არ. اذان گوی (აზან გუ) مؤذن (მ'ოაზუნენ) — მუეძინი, მეჩეთის მახურო, რომელიც ლოცვად უხმობს მუსლიმებს.

არ. منارة (მანარე) — მინარეთი, მეჩეთის კოშკი, საიდანაც მუეძინი მლოცველებს ლოცვად მოუხმობს.

## 8. ჯამეში ლოცვა

„სალამო ხანს ჯამესთან მოვიდა ფადიშაჰი და ჩუმათ უთვალთვალედა ჯამეში რამდენიმე ხოჯა იყო. შუალამემდე

ილოცეს, მერე შემოიხსნეს სარულები, გაიხადეს ხოჯას სამოსი. ყაჩაღის ტანსაცმელი ჩაიცივეს და ჯამედან გავიდნენ. (ზ. თანდ. 1976. 176).

არ. **مَسْجِدِ جَامِعٍ** (მასჯედე ჯამ'-ე) — საკრებულო? მეჩეთი.

„მივდენ სარაფში და განაგრძნეს ცხოვრება. მე მე დ მა მ უ-ა წ ყ ო ე ზ ო შ ი ს ა ლ ო ც ა ვ ი... წავა მემედრი ტყეში მოიტანს ნანადირევს და ყოველ დილა-საღამოს ლოცვილობს. მის ქვაზე“<sup>3</sup> (ჯ. ნოლ. II. 1972. 196).

„შილო მაგ ვერცხლის წყაროზე მე შუადღემდის ჩავდიოდი, შუადღის ლოცვას იქ ვლოცულობდი და ვისადილებდი: ხოლმე ყოველ დღე“ (ელ. ვირს. 1958. 205).

შუადღის ლოცვაში — შუადღის ნამაზია ნაგულისხმევი.

სპ. **نماز** (ნამაზ) — ნამაზი ლოცვაა. მუსლიმანები 'დღეში ხუთჯერ ასრულებენ: დილით მზის ამოსვლამდე, შუადღისას, ნაშუადღევს, მზის ჩასვლით შემდეგ და ძილის წინ.

### 9. ჭუმა დღე

„ერ დღეს დედაბერი ეუბნება ზეჩიეს, რომ ამალამ აბანოში წევდეთო. ხვალ ჭუმა დღეა და ტანდაუბანელი ყოფნა ცოდვიაო“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 58).

„აი დღე პარასკევი იყო და ერთი ხოჯა ხურჯინიანი ჯოროთ სალოცავად მივდოდა ჯამეში“ (ნ. ნოლ. 1959. 262).

„ამა და ამ ადგილას, ერთ ქალაქში, ყოველ პარასკეობით მოდის ერთი კაცი, ძროხაზე ზის ხელში უსტარი (წერილო, სურათი) უქირავს... შევიდა ქალაქში, პარასკევი იყო. მოედანზე მთელი მიღეთის ხალხი შეკრებილიყო“ (გ. ნათ. 1950. 123. 125).

არ. **جُمُعَة** (იომ'ე) — პარასკევი. ამ დღეს ჩვეულებრივ პარასკეობით მუსლიმანები უქმობენ.

### 10. აბდესის აღება

„აბდეს ეიღებს არ ილოცავს“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 149).

„ამ დუნიაზე ევღევი აბდესი“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 48).

„ამ დრუზე მე ევღევი აბდესი (თავპირის დაბანა) და დევიწყე ლოცვა“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 36).

აფთესის აღება — მუსლიმური რიტუალური განბანვა ლოცვის წინ.

<sup>3</sup> იველისხმება არ. **مَسْجِدٍ** (მოსარ) — მუსლიმთა სალოცავი ქვა.

ტელ-ფეხისა და შუბლის წყლით დასველება. სადაც წყალი არ არის მისი მაგივრობა შეიძლება ქვიშამაც გასწიოს.

აბდგის აღება — ლოცვის წინ განბანვა. მოცემულ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს თურქულ aptes almak-ის კალკთან (aptes სპ. استابست — „ხელის წყალი“, almak = „აღება“ სიტყვასიტყვით: ხელის წყლის აღება, ლოცვის წინ რიტუალური განბანვა<sup>4</sup>.

#### 11. მუსაფის კითხვა —

„ — ენახოთ მუ ს ა ფ შ ი თუ სწერიაო! — თქვა ხოჯამ, გადმოიღო მუ ს ა ფ შ ი და დაიწყო კითხვა“ (ზ. თანდ. 1970. 180).

არ. مِسْفٌ (მოსაფ) რელიგიურ წესთა კრებული. მუსაფი — ყურანი. შდრ. „გეფხისტყაოსანი“ სტრ. 530<sub>1</sub>; 551<sub>2</sub>; 1166<sub>3</sub>.

არ. قُرْآن (ყურან) მუსლიმთა საღვთო წიგნი, რომელიც მათი რწმენით ალაჰმა შთააგონა მოკუქულა. იგი შედგება 114 თავისა, ე. წ. სურისაგან. სურეები შეიცავენ სხვადასხვა რაოდენობის აიებს, ანუ მუხლებს. დაწერილია გარითმული პროზით.

#### 12. წვერის ინით შეღებვა

„ — ამისთანა სახედარი სწორედ ჩემი საკადრისია! — ჩაილაპარაკებდა ხოლმე მოლა და ნასიამოვნები ჩამოისვამდა ხელს ი ნ ი თ შე ღ ე ბ ი ლ წ ვ ე რ ზ ე“ (ხალხ. სიბრძ. II. 1964. 90) (შ. ძიძ. 1959. 210).

არ. حنا (ჰნა) — ინა. ირანში ქორწინების წინ ფეხისა და ხელის გულებს, აგრეთვე წვერ-ულვაშს ინითა და ბასმით იღებავდნენ ხოლმე.

#### 13. ყურბან-ბაირამი

„მივედით იქ და რასა ვხედავ, ხალხია შეყრილი, თურმე ბ ა ი რ ა მ ო ბ ა ქონიათ დღეობა (სახალხო მთქ. 1956. 128. 129).

„მე ჩიტების ფადიშაჰი ვარ. წელიწადში ერთხელ მოვლიან აქანაი ფრინველები და ი ბ ა ი რ ა მ ე ბ ე ნ“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 44).

„მარა ღმერთმა ხეირი მისცა იმ ხოჯას, რომ ამ ხიფათისაგან ერთი ყ უ რ ბ ა ნ ი თ გ ვ ი ხ ს ნ ა და ჩვენს ხარს რაღა მაჩივლებსო“ (ნ. ნოლ. 1959. 262).

არ. قربان (ყორბან) — მუსლიმური მსხვერპლი, შესაწირავი ცხოველი. მუსლიმურ დღესასწაულზე მსხვერპლის შეწირვა.

არ. بایرام (ბაჲრამ) — მუსლიმური რელიგიური დღესასწაული. მორწმუნ-

<sup>4</sup> ნ. გერგენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

ნენი წელიწადში ორჯერ დღესასწაულობენ ბაძრაშა. ერთს რამა-  
ზანის ბოლოს—ხსნილზე—მეორეს რამაზანის ბაძრაშიდან 70 დღის  
გასვლის შემდეგ (მთვარის კალენდარის მიხედვით), რომელსაც  
ყურბან-ბაძრაში (მსხვერპლის შეწირვის დღესასწაული) ჰქვია.

#### 14. ღვინის არ სმა

„თუ ებრაული ხარ, შე ოხერო, ღორის ხორცს რაღათ  
სჭამ? თუ მაჰმადიანი ხარ, ღვინოს რაღათა  
სვამ?“ (ჯ. ნოღ. 1957. 156).

ღორის ხორცის ჭამა.

„ვისკუპე და ჩავარდი უშველებელ ფლავის ქვაბში.

— აი, ბიჭი, აი ბიჭი! — დაიძახა თათარმა. დამავლო ხელი და  
ამომიყვანა. დამხედეს ფეხებზე, ღორის ქალმები მეცვა.

— უხ, შენი სული, ღორის ქალმების ცმია — მცეს მაგ-  
რა... იმ ქვაბისთვის თავი გაენებებიათ. რადგან ღორის ქალ-  
მები ჩავეყავი. აბა პური მშოიოდა. მივადექი ამ ფლავს და  
ორი მუქით დაუწყე თლაფვა...“ (სახალხო მოქ. 1956. 128. 129).

## VII. ღანარჩენი ლექსიკა

### აღალი

„სწორედ ეგ არის შენი ბედი, შვილო, შენისთანა ა ლ ა ლ კაც-ვეძებდი, რომ მიმეთხოვებინაო, უთხრა მებაღემ ახალგაზრდას... ა ლ ა ლ მ ა კაცმა შეირთო...“ (ზ. თანდ. 1970. 192).

„არაფერში შეგეზიარები, ყველაფერი შენი იყოს და ა ლ ა ლ ა დ მოიხმარე“ (ზ. თანდ. 1970. 143).

„ახლა წადი და ის თასიც შენზე ა ლ ა ლ ი იყოსო“ (ზ. თანდ. 1970. 87).

არ.  $\text{آغل}$  (პალალ) მართალი, გულმართალი, უცოდველი, კანონიერი, დაშვებული სამართლიანი, შარიათით მიღებულ  $\epsilon$

### ამა

„უნდა გიმახარობლო, ა მ ა (მაგრამ) პირშავათ ვარო“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 4).

არ.  $\text{آما}$  (ამმა) }  
თ. amma = } მაგრამ, მაინც რომ

### ანა

„უთხრა იმ ქალის ა ნ ა ს“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 55).

თ. ana (آنا) = დედა.

### არხადაში

„მე ერთი არხადაში მყავს და იმან ზოველი ზღაპარი იცისო, -- აბა მოიყვანე შენი ა რ ხ ა დ ა შ ი — უთხრა შაპ-ზადემ“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 77).

თ. arkadaş = მეგობარი, ამხანაგი, ტოლი, სწორი.

### აჯაბ

„მე უყურეფ გოგუებს და ვამბობ გულში ა ჯ ა ბ, რომელი გა-მეგრჩიო“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 112).



„აჭაბ, (ნეტავი) ეს წისქვილი რატომ დადგა?“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 5).

„თან უჩუმრათ მიყვა უკან-უკან, აჭაბა ცოლს რა უთხრას, — ქათამი ვიყიდე თუ ბატიო“ (ჭ. ნოლ. II. 1940. 141).

„აჭაფ, ჩემი ძმები არ იცი, ვისთან დადგნენ მოჭამაგირეთო“ (ჭ. ნოლ. II. 1972. 139).

არ. عَجَب (აჭაბ) ნეტავ, ნეტავი (გაკვირვების გამოსახატავად)  
მართლა; საკვირველია, საოცარია.

#### აჭან

„აჭან შეილო, თუ დედა არ გეთქვა, ერთ ლუქმად მეყოფოდი და რადგან დედა მითხარ, ვაჟი არ მყავს, შენ ჩემი შეილა და მე შენი დედაო“ (ე. თაყ. II. 1918. 159).

სპ. اچان ~ چان (ჭან, აჭან)--სული, ცხოვრება.

#### ბადალი

„მამაო, კარგიო დასვენე, აღარა გაქვ სამსახურის თავი და ჩვენ წავალთ შენ ბადალიშო, შენ ტანასამოსს ჩავიცვამთ. შენს ცხენს წავიყვანთ“ (ქართ. მთ. ზეპ. 1958. 359).

არ. بَدَل (ბადალ) მაგიერა, ექვივალენტი, შემცვლელი.

#### ბარაქა

„აღარ ამუშავებს მოხუცებული მამა და მეემატება მათ შრომას ბარაქა“ (ე. თაყ. II. 1918. 6).

არ. بَرَكَة (ბარაქათ) ბარაქა, დოვლათი, სიუხვე.

#### ბარაქალა

„ბარაქალა, ვეზირო. კარგი მოსწრებული შეილი გყოლია“ (პ. უ. III. 1964. 93).

„ბარაქალა, ჩემო ძველო მოყვარეო! შესძახა გაკავებულმა და გამაწრულმა ვეზირმა“ (ე. თაყ. II. 1918. 14).

ბარაქალა ვეზირო, მიიღე შენი წონა ოქროო!“ (მ. ჩიქ. 1952. 85), (ხალხ. სიბრ. I. 1963. 230).

„ბარაქალა ქალოვო! ჩემი ხელობა რომ არა, ჩემი ხსენებაც აღარ იქნებოდა ახლაო“ (ელ. ვირს. 1958. 296).

არ. بارکاللا (ბარაქალლაჰ) ბარაქალა, სიტყვისიტყვით: ალა-  
ჰი იყოს შენი მფარველი.

## ბახალუმ

„ეს რაფერ იქნება ბ ა ხ ა ლ უ მ, — ვნახოთო“ (ჯ. ნოდ. I. 1936. 54).

თ. bakalım = ვნახოთ, მოდი ვნახოთ.

## ბაჯი

„ხო შენც გეწყინება, ჩემო ბაჯო?“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 86).

თ. باجی (ბაჯი) მიმართვა უფროსი დისადმი, ქალისადმი ან ხანშიშესული უცნობი ქალისადმი.

თ. bacı = უფროსი და.

## ბედასლი

„შე წუწყო. ამისთანა მთებარესავით კაცს უღალატე, მე ამ ბედასლს, როგორ შემიყვარებო?“ (ელ. ვირს. 1958. 266), (ხალხ. სიბრძ. II. 1964. 390).

სპ. بَدَاسَلْ (ბედასლ) მდაბიო წარმოშობის.

სპ. بَدْ (ბად) ცუდი, მდაბიო.

სპ. اصل (მსლ) ძირი, შთამომავლობა, წარმოშობა.

## ბედოვლათი

„იყო ერთი ბე დ ო ვ ლ ა თ ი, მეტად ზარმაცი კაცი“ (ელ. ვირს. 1958. 87).

„ქმარმა უთხრა ცოლს აკი გითხარი ბე დ ო ვ ლ ა თ ი ა ო“ (პ. უ. III. 1964. 230).

სპ. بَدْ (ბად) ცუდი,

არ. بَدَوَاتْ (ბადოათ) სიმდიდრე, ქონება, დოვლათი.

## ბეთი

„— ოჲ, რა ბე თ ი თავი გაქ, დიდნენავ“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 75).

„დადევს ამ ბექედს გზაზე და გაჩთება ბე თ ი ძალიან გლახაკი კაცი“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 99).

სპ. ბ. (ბად) ცუდი, მახინჯი, უშნო, უგვანო.

## ბელქი

„ჯერ ჩვენ რომ ეგდეთ, შენმა ძმებმა ბე ლ ქ ი გიღალატონო“ (ჯ. ნოდ. II. 1940. 48).

„მთელი ქვეყანა შემოვიარე და ვერ ვნახე და ბ ე ლ ქ ი (შეიძლება) აქ იმყოფებაო“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 96).

„ბ ე ლ გ ი ნ სხვა ქვეყანაში ჩემი ჰკუა უმფრო გამოსაყენებელი დარჩეს და გონებაც შევიძინო“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 49).

სპ. **بلكي** (ბალქე) იქნებ, ეგების, ვინ იცის, შესაძლებელია, შეიძლება.

თ. belki = გადმოგვეცემა ვარაუდს, შესაძლებელია, ალბათ.

### ბითევი

„ეს ბ ი თ ე ვ ი, ყათირები, გზითევი, რაც გამოტანებულია შენი იყნენ და ეს ქალი დამითმე შევო“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 120).

„მუაყევანია ხემწიფემ ის ბიჭი, ის გოგო და ბ ი თ ე ვ მ ა (სუყველამ) შეიყარნენ ერთად“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 12).

თ. biteviye = მთლიანად. სულ, ყველანი ერთნაირად.

### ბულიყი

„წავიდნენ ჭარები, ბევრი ეძებეს და ბოლოს ბ უ ლ ი ყ შ ი იპოვეს. ამოიღეს და წამოიღეს შინ მკედარი“ (მ. ჩიქ. I. 1938. 155).

(?)

### გაზარხოშდა

„დეგებმა მივდენ, ზოვლი დალიეს, გაზარხოშდენ და მოკვდენ“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 69).

„ისიც რომ შესვა, გაზარხოშდა და დეგბნიდა“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 108).

სპ. **سرخوش** (სარ ხოშ) შექეფიანებული, დაზარხოშებული. მხიარული, აგზნებული, შემთვრალი.

### გამერაყდა

„ამაზე გაამერაყდენ და მოკვდნენ“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 68).

სპ. **مراق** (მარაყ) მელანქოლია, გადარდიანება, დანალვლიანება, მერაყით შეპყრობა = დარდით შეპყრობა.

### გამიჰაზირე||გუუჰაზირებია

„ვეუმა სასტიკად უარი უთხრა. ჩქარა გამიჰაზირე და წევდიო მამასთან, მაგას რას ამბოფო“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 79).

„სალამოს მოვდა, რომ ბაყაყს საჰმელეები გუუჰაზირებია“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 88).

არ. **حاضر** (ჰაზერ) გამზადებული, გათვალისწინებული, მზადყოფნა, მომზადება, წინასწარმომზადება.

## გერჩეკ

„ამ ვაჟმა გერჩეკ მეიცადა ათი დღე და მეთუ დღეს ადგა წასავლელად“ (ქ. ნოლ. II. 1940. 13).

„ქალმა დარწმუნდა, რომ გერჩეკ ის არის, რომელმაც ჩიტი წამოიყვანაო... ქალს მაშინ გერჩეკ შეეშინდა და ვაჟს უთხრა“: (ქ. ნოლ. II. 1940. 19).

„გერჩეკ ასტე მოიქცა“ (ქ. ნოლ. II. 1972. 126).

თ. gerçek = კეშმარტიად. ნამდვილად, უტყუარი, მართალი.

## გილინი

„თუ იმ ქალ მუუყევან მეფეს გილინათ, მაშინ იი გოგო შენი იქნებაო“ (ქ. ნოლ. 1936. 44).

თ. gelin = რძალი, მოსულა, მოყვანილი.

ძვ. თ. kalin = საცოლე რძალი.

## გოია

„გოია არ უნდა გამუამჟღავნოს, რომ ჭრილობა აქვს ბაყუზე“ (ქ. ნოლ. II. 1940. 49).

სპ. گویا (გუიია) თითქოს, ვითომ, ვითომც.

თ. gūya = ვითომც, თითქოს, მგონი.

## დასტური

„არა უთხრა ქალმა, ერთი ისეთი ვინმეა გადაკიდებული ჩემზედ. თუ ამ ორ დღეში დასტური არ დავრთე, მერმე გვიანლა იქნება“ (თ. რაზ. 1909. 188).

„მეო, — ბატონოვო, — უთხრა ყმაწვილმა — დასტური როგორ დაგეო, — არც სახლი მაქვს, არც არაფერი საცხოვრებელი“ (პ. უ. III. 1964. 65).

სპ. دَاسْتُور (დასტურ) აქ თანხმობა, მითითება, პირობა.

## დაფიშმანდა

„ახმედა დაფიშმანდა და უთხრა“: (ქ. ნოლ. I. 1963. 64).

„მაშვილ დაფიშმანდა, გახსენდა. ბაბუასი და მისი შეფიცულობა“ (ქ. ნოლ. II. 1972. 97). (ქ. ნოლ. 1959. 225).

სპ. دَافِشْمَان (დაფიშმან) დაფიქრება, მოფიქრება, ზრუნვა, დარდი, სინანული, დარცხვენა.

## დოვლათი

„შენ წადი და შენი დოვლათი წინ დაგხვდებაო — უთხრა მკობხავმა“ (ელ. ვირს. 1949. 295).

„ძალიან კარგო, — უთხრა დოვლათის მძებნელმა და გაუღ-  
და გზას“ (ქს. სიხ. 1938. 197).

„უთხარი შეილებს, ნუ ამუშავებენ მამას და მეტი დოვლათი  
ექნება მათ შრომასო“ (ე. თაყ. II. 1918. 5).

არ. دَوْلَتْ (დავლათ) 1. სახელმწიფო. 2. სიმდიდრე ქონება, ბედ-  
ნიერება, აქ ქონებაა (იხ. ბედოვლათი).

### დოლუმი

„შვიდი დოლუმი გავაქორწილევით ჩვენი გოგო და ერთიც არ  
დარჩა ცოცხალი ჩვენი სასიძოვო“ (ჭ. ნოლ. II. 1972. 98).

(?)

### დედე

„ალბათ ეს დედე (ბაბუა) ჩემის გაკეთებულია“ (ჭ. ნოლ. I. 1936.  
15).

თ. dede = ბაბუა. თ. ابا (დედე) სალაპ. მიმართვაში ბაბუა.  
2. ძიძა.

### დელიყანდო

„ისე კარგი, ნიჭიერი დელიყანდი ყოფილა და შეხედულეზა  
კაი ჰქონია... დარჩა ეს დელიყანდი მარტვაი“ (ჭ. ნოლ. I. 1936.  
15).

თ. delikanlı = ახალგაზრდა, მოწიფული, ასაკში შესული, და-  
ვაჟაკებული.

### დეყყყე

„გვედა ცხრა თვე. ცხრა დღე, ცხრა საათი, ცხრა დეყყყე და  
ეყოლა ერთი ბიჭი — შვილი (ქართ. ზღ. აქ.) 1973. 58).

არ. ده‌چ‌چ‌چ (დეყყყე) წუთი.

### დუნია

„მას დუნიაზე (ქვეყანაზე) არაფერი გოდურჩებაო“ (ჭ. ნოლ. I.  
1936. 11).

არ. دُنْيَا (დონნა) სამყარო, ქვეყანა, სამეფო.

### დურ

„შაპ-ზადეს გული მოუვიდა და ხოჯას დუუყვირა დურს...

„დურ! — ხოჯა — უყვირა შაპ-ზადემ.

დურ! ვეზირ! — იყვირა შაპ-ზადემ“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 78).

არ. دُور (დურ) შორს, განცალკევებული.

## დუშმანი

„მორჩა და გათავდა თქვენი მტერი და დუშმანი“ (ქს. სიხ. 1838. 161).

სპ. شَمَانٌ (დაშმან) მტერი.

## ელიფი

„აბა, ერთი ელიფი მაინც დიმიწერე და მომეციო.  
ხოჯამ ელიფი დუწერა და მიცა. ამ კაცმა რომ ეს ელიფი წე-  
ილო, იმ მულერისის ხოჯას რამდენიმე წელიწადში რაც ისწავლა  
და რაც იცოდა, სულ დავიწყდა, როგორც პირველად იყო, ისე  
გახტა“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 166. 167).

اَلْفَا (ალეფ) ანბანის პირველი ასო—ბგერა; არაბულის, სპარსუ-  
ლის და თურქულის ალფაბეტის.

## ენჯამ

„თვითონ აგი, სანგი გოგოა, დაედა დედოფალი სკამზე, ენჯამი  
დალონდა“ (ჯ. ნოლ. II. 1940. 142).

სპ. اَنْجَام (ენჯამ) ბოლოს, დაბოლოს, დამთავრება.  
თ. encam = დაბოლოს.

## ესკერი

„მეგემ ამ შაჰ-ზადესთან მისი დიდი ვეზირი იახლა და მისი ეს-  
კერი... შაჰ-ზადეს ენიშნა ხაჯი ახმა-ალა. იქ მისას მეც გამივლია  
ჩემი ესკერი და დამე გამითევიათ.  
შეორე დღეს მოყარა ესკერი“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 74. 75).

არ. اَسْكِر (ასქარ) ჯარი.

## ეფეიჯა

„ეფეიჯა (საკმაო) მანძილი წევდა...“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 16).  
თ. epeyce = საკმაო, ბლომად, რიგიანად, გვარიანად.

## ექიმბაში

„იყო ერთი უშვილო ცოლ-ქმარი, მთელი სიცოცხლე ექიმბა-  
შებთან და მკითხავებთან დადიოდნენ“ (ზ. თანდ. 1970. 105).

არ. اَسْمِي (ასქიმბაში) ნასწავლი, ექიმი, განათლებული  
ბრძენი.

არ. اَسْمِي (ასქიმბ) ბრძენი, ნასწავლი, განათლებული.

## ზათი

„ახლა რაღა ენაღვლებოდა ზათი ბიჭი გახდა“ (ქართ. ზღ. აკ. 1973. 130).

არ. زَانَتْ (ზათ) | პიროვნება, ინდივიდუმი, ბუნებრივი 1. უწინ, წარსულში. 2. ისედაც, ნამდვილად, მაინც, საერთოდ.

## ზანაეთი

„— რა ზანაეთი გაქვანო, უთხრა ხემწიფემ“ (ქ. ნოლ. I. 1936. 13).

თ. zanaat = ხელობა, ხელსაქმე.

## ზარმელი

„მეო ამა და ამ ადგილზე ლელესთან მივედი, იქ ზარმელი ვქამე... იქ ხემსი ქამა და ზარმელზე მივდა იმ ლელეზე“ (ქართ. ზღ. (აკ.) 1973. 108).

ზარმელი = შუადღის უკან ქამადი (ს.-ს. ორბ.).

ზარმელი = ჯერი სადილსა და ვახშამს შორის (ნიე.).

შესაძლებელია: არ. زَهْرٌ (ზოჰრ) შუა დღე. სადილის დრო (ლოცვა-ზედ და ქამაზეც იხსენიება).

## ზემზემი

„— ათი დღის სავალ გზაზე, ერთ სოფელში ზემზემის წყალი“ (ზ. თანდ. 1970. 145).

„ზემზემის ყურძენი უნდა აქამოთ, სხვა ვერაფერი უშველის“ (ზ. თანდ. 1970. 110).

არ. زَمْزَمٌ (ზამზამ) წყალი, მექის ქააბის ტაძარში. ზემზემი...

## ზენგინი

„მე ვიყავ დიდი ზენგინი, ალა კაცი“ (ქ. ნოლ. II. 1972. 114).

„ჩემი ბაბაი იყო ძაღვან დიდი ზენგინი კაცი და დიდი ჰკვიანი“ (ქ. ნოლ. II. 1972. 111).

თ. zengin = მდიდარი, შეძლებული.

## ზიბილი

ნუსხაფმა უთხრა: რამდენი ხანია ზიბილებში ვგდივარ, ამ კაცმა თაროზე ამიყვანა და ზიბილებს მომაშორა“ (ქართ. ზღ. (აკ.). 1973. 111).

არ. زَيْل (ზებილ) სიბინძურე, ჰუჭყი, ნაგავი.

## ზინათი

„ქალებმა გაუღეს ოთახები და აჩვენეს იმისი ზინათი ოქრო-ვერცხლი და სხვადასხვა სახლის ავეჯეულობა“ (მ. ჩიქ. II. 1952. 291).

„ფარდაგი იქ შეიტანეს, სადაც უსუბი და ბაღრი იყვნენ ჩაკეტილი იმათ ჰგონიათ ზინათი ამოიტანეს“ (ქართ. ხალხ. ეპოსი კ. კვიწ. 1952. 20).

არ. زينة (ზინათ) მორთულობა, მოკაზმულობა, სიმდიდრე, ქონება.

## ზოვლი

„ელბეთ მესამე ზოვლი კარგი ჰკუა იქნებაო“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 50).

„მემრე უთხრეს დევებმა, რომ 'შენ რომ ზოვლი ხარ, ერთი კაკლი ძირში მარება ღორი, ეგებ იგი დიგვიაჭიროვო“ (ჭ. ნოლ. II. 1972. 150).

(?)

## ზორი

„ამანაც რომ გეიგო ლების ზორი, დაჯდა და მანაც მორთო ტირილი“ (ნ. ნოლ. 1959. 261).

სპ. زار (ზარ) ზარი, ტირილი მოთქმა.

## თაზი

„წკნელი ერთი დაარტყა ფადიშახს, რომ თაზი მწვევარი ძალდი გახტეს“ (ნ. ნოლ. 1959. 263).

სპ. தா (თაზ) ჰენება, სირბილი.

## თარიხი

„ძველი თარიხები მქონდა და იმით ვიცოდი, რომ 'შენ აქ უნდა გამოგველო“ (ქართ. ზღ. აჭ. 1973. 136).

არ. تاريخ (თარიხ) ისტორია.

## თემბელი

„ერთ კაც ერთი შვილი ჰყავდა, ისეთი თემბელი, ისე რომ ზეზე ვერ აყენებდა“ (ჭ. ნოლ. I. 1936. 38).

სპ. tembel (თამბალ) ზარმაცი, ზანტი, მცონარი, უქნარი,  
თ. tembel = ზარმაცი.



## თერბელუდი

„ბევრი იტირა, თვალები ჩაუდგა, კაე თერბელუდი გუკეთა და ზეადან თაბუთი დადვა“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 110).

თ. terbelik = პატივისცემა.

## თერეფი

„თერეფებზე მიიხედა და დასაფარავი არსად იყო“ (ჯ. ნოლ- I. 1936. 70).

არ. طَرْفٌ (თარაფ) მხარე, კიდე, გვერდი, ნაპირი.

## თექ

„თექ მეყოლოს შვილი და წეიყვანოს ერთი თვიობით, რა იქნება?“ (ქართ. ზღ. აკ. 1973. 69).

თ. tek = ოღონდ, როგორმე, რამენაირად, მხოლოდ.

## თექრე

„თექრე მტნდა გოგოს წყალი“ (ქართ. ზღ. აკ. 1973. 80).

სპ. تَكَرَّرَ (თექრარ) = ისევ, ხელმეორედ.

## თექმილი

„ის დაჭრილი მურგევი აართვა და თექმილი მურკები მისცა“ (ქართ. ზღ. აკ. 1973. 74).

არ. تَمْلٌ (თაქამოლ) სრული, მთლიანი, უნაკლო, ხელუხლებელი (მღრ. ქღ. აკ.).

## თობბე

„თობბე (აღთქმა) იყოს, რომ მე ამ ქვეყნის სინათლეს აღარ დევინახავო. დახუჭა თვალბო“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 20).

არ. تَوْبَةٌ (თოუბე) მუს. თავის შეცდომის ცნობა და დაგმობა, შეცდომის აღიარება, მონანიება. პირობას დადება. პირობის დადება გაუმეორებლობის შესახებ.

თ. tövbe = სინანული, მონანიება.

## თოზი

„ამ ხემწიფემ იფიქრა, რომ გზა შემეშალაო. შევიდა თავის სასტუმრო ოთახში, რომ მისი ხალიჩებია გაგებული სულ და თუთუნის თოზს რომ რეკავდა ზეთ. ისიც იქ არი დადებული“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 144).

თ. toz = ფხვიერი მტვერი.

## თურლი-თურლი

„ამ წყალში შიგნით თურლი-თურლი (სხვადსხვა) თევზების სურათებია“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 14. 15).

თ. Türletür = მრავალნაირი, სხვადსხვა.

## იზინი

„ქალმა მისცა იზინი, რუმე შემეყვანე მაჰ ბაბუაო“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 98).

(?)

## ილლა

„მოხუცმა თქვა, რომ ილლა შუაზე ვკრიო“ (ჯ. ნოლ. II. 1972. 120).

„შაჰ-ზადემ არ დაანება, ილლაჰ უნდა მეიყვანოთო“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 78).

„— მე ილლაჰ-ნა წევდეთ“ (ჯ. ნოლ. I. 1936. 7).

